ᲐᲮᲚᲘ ᲘᲕᲥᲘᲐ

№3 მარტი-აპრილი 2023

ანდრო ბარნოვი
სად არის მნემოსინე?

ქეთი ქურდოვანიძე
ლოდინის დრო ამოგვეწურა

ნიკა ვაჩეიშვილი
გადავარჩინოთ გელათი!

დავით ბუხრიკიძე
დაივიწყე მშვიდი ცურვა

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№3, მარტი-აპრილი, 2023
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის ქუჩა № 20
0108, თბილისი, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა ბიბილაშვილი
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
ლაშა გაბელია
ქეთი ქურდოვანიძე
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე
გია ჯაფარიძე
ნინო კალანდაძე

სარჩევი

3 მთავარი რედაქტორის მიმართვა
ზაზა ბიბილაშვილი
რადიკალები, სატანისტები, გლობალური ომის პარტია და გეგმიური სიგიჟის პროპაგანდისტული შუქჩრდილები



6 პოლიტიკა და საზოგადოება
ქეთი ქურდოვანიძე
ლოდინის დრო ამოგვეწურა

10 საღი აზრი
გია ჯაფარიძე
გვეშველება რამე?

14 საერთაშორისო პოლიტიკა
გიგა ჯოხაძე
ერთი წელი დიდი ომის დაწყებიდან

18 მეხსიერება და იდენტობა
ანდრო ბარნოვი
სად არის მნემოსინე?

24 პოლიტიკა
გიორგი ფანიაშვილი
მოსკოვიდან დანახული საქართველო

27 პოლიტიკა
დავით ზედელაშვილი
ახალი ბატონების შინ მოსვლა

32 საერთაშორისო პოლიტიკა
გიორგი ხარებავა
ყავლგასული ბირთვული შანტაჟი

35 სტუდენტური სივრცე
ირინა მამულაშვილი
საქართველოს ევროპული გზა

38 საზოგადოება
დავით ბუხრიკიძე
დაივიწყე მშვიდი ცურვა

41 საღი აზრი
დავით ქუტიძე
როგორ წარმოვაჩინოთ შავი თეთრად და მეგობარი მტრად

46 საზოგადოება
დოდონა კიზირია
მარსიანელები

48 კულტურა და იდენტობა
თეო ხატიაშვილი
ვის ეშინია პოლიტიკური ხელოვნების?

50 ფერადი ისტორიები
ბუბა კუდავა
მოკუდა თუ მოიკლა?

57 კულტურული მემკვიდრეობა
ნიკა ვაჩეიშვილი
გადავარჩინოთ გელათი!

66 საავტორო სვეტი
ზურა მეძველია
შურიანის ჩანაწერი

69 ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ზაზა ბიბილაშვილი

რადიკალები, სატანისტები, გლობალური ომის პარტია

და გეგმიური სიგიჟის პროპაგანდისტული შუქჩრდილები

2023 წლის მარტში ქართველმა ხალხმა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული შეტევა მოიგერია. მოიგერია ბევრისთვის მოულოდნელად - ლაღად, სპონტანურად, მშვიდი გახელებით, გადამდები იდეალიზმითა და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ნაციის თავდაჯერებით... დემოკრატიის, თავისუფლებისა და ევროპული არჩევანის დაცვაში პირველად ჩაერთო უახლესი თაობა, ე.წ. GenZ, რომლისთვისაც თავისუფლება არა უბრალოდ არჩევანი, არამედ ერთადერთი ბუნებრივი მდგომარეობაა. ბევრის აზრით, სწორედ უფროსკლასელებისა და სტუდენტების უდრეკი პოზიცია გახდა გარდამტეხი მარტის მოვლენებისას.

რუსულ შეტევაში, ცხადია, ხელისუფლების მიერ ინიცირებულ „აგენტების კანონს“ ვგულისხმობ, რასაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი ჰქონდა. მიღების შემთხვევაში საქართველოზე რკინის ფარდა ჩამოეშვებოდა და ქვეყანა ევროკავშირის ასპირანტი წევრიდან რუსულ-ავტორიტარული ჭაობის რუხ ბინადრად გადაიქცეოდა. კანონი „უცხოური გავლენის აგენტად“ შერაცხავდა ყველას, ვისაც საქართველოს რუსული კლანჭებიდან დახსნა და დასავლური სამყაროს ნაწილად ქცევა დაუსახავს მიზნად. თან ამ იარლიყს სწორედ ისინი მოგვაკრავდნენ, ვინც - როგორც მარტის დღეებში გაცხადდა - შეგნებულად მოქმედებს ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანისა და ჩვენი უცხოელი მეგობრების რჩევების საწინააღმდეგოდ.

როგორ არ უნდა გაგახსენდეს, რომ 1920-იან წლებში რუსი ბოლშევიკები თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველებს „დასავლური იმპერიალიზმის აგენტებს“ უწოდებნენ და სწორედ ამ ბრალდებით დევნიდნენ, აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ?

მარტის მოვლენები ლუსტრაციისა და მორალური სიცხადის იშვიათ გაელვებად იქცა. სამწუხაროდ, ოდენ გაელვებად, რადგან ქართველებს მეხსიერება არ გვივარგა და საქმის ფიგურანტთა უმეტესობა რამდენიმე თვეში დაგვავიწყდება.

ამ პერიოდში დიდი ხნის ნანატრი ვინდიკაცია განიცადეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ივანიშვილის ხელისუფლების უკან იმთავითვე რუსულ ინტერესებს ხედავდნენ და რომლებსაც რუსეთ-უკრაინის ომამდე საქართველოს მეგობრებიც კი სკეპტიკურად უყურებდნენ, მიუხედავად უამრავი კითხვისა „ოცნების“ ერთი შეხედვით აუხსნელი ანტიდასავლური ქმედებების მიმართ...

გავიხსენოთ, რა უძღოდა ამ ყოველივეს:

თითქმის წელიწად-ნახევარია, საქართველო მუდმივი ფორსმაჟორის რეჟიმში ცხოვრობს. იტყვით, რა გასაკვირია, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზეო, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ქართული ფორსმაჟორი თითქმის მთლიანად ეროვნული წარმოშობისაა. კოლექტიური შფოთვითი აშლილობის გამომწვევი მიზეზები ხელოვნურადაა შექმნილი პროპაგანდის დიდოსტატების მიერ, რომელთა ადგილსამყოფელი შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, ხოლო გამხმოვანებლებს ყოველდღიურად ვხედავთ ეკრანზე.

ყოველთვის, როცა ვითარება ოდნავ მშვიდდება, საჯარო სივრცეში თითქოს არსაიდან ჩნდება თემა, რომელიც მყისიერ პოლარიზებას იწვევს და რომელსაც საზოგადოება ფსიქოლოგიური წონასწორობის ზონიდან გამოჰყავს. იმდენად ძლიერია ამგვარი ხელოვნური მეთოდებით გაღვივებული მასობრივი ფსიქოზი, რომ ჭკვიან და გამოცდილ ადამიანებსაც კი უჭირთ პოზიციის არდაფიქსირება, რითიც უნებლიეთ ერთვებიან უხილავი მტრის მიერ შემოთავაზებულ წამგებიან თამაშში.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური სპეცოპერაციებით მართვას 2012 წლიდან შევეჩვიეთ, 2022 წლის 24 თებერვალმა მაინც ლაკმუსის ქაღალდის ფუნქცია შეასრულა: პროცესები, რომლებიც მანამდე ფარულად წარიმართებოდა, უკრაინაზე რუსეთის ბარბაროსული თავდასხმის შემდეგ ზედაპირზე ამოვიდა და გეომეტრიული პროგრესიით განვითარდა. ომის პირველივე დღიდან უმაღლესი სახელისუფლებო ტრიბუნებიდან გვესმოდა, რომ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება „გამოსავალი არ არის“, რომ რუსეთის წინააღმდეგ „სანქციები არ მუშაობს“, რომ ომი მალე დასრულდება და ყველამ კარგად იცის, ვინ გაიმარჯვებს.

პარალელურად შეიქმნა ოლიგარქის ერთგვარი პირადი გვარდია, ე.წ. „ხალხის ძალა“, რომელიც ყველაზე უფრო შავრაზმული ანტიდასავლური მესიჯების გასავრცელებლად გამოიყენებოდა. ამ ძალისა და რამდენიმე სახელისუფლებო პროპაგანდისტის პირით ოლიგარქი გვეუბნებოდა, რომ შვეიცარიული ბანკები (რომლებთანაც ის კერძო ხასიათის ფინანსურ დავას აწარმოებდა) საკუთარი ქვეყნის საბანკო რეპუტაციას ანგრევენ, რომ ბანკების უკან ამერიკის საგარეო დაზვერვა დგას, რომ, თავის მხრივ, ამერიკას რამდენიმე ოჯახი აკონტროლებს, ხოლო თუ ბანკები მალე არ მოეგებიან გონს და ასობით მილიონ დოლარს არ გადაუხდიან მილიარდერს, მაშინ ოლიგარქის გვარდიელები იძულებული გახდებიან, ყველაფერს „ფარდა ახადონ“.

პარადოქსია, მაგრამ ხელისუფლება, ერთი მხრივ, გვეუბნებოდა, რომ ოლიგარქი პოლიტიკიდან წასულია და საქვეყნო საქმეებში აღარ ერევა, მეორე მხრივ კი, ვხედავდით, რომ მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი სწორედ ერთი კერძო პირის სპიკერად იყო ქცეული, რასაც სახელმწიფო ინტერესები ეწირებოდა.

სამთავრობო მედიაში შეუნიღბავი ანტიდასავლური პროპაგანდა ნორმად იქცა. ნორმად იქცა შავრაზმულ-კონსპირაციული თეორიების უკუნი „ანდერგრაუნდიდან“ ამოთხრა და უმაღლეს სახელმწიფო დონეზე წახალისება. ამ ფენომენის ყველაზე შემაშფოთებელი გამოვლინება ის აბსურდული ნარატივია, რომ თითქოს არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ლამობს და რომ ამ პარტიის ნაწილია პრაქტიკულად მთელი ევროპარლამენტი, ამერიკის სენატი, ბრიტანეთის ლორდთა პალატა და სხვა მრავალი, ვისაც აქამდე საქართველოს მეგობრებად ვიცნობდით.

ეს მესიჯები ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის პირველი პირების მხრიდან მოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში არაერთგზის ითქვა - ეს გზავნილი არა მხოლოდ სრული სიცრუე, არამედ „100%-ით რუსული დეზინფორმაციაა“.

მარტში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაკავების ორდერი გასცა, ხოლო რიგმა ქვეყნებმა პუტინის ხელისუფლება ტერორისტულ რეჟიმად აღიარეს. სწორედ ამ ტერორისტული რეჟიმის უმაღლესი თანამდებობის პირები და დუჟმორეული პროპაგანდისტები აქებენ ივანიშვილის ხელისუფლებას ბოლო დროს,

იწონებენ მის საგარეო პოლიტიკას და დასავლეთის მიმართ რეზისტენტულობას, ნატრობენ - ნეტავ, ოდესღაც რუსულ ორბიტაზე მოდრეიფე სომხეთიც თქვენსავით ერთგული იყოს ჩვენიო.

2012 წელს რომ გეთქვა, 11 წლის შემდეგ საქართველოში ეს რეალობა იქნებაო, ალბათ, არავინ დაიჯერებდა. შეუძლებელია, ამგვარი რეალობა მხოლოდ იმით ავხსნათ, რომ ხელისუფლებას საკუთარი ხალხისგან განსხვავებული პოზიცია აქვს. ამ რეალობის ავტორები მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად ახდენენ პოლიტიკის დევალვაციას. მათ შეგნებულად გამოჰყავთ წინა პლანზე პოლიტიკური კაპიტალის არმქონე მარგინალური ფიგურები და აღჭურვავენ მათ ძალაუფლების ნიშნებით. ისინი შეგნებულად აღვივებენ ადამიანების პრიმორდიალურ შიშებს, ტყუილსა და ცილისწამებაზე დაყრდნობით ქმნიან მტრის ხატს, რათა მასზე კაპიტალიზდნენ, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების ხარჯზე.

ის, რაც ბოლო დროს გამოვლინდა, მმართველი პარტიის „განსხვავებული აზრი“ არაა. ხელისუფლებისა და მასთან აფილირებული ანტიდასავლური ჯგუფების რიტორიკა ცივილიზებული პოლიტიკის და, შესაბამისად, კონცენციური კრიტიკის მიღმაა. მათი საქციელი პრინციპულად შეუთავსებელია იმ ევროპული ოჯახის ღირებულებთან, რომლისკენაც საქართველო მიილტვის. საკვანძო ნიუანსი ისაა, რომ ზუსტად ამის დემონსტრირებაა იმ ძალის მიზანი, რომელიც რეალურად იღებს გადაწყვეტილებებს „ოცნების“ სახელით.

ამ ფონზე, რუსული კანონის ინიცირება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. იმედის საფუძველს იძლევა ის, რომ რუსული კანონი ამ ეტაპზე დამარცხდა. მხარეებმა უკან დაიხიეს, თუმცა დიდი გეოპოლიტიკური ომი გრძელდება. ძალა, რომელმაც რუსული კანონი და ყველაფერი, რასაც ის განასახიერებს დღის წესრიგში დააყენა, არსად წასულა. არ შეცვლილა ამ ძალის რიტორიკა, მიზნები და მოტივაცია. მეტიც, ამ ძალამ გადაწყვიტა, იერიში მიიტანოს საღ აზრზე და მსოფლიოს უთხრას, რომ თავისუფლების დასაცავად ქუჩაში გამოსული ახალგაზრდები „რადიკალები“ და „სატანისტები“ ყოფილან, რომელთაც „გლობალური ომის პარტია“ მართავს.

დამაფიქრებელია ერთი გარემოებაც - ისე გადააგორა ხელისუფლებამ ეს უმძიმესი კრიზისი, ერთი ადამიანიც არ დაუკარგავს. ისეთი, რომელიც სინდისის ხმას აჰყვებოდა და პროტესტის ნიშნად გადადგებოდა. განსაკუთრებით ისინი, ვის მიმართაც საზოგადოებაში განსხვავებული მოლოდინები არსებობდა. ეს აუხსნელი ფენომენი, ზოგი ვერსიით, მატერიალურ წახალისებაზე, ზოგი ვერსიით კი - კომპრომატებზე დგას. შესაძლოა, ოლიგარქიული სისტემა ამ ორივე ფაქტორის ნაზავს ეფუძნება, რასაც მძლავრი პროპაგანდისტული მანქანით შექმნილი ჩაკეტილი ჯგუფური აზროვნება უწყობს ხელს. ასეა თუ ისე, საგანგაშო ფაქტია, რომ ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, როცა ასე ცხადი იყო ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს შორის, ხელისუფლების მონოლითურობა არ დარღვეულა.

მიუხედავად ამისა, იხტიბარი არ უნდა გავიტეხოთ. ისტორიას თუ გადავხედავთ, ყველა ავტორიტარული რეჟიმი რაღაც ეტაპზე - ხშირად, ჩამოშლამდე სულ ცოტა ხნით ადრეც კი - უძლეველი ჩანდა. მთავარია, გვჯეროდეს, რომ საქართველო - ეს ჩვენ ვართ, ვინც მარტში რუსული შტურმი მოიგერია და საქართველო გადაარჩინა. დიახ - ჩვენ ვართ საქართველო.

ჩვენ საქართველო ვართ: ნათელი, იდეალისტური, პრაგმატული, ემოციური, რაციონალური, მრავალფეროვანი, წესიერი, ლაღი, პატრიოტული, კოსმოპოლიტური, წარმატებისთვის მებრძოლი. ეს ის საქართველოა, რომელიც ერთი წლის წინ პრეზიდენტ ზელენსკისთან ერთად უკრაინის გადარჩენისთვის ლოცულობდა, დღეს კი უკრაინის გამარჯვებისთვის ლოცულობს.

როგორც პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, „ჩვენ არ ველოდებით და ვითხოვთ. ჩვენ ვიმარჯვებთ და თავად ვქმნით ამ გამარჯვებას“. ამ სულისკვეთების მადლი გადმოგვსხმოდეს! ■

ქეთი ქურდოვანიძე

ლოდინის დრო ამოგვეწურა

ზუსტად ერთი საუკუნე გვაშორებს იმ დროს, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა თავისი საეტაპო რომანი „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც, ილიას „კაცია ადამიანის“ მსგავსად, ეპოქის დოკუმენტად იქცა. რა დაგვემართა, რატომ დავსნეულდით და როგორ უნდა გამოვჯანსაღდეთ - სწორედ ამაზე მიგვითითებდა ორივე მწერალი - ერთი რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ბოლშევიკების მიერ მოკლული, მეორე კი მათივე ნაწამები და დახვრეტილი. ასეთი სასტიკი განაჩენიც ხომ სწორედ ამ ტექსტების ეპოქალური მნიშვნელობის გამო გამოუტანეს. ორივე მწერალი ამ ჩვენი სნეულების მიზეზს სწორედ კულტურულ და ანთროპოლოგიურ დეგრადაციას უკავშირებდა. მართლაც, პიროვნებათა სოცია-ლურმა მარგინალობამ, ტრადიციული პრაქტიკული და კულტურული ცხოვრების წესის დაკარგვამ განაპირობა სოციალური ერთობის კრიზისი და საბოლოოდ ჩამოშლა, რადგან ინდივიდის კულტურა მჭიდროდ უკავშირდება მისი იდენტობის გრძნობასა და საზოგადოებისადმი კუთვნილებას. ამიტომაც აღნიშნა ილიამ, მე „საზოგადო ჭირზე“ ვწერო.

ვერც ლუარსაბ თათქარიძე და ვერც თეიმურაზ ხევისთავი ვერ ახერხებენ დროსთან ადაპტირებას, მოწყვეტილნი არიან წარსულის სოციალურ-კულტურულ სისტემას და უჭირთ არსებულის გააზრება. ამის მიუხედავად, ამ ორი პერსონაჟის კულტურული ანთროპოლოგია სრულიად განსხვავებულია: ლუარსაბს არა აქვს თვითრეფლექსია, რისი მიზეზიც მისი გაუნათლებლობა, მითოლოგიური აზროვნება და სოციალური უპასუხისმგებლობაა. ამიტომაც მისგან მხოლოდ ანთროპოლოგიური ნაგავი რჩება. თეიმურაზი კი დიდი ტანჯვით, მაგრამ მაინც ახერხებს თვითიდენტიფიკაციას, წარსულის გააზრებასა და რწმენის დაბრუნებას. მასში ახალი ადამიანი იბადება, რადგან მისი პრობლემა არც განათლებაა და არც სოციალური უპასუხისმგებლობა, უბრალოდ, თეიმურაზმა უნდა ისწავლოს ამ ცოდნის გაცოცხლება და გამოყენება.

სწორედ ამ ორი პერსონაჟის ერთობლიობის ანარეკლია პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი კაპიტალი, 90-იანი წლები, როდესაც ახალი პოლიტიკურ-კულტურული რეალობა ყველასთვის ერთნაირ გამოწვევად იქცა. ვინ აირჩია ლუარსაბობა და ვინ - თეიმურაზობა, ეს თვალნათლივ სულ რაღაც ერთ წელიწადში გამოჩდა. ვინ იგრძნო სოციალური პასუხისმგებლობა და ვინ შეუერთდა ოკუპანტი ქვეყნისგან თავსმოხვეულ კულტურულ გენოციდს, რომელმაც სასოწარკვეთა, ნიჰილიზმი, პოლარიზაცია და ფრუსტრაცია, საბოლოოდ კი, კოლაფსი გამოიწვია.

ფასეულობათა ჩამოშლა და დეგრადაცია დაედო საფუძვლად ახალი საუკუნის ახალ გამოწვევებს. და მაშინ, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო ტექნო-

ლოგიური პროგრესის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა, საქართველოს მოსახლეობა პალეოლითის ხანის ნეანდერტალელივით ქუჩაში დანთებულ კოცონს ეფიცხებოდა. ვისი ბრალი იყო ეს - ლუარსაბობის თუ თეიმურაზობის? ალბათ ორივესი ერთად, რადგან ტოტალიტარული რეჟიმების მოკავშირეები მხოლოდ ჯაყოები არ არიან, მეტიც, ყველაზე დიდი მოკავშირე სწორედ ლუარსაბობა და თეიმურაზობაა - ლუარსაბობა, რომელიც სტაგნაციას ნიშნავს, თეიმურაზობა კი - კულტურულ დეგრადაციას, რომელიც ამ სტაგნაციას ეგუება და ასპარეზს ჯაყოებს უთმობს. ეს კვებავს, აძლიერებს და ამტკიცებს სისტემას, რომლის მექანიზმიც სწორედ ასეთ სანატრელ პირობებში მუშაობს გამართულად და ხანგრძლივად. ჯაყოების არსებობას განაპირობებენ ცოცხალმკვდარი ლუარსაბები და თეიმურაზები, რადგან რაღაც ხომ მაინც უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი და, სამწუხაროდ, ამ სიცოცხლისუნარიანობას სწორედ კოლაბორაციონიზმი და მედროვეობა განაპირობებს, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი სიამოვნებას ეძლევა, მეორე კი - კაპიტულაციას აცხადებს.

დრო მიდის და არავის ელოდება, ამიტომაც ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რას ითხოვს ის ჩვენგან. „დროის საჭიროების“ ცოდნა მიაჩნდა ილიას მძიმე ისტორიის მქონე ამ პატარა ერის გადარჩენის საიდუმლოდ, რადგან სწორედ ამ საჭიროებათა ვერგაგება განაპირობებს ლუარსაბისა და თეიმურაზის პრობლემებსაც.

როდის იწყება ლუარსაბის კრიზისი? სწორედ მაშინ, როდესაც მისი დამცრობილი უნარები, შეზღუდული გონება და ინფანტილიზმი ვერ უმკლავდება რეალობას - დიდ ტყუილსა და ღალატს, როდესაც მზეთუნახავის ნაცვლად მახინჯ ცოლს შემოასაღებენ. ამ სოციალური მარცხის შემდეგ ის, ქართველი ამომრჩეველივით, ცდილობს, სწორედ იმავე ადამიანში იპოვოს მეგობარი და გულშემატკივარი, რომელმაც პირველად გაუცრუა ყმაწვილური იმედი. აქედან იწყება კონფორმიზმი და შეგუება, მეტიც, საკუთარი ოცნებების ადაპტაცია იმ მოცემულობასთან, რომელიც ძალადობით შეაჩეჩეს. მერე კი ამას ისე ეჩვევა, რომ კმაყოფილი და ბედნიერიც კია. თუმცა ეს ფაქტი მაინც საბედისწერო დაღს ასვამს მის ცხოვრებას, ის უარს ამბობს, შეასრულოს თავისი სოციალური ფუნქციები იმ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელმაც გააცურა და ირჩევს სხვა გზას - მოიხმაროს თავისი ქონება საკუთარი სიამოვნებისთვის ისე, როგორც ეს სიამოვნება თავად ესმის, განსაზღვროს ის ეგზისტენციალური საფრთხეები, რომლებიც ახლა უკვე მისი ძალებით დამყარებულ „იდილიას“ ემუქრება. ესენია: სწავლა-განათლება, წიგნი, სკოლები, ახალი დროების დადგომა, ღვთის რისხვა, უმემკვიდროდ დარჩენილი ლუარსაბის ავლადიდების მოთვალთვალე, მტრის ხატად ქცეული ძმა.

ჯაყოების არსებობას განაპირობებენ ცოცხალმკვდარი ლუარსაბები და თეიმურაზები, რადგან რაღაც ხომ მაინც უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი და, სამწუხაროდ, ამ სიცოცხლისუნარიანობას სწორედ კოლაბორაციონიზმი და მედროვეობა განაპირობებს, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი სიამოვნებას ეძლევა, მეორე კი - კაპიტულაციას აცხადებს.

როგორ იქარწყლებს დარდსა და შიშს ლუარსაბი, როგორ ცდილობს ამ კრიზისიდან თავის დაღწევას? ის დარეჯანს ესაუბრება ამ შიშსა და საფრთხეებზე, დისკუსიას მართავს, უზიარებს თავის მსგავსს, თავის ტოლსა და სწორს, თავისი უბედურების მიზეზს. და ყველა ჯერზე ესმის მისგან სანუგეშო სიტყვები და სანუკვარი დაპირება, რომ მალე შვილი ეყოლებათ დავითის ჯინაზე, იმ დავითისა, რომელიც მათი ცხოვრების დილემად იქცა. სწორედ ეს დაპირებები და ნუგეში, ბრიყვული თავის მოტყუება და ილუზიები ლეგიტიმაციაა იმ „არაფრობისა“, რომელიც ლუარსაბმა შექმნა, ხოლო დარეჯანი - მთელი ამ პირუტყვული ყოფის ნარატორი და ინსპირატორი. კვდება დარეჯანი და კვდება ლუარსაბიც, რადგან მისი არსებობის მიზეზი გაქრა. დარეჯანის სიკვდილით, ახლა უკვე „ლუარსაბობა“ კარგავს თავის საყრდენს.

სულ სხვაგვარად ვითარდება თეიმურაზის თავგადასავალი. მისი იდენტობის კრიზისი დროსთან ადაპტირების პროცესში იჩენს თავს. ნათავადარი, ნაადვოკატარი, ნაკაცარი, ნაცოლარი, ნახიზნარი და თავად ნაშინდარიც მიგვანიშნებს, რომ თეიმურაზი მოწყვეტილია წარსულის კონტექსტს, კულტურულ მეხსიერებას. მას არ აქვს დასაყრდენი, რომელიც გახდება იდენტიფიკაციის ამოსავალი წერტილი, თანაც გარემო, რომელშიც ცხოვრობს, არამდგრადია და მიდრეკილია დაშლისკენ, დეკონსტრუქციისკენ, რასაც მოჰყვება იდეების, მნიშვნელობების, მორალისა და ღირებულებების ქრობა. თეიმურაზის დეპერსონალიზაცია იწყება მაშინ, როდესაც ის ვეღარ აღიქვამს რეალური სამყაროს ობიექტურობას და საკუთარ სტატუსს ამ რეალობაში. მას აღარ აქვს არც მკაფიო თვითშეგნება და არც მკაფიო თვითშემეცნების უნარი, ერთგვარად ემსგავსება პოსტმოდერნისტული ნარატივის ფიქციურ სუბიექტს - „ჩრჩილს“, რომლის ცხოვრების მთლიანობა, ორგანიზებულობა, სისტემური ბუნება დარღვეულია, ხოლო პირადი, ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტი - უფუნქციო. ყოველდღიურ ყოფაში ის ფუნდამენტური, აბსოლუტური გაუცხოების მდგომარეობაშია, რადგან ახალ დროებას მოუმზადებელი ხვდება. მას არც ცოდნა აკლია, არც განათლება და არც სოციალური აქტივობა, მაგრამ არა აქვს დროის გამოწვევებთან გამკლავების უნარები, მას არ შეუძლია ახალი ნარატივის შექმნა და ამაზე მისი ენაბლუობაც მეტყველებს. თანაც არსებობს ობიექტური გარემოებებიც - მისი ისტორიული მამული ოკუპირებულია, პირადი სივრცე კი სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, ასე აღმოჩნდება ერთ ოთახში თავის ერთადერთ მეგობართან, თავის ცოლთან და ღირსებასთან, რომელიც მის ცოდნასთან ერთად დიდი ხანია უფუნქციოა. ეს ყოველივე შეუძლებელს ხდის ხევისთავის პერსონალიზაციას ჯაყოს მიერ შემოთავაზებულ გარემოში. ოკუპირებულია არა მხოლოდ მატერიალური კულტურა, არამედ თეიმურაზის პირადი სივრცე - კულტურული კუთვნილება, ცნობიერება, თვითშეგნება და თვით ფასეულობებიც. თეიმურაზი კი თავისი ბეცი თვალებით ვერ ხედავს, რა საფრთხეს უქმნის მის ღირსებას, მამულს, მემკვიდრეობას ჯაყოსთვის მინიჭებული პრეფერენციები.

ჯაყო მთვლემარე ეგზისტენციაა, რომელიც მაშინვე ფხიზლდება, როდესაც პერსონალური კულტურა დამცრობას იწყებს. ამიტომ მისი ყოფნა-არყოფნა ჩვენს სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მოქმედებით, ბრძოლითა და გამძლეობით მიიღწევა.

ახალი რეალობის წინააღმდეგობრივი ხასიათი, კულტურული კონსტრუქტების რღვევა, მეტიც, ანთროპოლოგიური კრიზისი იწვევს თეიმურაზის, როგორც ადამიანის „ხატების“ გაქრობას. რატომ ამბობს ის უარს თავის შესაძლებლობებზე, რატომ ეძლევა აპათიას, რატომ კარგავს რწმენას, რატომ ცდილობს თვითმკვლელობას, იმიტომ, რომ სწორედ ეს „განსაკუთრებულობის“ განცდა უშლის ხელს, ინტეგრირდეს რეალობასთან - უარს ამბობს, სკოლაში იმუშაოს, სამაგიეროდ, ჯაყოს დუქანში ყოფნა არ ეთაკილება, რადგან მიაჩნია, რომ ბავშვს იმას ვერ ასწავლის, რაც თვითონ არ სწამს, და მართალიცაა. ამიტომაა ასეთი ქაოსური და ფრაგმენტული თეიმურაზის ნაშინდარული ოდისეა.

უკიდურესი დაცემის, ტანჯვისა და სასოწარკვეთის კვალად, ჯაყოს ხიზანი თანდათან იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ მის ქონებას, სინდისს, წარსულსა და მომავალს დაპატრონებული ეს ველური მხეცი თვითონ შექმნა, რომ დამნაშავეა მარგოს წინაშე, რადგან სწორედ მან გადაულოცა ჯაყოს მარგო, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს ჯაყოს გამოლამაზებას - ასწავლის წერ-კითხვას, ჩაცმა-დახურვას, დაბანა-დავარცხნას, რათა ამ ცხოველს კულტურული კონტექსტი შესძინოს და ამით გაამართლოს მასთან თანაცხოვრება.

თეიმურაზის თვითრეფლექსია, თვითჩაღრმავება იმის გააზრებით იწყება, რომ მას, როგორც ადამიანს, და მარგოს, როგორც მის კულტურულ კუთვნილებას, საფრთხე ემუქრებათ, საფრთხე, რომელიც რევოლუციამ მოიტანა, იმ რევოლუციამ, რომელიც განვითარების დიალექტიკურ კანონებს ეწინააღმდეგება და

გარდაუვალ აუცილებლობათა შედეგია. ამიტომაა, რომ სადაც რევოლუცია ხდება, იქ კულტურისთვის აღარ რჩება ადგილი და ის კნინდება ან პასიურ მეხსიერებაში გადადის, რადგან კულტურული რელატივიზმის თანახმად, კულტურები ვითარდებიან ისტორიული გარემოებების მიხედვით და არა წრფივი პროგრესიით „პრიმიტიულიდან“.

თეიმურაზი ხვდება, რომ საჭიროა პასიური მეხსიერების გააქტიურება, მისთვის ფუნქციის მინიჭება, კომუნიკაციურ მეხსიერებად ქცევა, ამიტომაც მარგოს დაბრუნებაზე კონცენტრირება, სოციალურადაც გააქტიურება, ცოდნისა და მეხსიერების გამთლიანება ნახიზნარს აგრძნობინებს, რომ სამუდამოდ მოიშორა ძაღლის ლეშის სუნი. ახლა ის ცოცხალია, ელოდება იმის დაბრუნებას, რაც ნებაყოფლობით ჩააბარა თავისსავე ველურ პირმშოს, რომლის სიცოცხლისუნარიანობას მხოლოდ გარემოებები განაპირობებს, რადგან ჯაყო თავისთავად არ არსებობს, შესაბამისად, ვერც ვერაფერს შექმნის და ვერც კულტურად იქცევა. ამიტომაც ეშურება ჯივაშვილი, საკუთარ შვილს ხევისთავის გვარი მისცეს. ჯაყო მთვლემარე ეგზისტენციაა, რომელიც მაშინვე ფხიზლდება, როდესაც პერსონალური კულტურა დამცრობას იწყებს. ამიტომ მისი ყოფნა-არყოფნა ჩვენს სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მოქმედებით, ბრძოლითა და გამძლეობით მიიღწევა.

ასეა დღესაც, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე ძნელბედობის ჟამს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ ლოდინის დრო ამოგვეწურა. ■

გია ჯაფარიძე

გვეშველება რამე?

გვეშველება რამე? - ეს ორსიტყვიანი წინადადება, მგონი, ყველაზე პოპულარულ და უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის კრიზისს შეჭიდებულ საქართველოში, შეიძლება ითქვას, ირონიანარევ ფრთიან ფრაზად იქცა. კითხვა რიტორიკული გახდა, მასზე პასუხი თან არსებობს და თან აღარც მოითხოვება.

სანამ კითხვაზე პასუხის ძებნას დავიწყებდეთ, კიდევ ერთი კითხვა უნდა დავსვათ - რა გვჭირს? თუ არ დავადგინეთ, რა გვჭირს და რატომ ვართ საშველი, პასუხის პოვნა გაძნელდება და მოჯადოებულ წრეზე კიდევ ბევრი წელი ვირბენთ „გვეშველება რამეს?“ ძახილით, ოღონდ ეს წრე შეიძლება მალე ჩვენი აღარ იყოს და, კარგ შემთხვევაში, დესუვერენულ ტერიტორიაზე დავრბოდეთ იმავე კითხვით. მოკლედ, დამოუკიდებლობა შეიძლება დავკარგოთ.

„რა გვჭირს?“ კითხვაზე პასუხს რამდენიმე შრე აქვს, თუმცა მიზეზები შეიძლება, ორ დიდ ნაწილად გამოვყოთ - პირველი, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელმა გარე ფაქტორებმა გამოიწვია, და მეორე, რომლის სათავე ჩვენსავე თავში, ჩვენს სახელმწიფოშია, ჩვენ მიერვე თავსმოხვეული. თუ პირველზე ზემოქმედება ჩვენს ძალებს აღემატება, გარე მიზეზებს ვერ შევცვლით და ვერც მათ დინამიკაზე მოვახ-დენთ არსებით გავლენას, მეორეს აღმოფხვრა და მათზე პასუხი სრულად ჩვენს ხელთაა. საქართველოს პრობლემების მხოლოდ ხელისუფლებებზე აკიდება არ გამოვა, რაც გვჭირს, იმაში ბრალეულობა, სულ მცირე, თანაბრად უნდა გადანაწილ-დეს საქართველოს მოქალაქეებსა და ძველ თუ მოქმედ ხელისუფლებებზე. ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები ხომ საზოგადოების მეტ-ნაკლებად ზუსტი ანარეკლია. სახელმწიფოებს ისეთი მმართველები ჰყავთ, როგორებსაც იქ მცხოვრები ხალხი იმსახურებს.

პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი ან მკვდარია, ან სულს ღაფავს. საქართველოში ავტორიტარიზმის ისეთი ფორმა დამკვიდრდა, რომელიც საპარლამენტო დემოკრატიის ყველა მახასიათებელს გულისხმობს, გარდა ერთისა - პოლიტიკური კონკურენცია დაუშვებელია, ის მხოლოდ ფასადურია, მმართველს ძალაუფლებაში არავინ უნდა შეეცილოს. ეს შემთხვევა არაა ავტორიტარიზმის კლასიკური დეფინიციის არცერთი ვარიანტი, ქართული ავტორიტარიზმი უფრო რბილი და მოქნილია, ყველაფერი დაშვებულია წითელ ხაზამდე, წითელი ხაზი კი პოლიტიკაში მონაწილეობაზე გადის - აკეთე, რაც გინდა, მაგრამ პოლიტიკაში მონაწილეობა, რაც ძალაუფლების მოპოვებაში კონკურენციასაც გულისხმობს, მხოლოდ „ზემოდან“ შეიძლება იყოს სანქცირებული. ეს „ზემოთ“ კი

ორთავიანი მონსტრია (რუსეთთან ყოველგვარი ალუზიის გარეშე): ძალაუფლების ორ წვერს იყოფს ბიძინა ივანიშვილი და საპატრიარქო. ამ არაჯანსაღი მდგომარეობის მიზეზი არაა მხოლოდ ხელისუფლება, თოკს ორი ბოლო აქვს და თუ მის ერთ თავში შეუიარაღებელი თვალითაც დაინახავ ხელისუფლებას, მეორე თავში მზერის ოდნავი დაძაბვით ჩანს ქართველი საზოგადოება.

რეალიზმისა და პრაგმატიზმის ნაკლებობა. საქართველოს მოქალაქეთა და პოლიტიკური ჯგუფების აბსოლუტური უმრავლესობა ღრმად განმსჭვალულია პოლიტიკური ინფანტილიზმისა და გულუბრყვილობის სენით. სასურველის შესაძლებლად წარმოდგენა არა მხოლოდ საყოველთაო სიყვარულის საგანია, არამედ ნებისმიერი მითითება პრაგმატული პოლიტიკის წარმოებაზე, წინა წლებში შექმნილი კლიშეების მიღმა აზროვნება-მსჯელობასა და რეალობის გათვალისწინებით შედეგზე გათვლილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე უარყოფილია, მეტიც, ქილიკის, სიძულვილის, ცილისწამების, ეჭვის, ღალატში ბრალის დადების და ა.შ. სამიზნე ხდება. პოლიტიკური ნაივობა აქ წესია, ხოლო პოლიტიკური პრაგმატიზმი - წესიდან გადახვევა. პოლიტიკურ პრაგმატიზმს პოპულიზმად, ამორალობადაც კი ნათლავენ, ამ დროს უფრო მეტი პოპულიზმი ნაივობით ინიღბება, ხანდახან პოპულიზმი იდეალიზმის ნიღაბს ეფექტურად ირგებს. იყიდება, გასდით და რატომაც არა.

რეალიზმისა და პრაგმატიზმის ნაკლებობას ბევრი რამ ასაზრდოებს, მათ შორის, საბჭოთა წარსული, სახელმწიფოსა და ისტორიის ლეგენდების დონეზე ცოდნა-გააზრება, აკადემიური საქმიანობის დეფიციტი პოლიტიკის მეცნიერების სფეროში, პოლიტიკური ისტორიისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზისა და შეფასების არარსებობა და ა.შ.

ინფანტილიზმი ადვილია, პასუხისმგებლობებს არ მოითხოვს, ნათქვამ სიტყვასა და ჩადენილ საქციელზე პასუხს არავინ ითხოვს - პასუხის მომთხოვნიც პოლიტიკურ გულუბრყვილობაშია, ეგ მოსწონს და ამას ითხოვს. მიამიტურად შეიძლება გჯეროდეს, რომ რუსეთის იმპერია დაინგრევა, მაგრამ რეალისტები თუ ვიქნებით, რუსეთი ამ ეტაპზე მხოლოდ დასუსტდება და ეს საქართველოსთვის მხოლოდ ახალ შესაძლებლობას ნიშნავს, რომელიც პრაგმატულად უნდა გამოიყენოს, და არცერთ შემთხვევაში - გარანტირებულ წარმატებას (უკრაინის გამარჯვება ავტომატურად არ ნიშნავს საქართველოს დეოკუპაციას). მიამიტურად შეიძლება გჯეროდეს, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება ისე, რომ არ გაითვალისწინოს მეზობელი სახელმწიფოებისა და გლობალური ლიდერი ქვეყნების ინტერესები, მაგრამ რეალისტური იქნებოდა იმის გააზრება, რომ საქართველო მდებარეობს რუსეთ-თურქეთ-ირანის სამკუთხედში, სადაც სხვა უფრო დიდი და ძლიერი აქტორების ინტერესებიც ეცემა (აშშ, გერმანია, ჩინეთი), რაც თბილისის დამოუკიდებლად მოქმედების არეალს ავიწროებს და ჩვენ სულ მოგვიწევს საგარეო პოლიტიკის ფრთხილი შეზღუდვებით წარმოება, საქართველოს არჩევანი მეექვსე საუკუნის ცნობილი კრებიდან ფარტაძის არჩევანს ჰგავს - შეიძლება არ მოგწონდეს დასავლეთში დეტალები, მაგრამ სწორედ დასავლური ღირებულებათა სისტემა არის გადარჩენა და არა აიეტის არჩევანი იმავე კრებიდან, რომელიც უტყუარად მარცხის არჩევანია.

დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემა. საქართველოსთვის გადაულახავი კედელია დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემა, დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ჩამოყალიბდა და დემოკრატიულ პროცესს არ აქვს შეუქცევადი განმტკიცების ხასიათი. უკანასკნელ პერიოდში საქართველო ჰიბრიდული დემოკრატიების ქვეყანათა ნუსხაში მოიხსენიება დიპლომატიური დელიკატურობით. ამის მიზეზი, ხელისუფალთა ნების ნაკლებობის გარდა, ისევ საბჭოთა წარსული, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიციის არარსებობა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ნაკლებობაა. კონსოლიდირებული დემოკრატია იქ ფუნქციონირებს ეფექტურად, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს

საშუალო ფენას, ანუ იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც თავიანთი შემოსავლებით შეუძლიათ საცხოვრებლის და მანქანის საკუთარ მფლობელობაში ქონა, შვილების განათლებისა და ოჯახის წევრთა ჯანდაცვის ხარჯების დაფარვა, თვეში რამდენჯერმე რესტორანში კვება და წელიწადში ერთხელ საშუალო კურორტზე დასვენება, უნდა ქმნიდეს კრიტიკულ მასას. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანების შემოსავლის სიდიდე მინიმუმადე ამცირებს იმის შესაძლებლობას, მათ საარჩევნო ხმებს 50 ან 100 ლარად ვინმე დაეპატრონოს. ასეთი ადამიანების განათლება საბაზისო სტანდარტისაა ან მასზე მეტი, რაც, დიდი ალბათობით, გამორიცხავს მათ მდარე ხარისხის პროპაგანდის მსხვერპლად ქცევას.

აქ მივადექით **სიღარიბისა და გაუნათლებლობის პრობლემას**. სიღარიბე და გაუნათლებლობა არის არა მხოლოდ ნებისმიერი ხელისუფლების არსენალში არსებული საუკეთესო იარაღი, არამედ საქართველოსთან დაპირისპირებული ნებისმიერი სახელმწიფოს ხელში საუკეთესო საშუალება, იყიდოს, დააშინოს ან მარტივად მოატყუოს ღარიბი და გაუნათლებელი მოსახლეობა. ყველაზე ადვილი ასეთი ადამიანების ცხოველური ინსტინქტებით, ეთნონაციონალისტური და რელიგიური გრძნობებით თამაში და მანიპულირებაა. ყველაზე ხშირად სწორედ საქართველოს ეს მოქალაქეები ხდებიან დეზინფორმაციის (რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების, ხანდახან ეს ორი ემთხვევა) იოლი მსხვერპლნი და საარჩევნო შანტაჟის, ძალადობისა და ხმების ყიდვა-გაყიდვის ობიექტები. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვა აჩვენებს იდენტურ შედეგებს - გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს თვეში 1500 ლარის შემოსავლის ქვემოთ, თუ კიდევ უფრო ჩავშლით გამოკითხვის შედეგებს, ძალიან დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი თვეში არ აღემატება 400 ლარს ან საერთოდ ნულის ტოლია. მოქალაქეთა ეს ნაწილი ხშირად არჩევნებს ელოდება, როგორც ფინანსური სარგებლის მომტანს;

ნებისმიერი სახელმწიფო, მით უმეტეს, ფუნქციონირებადი კონსოლიდირებული დემოკრატია, ეფუძნება საზოგადოებაში არსებულ „საღ აზრს“

რაც საქართველოს მოქალაქეთა მცირე ნაწილისთვის მანკიერი პრაქტიკაა, უშემოსავლო ან დაბალშემოსავლიანი ადამიანებისთვის კი – ყოველდღიური ყოფითი პრობლემებიდან მოკლევადიანი გამოსავალი. PISA-ს ავტორიტეტული კვლევის თანახმად, რომელიც მოსწავლეებს უტარდებათ, წაკითხულიდან შინაარსის გამოტანაში 150 სახელმწიფოს შორის საქართველო ბოლო ხუთეულშია. საქართველოს უნივერსიტეტები ყოველ წელს უშვებენ დიპლომიანი უმუშევრების რამდენიმეათასიან არმიას, რომლის ნაწილიც შემდეგ ევროპის ქვეყნებში დაბალანაზღაურებადი სამსახურის თუ პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა გრძელ რიგს უერთდება, ან მექსიკა-აშშ საზღვარზე დგას უკეთესი ბედის ძიების რიგში. ვინც ვერ ან არ მიდის, რჩება დიპლომით, მაგრამ, რეალური განათლებისა და უნარების გარეშე, სიღარიბის მძევლად. ამას ემატება საბჭოთა (ხშირად ნაყიდი) დიპლომებით შეიარაღებული თაობა, რომლის პოსტსაბჭოთა რეალობასთან ადაპტირება ვერ შედგა. მსგავსი განათლების და უნარების მოქალაქეებზე მარტივად მოქმედებს პროპაგანდა, ისინი იჯერებენ ნებისმიერ დეზინფორმაციას, მეტიც, განათლების ასეთი სისტემის შენარჩუნება ნიშნავს ყველა მიმართულებით კომპეტენტური კადრების უქონლობას - ოფიცერი ვერ წაიკითხავს სამხედრო რუკას, ინჟინერი ვერ ააშენებს უსაფრთხო ნაგებობას თუ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს,

პოლიტიკოსები ვერ მართავენ ეფექტურად და ა.შ. ნებისმიერი სახელმწიფო, მით უმეტეს, ფუნქციონირებადი კონსოლიდირებული დემოკრატია, ეფუძნება საზოგადოებაში არსებულ „საღ აზრს“. სიღარიბე, განათლების ნაკლებობა და საშუალო ფენის სიმცირე მიზეზებია დემოკრატიისთვის აუცილებელი მოქალაქეთა კრიტიკული მასის შესაქმნელად. განათლებისა და სიღარიბის პრობლემა მოკლევადიან რეცეპტებს არ ექვემდებარება, მაგრამ მათ მოგვარებაზე ზრუნვის დაწყება მხოლოდ ხელისუფალთა პოლიტიკური ნების საკითხია. იმ სახელმწიფოში, სადაც მოსწავლეთა და სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს ადამიანის ტვინის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის საჭირო საკვების მიღების შესაძლებლობა, შეუძლებელია კრიტიკული მასა ჩამოყალიბდეს, დემოკრატია კი მის გარეშე დემოკრატიის კარიკატურას, ოხლოკრატიას ან „დემოკრატიულ“ ავტორიტარიზმს დაემსგავსება.

სიღარიბე და ეკონომიკური პრობლემები (უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება, ინფლაცია) ბოლო წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვაში მოქალაქეთა მიერ პრიორიტეტულ საკითხებში სახელდება. უცნაურია, მაგრამ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს სოციალ-ეკონომიკური პრობლემები დღის წესრიგში არ აქვთ. პარტიებად თვითდეკლარირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს დაკარგული აქვთ კონტაქტი მოქალაქეებთან, ისინი ვერ გამოხატავენ და არ წარმოადგენენ მოქალაქეებს. წარმომადგენლობითი დემოკრატია არ არსებობს პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციის გარეშე. აქ **პოლიტიკური პარტიების პრობლემას** მივადექით. სამეცნიერო განმარტებით, პარტია არის ძალაუფლების მოსაპოვებლად გაერთიანებული ერთისა და იმავე იდეოლოგიის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა. ლიბერალურ დემოკრატიებში პარტიებს აქვთ შიდაპარტიული დემოკრატია, რაც გულისხმობს პარტიის მუშაობაში წევრთა ჩართულობის უზრუნველყოფას შესაბამისი პროცედურებისა და მექანიზმების საშუალებით. საქართველოს შემთხვევაში კლასიკური დეფინიციით პარტიები არ არსებობს. აქ უფრო იდეოლოგიის არმქონე ის ოპორტუნისტული პოლიტიკური ჯგუფებია შეკრებილი ერთი ლიდერის გარშემო, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ უარყოფს, რომ ძალაუფლებისთვის იბრძვის და პოლიტიკაში საკუთარ მრავალწლიან ყოფნას „ხალხზე ზრუნვითა“ და მორალური მოთხოვნილებით ამართლებს. ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის არ არსებობს თემატური ოპონირება. ამ დროს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებიდან დაწყებული, ეკონომიკური სიდუხჭირითა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურებით დამთავრებული თემების ისეთი სიმრავლეა, როგორიც ალბათ არსად სხვა საპარლამენტო დემოკრატიებში. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ან არ უნდათ, ან არ შეუძლიათ თემატური ოპონირება, პერმანენტული პროტესტი, არჩევნების გაყალბებაზე საუბარი, ამომრჩევლისთვის ბუნდოვანი იმედის მუდმივი მიცემა და ა.შ. ვერ ქმნის დემოკრატიულ პროცესს.

აქ მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმის, თუ „რა გვჭირს“. ნუსხა უფრო გრძელია და მათზე მოკლე წერაც კი სტატიის ფორმატს სცდება. ეს ფუნდამენტური საკითხები გრძელვადიან პერსპექტივაში რომ გადაწყდეს, მყისიერ რეაქციას მოითხოვს საქართველოს ყველა მოქალაქისგან, თუ გვინდა, რომ ერთ დღეს დესუვერენულ ტერიტორიაზე არ გავიღვიძოთ. ■

გიგა ჯოხაძე

ერთი წელი დიდი ომის დაწყებიდან

24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის გაუმართლებელი და არა-პროვოცირებული ინტერვენციიდან ერთი წელი შესრულდა. 2021 წლის დეკემ-ბერში რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, კოლექტიურ დასავლეთს ულტიმატუმების სია გაუგზავნა, რომელშიც ნატოსგან შემდგომი არგაფართოების საკითხზე წერილობით გარანტიებს მოითხოვდა. პარალელურად, პუტინმა სამხედრო წვრთნების საბაბით უკრაინის საზღვართან 200 000-იანი სამხედრო კონტინგენტის მობილიზება დაიწყო. კონფლიქტის ესკალაციისკენ სერიოზული ნაბიჯი პუტინმა 2022 წლის 21 თებერვალს დონეცკისა და ლუჰანსკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარებით გადადგა და კრემლის მთავარ მიზნად ამ რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში „აღდგენა“ გამოაცხადა. ამ ნაბიჯით ცხადი გახდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი იმგვარი კაზუს ბელის მოძებნას ცდილობდა, რომლითაც უკრაინაში სრულმასშტაბიან ინტერვენციას გაამართლებდა.

24 თებერვალს, გამთენიისას, პუტინი რუსი მოქალაქეების დაცვის საბაბით უკრაინაში შეიჭრა. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ პუტინი მხოლოდ დონბასის რეგიონით შემოიფარგლებოდა, თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად კრემლმა საომარი მოქმედებები უკრაინის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გაშალა და იერიში კიევზე მიიტანა. კიევზე დარტყმამ აჩვენა, რომ პუტინის მთავარ მიზანს არა ყირიმთან დამაკავშირებელი სახმელეთო დერეფნის გაჭრა და დონბასის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში „აღდგენა“, არამედ ქვეყნის სრულად ანექსირება და რეჟიმის ცვლილება წარმოადგენდა. ამერიკული და ბრიტანული სადაზვერვო მონაცემების თანახმად, კიევი უახლოეს 96 საათში დაეცემოდა. დასავლეთის სახელმწიფოებმა ზელენსკის პოლიტიკური

თავშესაფარი შესთავაზეს, თუმცა უკრაინის პრეზიდენტმა გაქცევაზე უარი თქვა და სათავეში ჩაუდგა უკრაინის ბრძოლას თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის. ომის მიმდინარეობაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა პირველი დღეების ბრძოლებმა იქონია. უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და ტერიტორიული თავდაცვის ნაწილების ეფექტურობამ, უკრაინელთა მაღალმა საბრძოლო მოტივაციამ და რუსული ჯარის ლოჯისტიკურმა პრობლემებმა ომის პირველ დღეებში კრემლის მიერ დაგეგმილი სწრაფი გამარჯვება შეუძლებელი გახადა.

ომის მიმდინარეობა და ფრონტზე არსებული სიტუაცია - რუსეთის არმიამ საომარი მოქმედებები 4 ძირითადი მიმართულებით გაშალა: 1. ჩრდილოეთის ფრონტი, რომლის მიზანი ქვეყნის დედაქალაქის აღება, რეჟიმის ცვლილება და უკრაინელთა წინააღმდეგობის სწრაფად გატეხა იყო; 2. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტი, რომელზეც პუტინის ძირითადი სამიზნე, უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქი და მთავარი ინდუსტრიული ცენტრი, ხარკოვი, იყო; 3. აღმოსავლეთის ფრონტი, რომელშიც კრემლის მიზანს დონეცკისა და ლუჰანსკის ადმინისტრაციულ საზღვრებში „აღდგენა“ წარმოადგენდა; 4. სამხრეთის ფრონტი, რომელიც მიზნად ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულთან სახმელეთო დერეფნის გაჭრასა და უკრაინისთვის შავ და აზოვის ზღვებზე გასასვლელის წართმევას ისახავდა. ომის პირველ ეტაპზე კრემლმა წარმატებას თითქმის ყველა მიმართულებით მიაღწია. სამხრეთის ფრონტზე რუსულმა არმიამ მალევე აიღო საპორტო ქალაქი ხერსონი და ალყაში მოაქცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი მარიუპოლი, რომლის ბლოკადა თითქმის 3 თვე გრძელდებოდა. კრემლს გარკვეული წინსვლა ჰქონდა ხარკოვისა და დონბასის მიმართულებითაც, ყველაზე წარუმატებელი კი კიევის ფრონტი აღმოჩნდა. პუტინი მალევე მიხვდა, რომ უკრაინის დედაქალაქი კარგად დაცულ ფორტიფიკაციას წარმოადგენდა და მისი აღება წარმოუდგენელ სამხედრო და ეკონომიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ 2022 წლის 29 მარტს მან რუსული სამხედრო ნაწილების კიევის შემოგარენიდან გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო. პუტინმა განაცხადა, რომ ომის მეორე ეტაპზე კრემლი ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ ფრონტებზე ფოკუსირდებოდა. ეს ჩრდილოეთის ფრონტზე მარცხის ირიბი აღიარება გახლდათ. ივნისიდან გამოჩნდა, რომ უკრაინა მრავალი მიმართულებით თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა, რაც შესაძლებელი გახადა უკრაინაში თანამედროვე დასავლური შეიარაღების შემოდინებამ. განსაკუთრებით ეფექტური HIMARS ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები აღმოჩნდა, რომლის მეშვეობით უკრაინა აგვისტოში ანექსირებულ ყირიმის ნახევარკუნძულსაც მისწვდა, სადაც უკრაინელებმა დიდი რუსული სამხედრო საწყობი გაანადგურეს.

ომში სტრატეგიული ინიციატივა უკრაინელებმა სექტემბრის დასაწყისისთვის დაიბრუნეს. სექტემბრის პირველ დღეებში უკრაინის ტერიტორიული თავდაცვის ნაწილებმა ხარკოვის მიმართულებით მძლავრი კონტრშეტევა წამოიწეს და 8500 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია გაათავისუფლეს. უკრაინელთა კონტრშეტევამ ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტი ჩამოშალა, რამაც რუსეთს დონბასის რეგიონთან დამაკავშირებელი ჩრდილოეთის დერეფანი წაართვა. ოქტომბრის ბოლოდან მოყოლებული არცერთ ფრონტზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული ცვლილებები აღარ დაფიქსირებულა. რუსეთის ფედერაციის ერთადერთი წარმატება აღმოსავლეთის ფრონტზე მცირე ქალაქ სოლედარის დაკავება აღმოჩნდა. რუსული არტილერია უკვე თვეებია ბომბავს დონბასში მდებარე ქალაქ ბახმუტსაც, თუმცა ქალაქის ხელში ჩაგდებას დღემდე ვერ ახერხებს.

უკრაინაში ომის დაწყებიდან 1 წლის თავზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციამ დასახულ სტრატეგიულ მიზნებს ვერცერთი მიმართულებით ვერ მიაღწია. ხერსონისა და მარიუპოლის შემდეგ რუსეთის ფედერაციას არცერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი აღარ აუღია. რუსულის არმიის წარუ-მატებლობაზე მიუთითებს ისიც, რომ 4 ძირითადი საომარი ფრონტიდან 2 (კიევი,

ხარკოვი) სრულად ჩამოიშალა, დანარჩენ ორ ფრონტზე კი რუსებს ფაქტობრივად არანაირი წინსვლა არ აქვთ.

საერთაშორისო გამოხმაურება - უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ ცივილიზებული სამყარო ერთხმად შეთანხმდა იმაზე, რომ კრემლს უკრაინული ავანტიურა ძვირად უნდა დასჯდომოდა. ომის საწყის დღეებშივე დასავლეთმა რუსეთის ფედერაციას უმძიმესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი რუსული მსხვილი ბანკების უმეტესობის გლობალური ფინანსური სისტემა – SWIFT-დან გათიშვა იყო. დასავლეთმა რუსეთს უცხოეთში განთავსებულ სავალუტო რეზერვებზე წვდომაც შეუზღუდა, რომლის ჯამური ღირებულება 450 მილიარდ დოლარს შეადგენდა. პუტინის უახლოეს გარემოცვას, რუს დეპუტატებსა და ოლიგარქებს დასავლეთში არსებული ფინანსური აქტივების უმეტესობა გაეყინათ. რუსეთში ოპერირება შეწყვიტა საერთაშორისო კომპანიების დიდმა ნაწილმა. ქვეყნების უმრავლესობამ გაანახევრა ან საერთოდ შეწყვიტა ვაჭრობა რუსეთთან, განსაკუთრებით კი სამხედრო მრეწველობის, ნავთობმოპოვებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. გერმანიამ შეაჩერა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი.

კითხვაზე, რამდენად ეფექტურია დასავლეთის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ დასავლეთის მიზანს. თუ დასავლეთის მიზანი რუსეთის ფედერაციის სრული ჩამოშლა და პუტინის რეჟიმის ცვლილება იყო, ამ შემთხვევაში სანქციები არასაკმარისად ეფექტურია. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ენერგოპროდუქტებზე სრული ემბარგოს დაწესებით იქნებოდა შესაძლებელი, რადგან რუსეთის ეკონომიკა კრიტიკულადაა დამოკიდებული ენერგოპროდუქტების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზე. მსგავსი სცენარის განხორციელება რთულად წარმოსადგენია. თუმცა, თუ დასავლეთის მიზანი პუტინის რეჟიმის თანდათანობითი დასუსტება იყო, მაშინ დასავლეთმა ამ მიზანს ნამდვილად მიაღწია. დაწესებული სანქციების უმრავლესობა იმგვარადაა შემუშავებული, რომ პუტინის რეჟიმი დროთა განმავლობაში ეტაპობრივად დაასუსტოს. კრემლის დასუსტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა. უკრაინაში ომის დაწყებამდე კონტინენტის გაზმომარაგების დაახლოებით 40%-ს რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფდა. რუსული პროპაგანდა ნიშნის მოგებით საუბრობდა ზამთრის მოახლოებასა და ევროპის „გაყინვის“ საფრთხეზე, თუმცა ევროპული სახელმწიფოების უმეტესობამ რუსეთისგან გაზის შესყიდვა ან სრულად აკრძალა, ან მასზე დამოკიდებულება კრიტიკულად შეამცირა. რუსეთზე დამოკიდებულება ოქტომბრის ბოლოსთვის 40%-დან 7.5%-მდე შემცირდა. ევროპის კავშირმა ახალი პარტნიორების ძებნა დაიწყო და შემოდგომის დასაწყისისთვის ზამთრის მარაგები სრულად შეავსო. ევროპის კავშირის მიერ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესუსტებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი სპეკულაციებს ევროპის გაყინვის საფრთხეზე და კრემლს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბერკეტი წაართვა.

რუსეთის დასუსტების პარალელურად, დასავლეთმა უკრაინის ბრძოლის-უნარიანობის გაძლიერებაზე მუშაობა აქტიურად დაიწყო. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დასავლურმა სამყარომ უკრაინას დაახლოებით 150 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო, ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარება გამოუყო. უკრაინის დახმარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც ომის დაწყების შემდეგ უკრაინას თითქმის 70 მილიარდი დოლარის ღირებულების დახმარება გადასცა. ამ დახმარების დიდი ნაწილი (44 მილიარდი დოლარი) პირდაპირ სამხედრო დახმარებაზე წავიდა. უკრაინას თითქმის 30 მილიარდით დაეხმარა ევროპის კავშირი, 3-3 მილიარდით - დიდი ბრიტანეთი, კანადა, პოლონეთი და ა.შ.

ომში გამარჯვება შეუძლებელია უკრაინისთვის თანამედროვე შეიარაღების გადაცემის გარეშე და ამ მიმართულებით დასავლეთი განსაკუთრებით 2023 წლის

დასაწყისიდან გააქტიურდა. 2023 წელს მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას თითქმის 4 მილიარდი დოლარი გამოუყო, რომელიც რამდენიმე ათეული ტანკის, ჯავშანტრანსპორტიორის, ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებისა და ათობით ათასი ჭურვის შეძენას მოხმარდება. იანვარში რამშტაინის ბაზაზე კიდევ ერთხელ შეიკრიბა უკრაინის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის განმავლობაში უკრაინისთვის 500-ზე მეტი თანამედროვე ტიპის ტანკის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო. ჯამურად, დასავლეთმა უკანასკნელი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უკრაინაში პუტინის რეჟიმის დამარცხების მიზნით. ამ მხრივ, სავარაუდოა, რომ დახმარების ხარისხი და მასშტაბები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება უკრაინის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

სამომავლო სცენარები - დასავლური სადაზვერვო მონაცემებით, რუსეთის ფედერაცია გაზაფხულიდან უკრაინაში ახალი შეტევითი კამპანიის ორგანიზებას აპირებს, რისთვისაც რეზერვისტთა ახალ ნაკადებსა და დიდი რაოდენობით ახალ შეიარაღებას ამზადებს. საპასუხოდ, დასავლეთიც ზრდის უკრაინის თავდაცვისუნარიანობას. დასავლეთში არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ ომი აუცილებლად უკრაინის სრული და უპირობო გამარჯვებით უნდა დასრულდეს. ამ ფონზე წარმოუდგენელია ისეთი სცენარის განვითარება, რომელშიც რუსეთის ფედერაცია უკრაინის ანექსირებას და რეჟიმის ცვლილებას ახერხებს. რუსეთს უკვე დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნებაც გაუჭირდება. უფრო სავარაუდოა, რომ პუტინის რეჟიმი შეეცდება ახალი შეტევის მომზადებას და მეტი ტერიტორიის დაკავებას, რათა მოლაპარაკებებისთვის ძლიერი პოზიცია დაიკავოს. პუტინი ცდილობს, უკრაინა მისთვის სასურველი პირობებით მოლაპარაკებაზე დაითანხმოს. რუსეთის პრეზიდენტის მიზანია მის მიერ ანექსირებული ტერიტორიების (ყირიმი, დონეცკი, ლუჰანსკი, ხერსონი და ზაპოროჟიე) საერთაშორისო ლეგიტიმაცია, უკრაინის სამხედრო ნეიტრალიტეტი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე უარის თქმა. თავის მხრივ, უკრაინის ხელისუფლების მიზანია უკრაინის ტერიტორიების სრულად გათავისუფლება, ყირიმის ნახევარკუნძულის ჩათვლით. აქტორთა მიზნებს შორის სრული შეუთავსებლობის გათვალისწინებით, თითქმის წარმოუდგენელია, რომ უახლოეს მომავალში რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებები შედგეს, რასაც უკრაინის უმაღლესი თანამდებობის პირთა განცხადებებიც ადასტურებს.

საერთაშორისო პოლიტიკაში რთულია რაიმეს წინასწარ განსაზღვრა, თუმცა ერთი ცხადია - ომის დაწყებიდან 1 წლის თავზე უკრაინა ფეხზე მყარად დგას. უკრაინელი ხალხი მზადაა, გააგრძელოს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისთვის, იქამდე, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიას ბოლო რუსი ჯარისკაცი არ დატოვებს. სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვება ვუსურვოთ მათ ამ კეთილშობილურ საქმეში! ■

ანდრო ბარნოვი

სად არის მნემოსინე?
ანუ ვინ მეტს დალევს ზომბების ზეიმზე

ქვემოთ კოლექტიური მეხსიერებისა და ეროვნული იდენტობის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ, ანუ ძალიან დიდი თემა ძალიან მცირე ფორმატში უნდა განვიხილოთ და ამიტომ გვარიან სიმპლიფიკაციებს თავიდან ვერ ავიცილებთ. ამისთვის ბოდიშს წინასწარ ვიხდი მკითხველის წინაშე, თუმცა მგონია, რომ ამ თემაზე და ამ ფორმატში წერა მაინც აუცილებელია. ჩვენ, ანუ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნის ხვალინდელ დღეზე პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, მხოლოდ კომპეტენცია კი არ გვჭირდება, არამედ, პირველ ყოვლისა, ქვეყნის სავალი გზის დიდ ხედვებზე შეთანხმება, ეს კი იმას გულისხმობს, რომ აზროვნება ყველაზე ღრმა პრობლემებიდან დავიწყოთ. როგორი ჯარი და ეკონომიკა, განათლება და ჯანდაცვა გვჭირდება - უმნიშვნელოვანესი საკითხებია, მაგრამ ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება ჩვენი საზოგადოება თანმიმდევრული გახდეს დიდი საკითხების გადაწყვეტისა და განხორციელებისას. ანუ, პირველ ყოვლისა, იმ დიდ კითხვებზე პასუხის გაცემა გვჭირდება, რომლებიც ჩვენი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ეფექტიანობაზე დამანგრევლად მოქმედებს.

***



იშვიათ საზოგადოებაში ნახავს კაცი ამდენ ხმალამოღებულ დაპირისპირებას, ერთი შეხედვით, ცხადი და მარტივი თემების გარშემო, რამდენსაც საქართველოში. ხანდახან ისე ჩანს, რომ შეთანხმება უბრალოდ არ შეგვიძლია. ვდავობთ ყველაფრის გამო, მტრებადაც კი ვეკიდებით. სხვადასხვაგვარად ვყვებით ისტორიას, სხვადასხვა პოლუსიდან აღვიქვამთ აწმყოს, რადიკალურად განსხვავებული სურათები გვაქვს მომავლის. თითქოს, ეს ქვეყანა საერთო არაა, თითქოს, სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვიღაც ძალით შეგვყრის ხოლმე ერთად მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთის აუტანლობა დავაფიქსიროთ. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წუთიდან მოყოლებული, ყველაფერი სხვადასხვაგვარად „გვახსოვს“. ყველას ჩვენი ჭეშმარიტება გვაქვს და ამ „სიმართლეთა“ დატოლებით მოვდივართ დღემდე.

ამიტომაც პოპულარულია, რომ ეროვნული მეხსიერების ნაკლებობაზე ყველა მხარე ჩიოდეს. ლოგიკურიცაა - ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ხომ უნდა იყოს „უფრო მართალი“ ამ დავაში? მოკლედ, ამ სიმართლის გამორკვევა გვინდა ზუსტად:

ვინ არის მართალი? ვინმე არის მართალი?

ეროვნულ მეხსიერებაში *კოლექტიური მეხსიერება* იგულისხმება და მიუხედავად იმისა, რომ მისი მოშლა პიროვნულ დაპირისპირებებს ბლომად იწვევს, გონიერი დამკვირვებელი თავიდანვე ხვდება, პრობლემა ცალკეული ადამიანი არაა. ეს ღრმა სოციალური პრობლემაა და, თუ მისი განკურნება გვინდა, მისი ფესვების მოძიებაა აუცილებელი.

ფაქტია - დამოუკიდებელი საქართველოსთვის დიდი პრობლემა აღმოჩნდა კოლექტიური მეხსიერება - ჩვენ ის, უბრალოდ, არ გვაქვს. ცალკეული ინდივიდის კარგი მეხსიერება ამ პრობლემას არაფერს აძლევს. სოციუმისთვის ისინი არა მარტო არაფრის მაქნისია, არამედ ხშირად, შეიძლება, კონტექსტიდან ამოვარდნილიც კი აღმოჩნდეს და საზოგადოების დამატებითი გახლეჩაც გამოიწვიოს, რადგან *კოლექტიური მეხსიერება არ არის „ობიექტური“*. კოლექტიური მეხსიერება გამოხატავს ერთგვარ კოლექტიურ შეთანხმებას წარსულის აღქმის წესების შესახებ: ის საზიარო იარაღია კოლექტივის მიერ წარსულის აღსაქმელად და ამ კოლექტივის გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების სასხლეტია.

არ არსებობს ისეთი ჩამოყალიბებული სოციუმი, რომ არ ჰქონდეს საერთო ინტერესები, არ ჰქონდეს წარსულისა თუ აწმყოს საერთო აღქმა. მაგალითად, ვერ ვნახავთ ქართველს, რომლისთვისაც ჩინგიზ ყაენი გმირია, ისევე როგორც ვერ ნახავთ მონღოლს, რომლისთვისაც ჩინგიზ ყაენი გმირი არ არის. ეს, ერთი შეხედვით თავისთავად ცხადი გარემოება, არც ისე მარტივი აღმოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველთა ნაწილისთვის სტალინი გმირია, ნაწილისთვის კი - სისხლიანი დამნაშავე, პუტინი ზოგისთვის ძლევამოსილი პოლიტიკოსია, ზოგისთვის კი - მკვლელი და კრიმინალი. როგორ ხდება, რომ ჩინგიზ ყაენზე ვთანხმდებით, სტალინსა და პუტინზე კი - ვერა? როგორ ხდება, რომ ქართველების ნაწილისთვის რუსეთი ოკუპანტი და მტერია, ნაწილისთვის კი - ერთმორწმუნე და მოძმე ერი?

როგორ ხდება, რომ ჩვენი მოსახლეობის ნაწილი უმწვავესად რეაგირებს რომელიღაც ხელისუფალის ნათქვამზე - „ომი საქართველომ დაიწყო“, ნაწილი კი მოწონებით კვერსა და ტაშს უკრავს? რატომ ვართ ნაწილი თავგადაკლული მედასავლეთენი მაშინ, როცა ვიღაცები ოკუპანტ რუსეთს მისტირიან? რამ და როგორ გაგვყო ასე, რომ დიდ, ფუნდამენტურ საკითხებზეც კი ვერ ვთანხმდებით? - რომელ მხარეზეც გინდა იდგე, საზოგადოების ასეთი რადიკალური დაყოფა ყველასთვის პრობლემაა.



ფსიქოლოგიაში უამრავი საინტერესო კვლევა არსებობს კოლექტიური მეხსიერების შესახებ. რადგან ეს პუბლიცისტური წერილია და არა - აკადემიური კვლევა, ზოგადად ვიტყვი, რასაც ეს კვლევები ცხადყოფს. პირველი - ეს ადამიანის მეხსიერების *„მოქნილობაა“*, რაც მისი *დეფექტურობიდან* გამომდინარეობს. ადამიანის მეხსიერების არასრულყოფილება უპირატესობაა კოლექტიური მეხსიერებისათვის, რადგან ითვლება, რომ *მეხსიერების რეკონსტრუქციული ბუნება* ᲧᲒუფის მეტ კოგნიტურ მოქნილობას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ხსენებული რეკონსტრუქციული ბუნება უშუალოდ მეხსიერების მატარებელი ინდივიდების *იდენტობაზეა* დამოკიდებული. მარტივად რომ ვთქვათ, ინდივიდები ხშირად ივიწყებენ იმას, რაც მათ იდენტობას ეწინააღმდეგება, შემდეგ კი, *მეხსიერების რეკონსტრუქციული ბუნების* წყალობით, რეალობის კვლავ-წარმოებას ახდენენ საკუთარი წესებით, თუმცა ეს რეალობა შეიძლება, სულაც არ იყოს ჭეშმარიტთან ზედმიწევნით თანხვდომილი.

რამდენადაც ახლოა ერთმანეთთან სოციუმის წევრების იდენტობები, იმდენად ერთნაირად ახდენენ ისინი წარსულის რეკონსტრუქციას, ეს კი კოლექტივის სოციუმის იდენტობის შემქმნელი აგურებია. შესაბამისად, ადვილად გასაგები ხდება, რა ხდება მაშინ, როცა საზოგადოების წევრთა იდენტობები და რეალობის

აღქმის წესები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან - ისინი წარსულის რეკონსტრუქციას სხვადასხვაგვარად ახდენენ: ის, რაც ჭეშმარიტებაა ერთისთვის, სიცრუეა მეორისთვის და - პირიქით. ასე ზარალდება კოლექტიური მეხსიერება, რომლის საფუძველშიც, კიდევ ერთხელ რომ გავუსვათ ხაზი, პირთა იდენტობის (ან მისი არქონის) პრობლემატიკა ძევს.

მნემოსინე, ლეთეს მსგავსად, ჰადესში ჩამდინარე ერთ-ერთი მდინარის ბატონ-პატრონია. თუ ლეთე დავიწყების წყაროა, მნემოსინე - მეხსიერებისა. თუ მკვდრები ლეთეს წყალს სვამენ, ინიცირებულებმა მნემოსინეს წყალი უნდა დალიონ. ჩვენებურად რომ მოვთარგმნოთ, ეს ნიშნავს, რომ ძველი ბერძნები მეხსიერებას სოციუმის სიცოცხლის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ.

თეორიული მსჯელობის მარწუხებში რომ არ მოვექცეთ, შევხედოთ, როგორ იქცევიან წარმატებული საზოგადოებები. ილუსტრირებისათვის მრავალ შესაძლო გზას შეგვიძლია დავადგეთ, მაგრამ აქ ვარჩიეთ, ღრმა (მაგრამ კარგად ცნობილ) წარსულში ჩავიხედოთ და ძველი ბერძნების საზოგადოებას, მათი სააზროვნო სტრუქტურის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს გადავავლოთ თვალი. ზოგადადაც, როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერების ამა თუ იმ ასპექტს გვინდა ჩავუღრმავდეთ, მითოსი საინტერესო კონსტრუქტებს გვიკარნახებს ხოლმე. მითი იმით არის საინტერესო, რომ ის თეორიული სპეკულაცია კი არ არის, არამედ, ლამის მეცნიერების მსგავსად, საუკუნეების განმავლობაში შემოწმებული ცოდნის სახეა, რომელიც მისი მატარებელი სოციუმის შესახებ უამრავ საინტერესო რასმე გვიყვება. ძველი საბერძნეთის საზოგადოება წარმატებული საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო და კარგად შესწავლილი ნიმუშია. ესეც არ იყოს, ადამიანთა სოციუმებში მსგავსი კონსტრუქტები მუშაობს, ამიტომ, გარკვეული თვალსაზრისით, მითი უნივერსალურ კანონსაც აღწერს ხოლმე...

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში *მნემოსინე* მეხსიერების ქალღმერთია და პანთეონში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. თავად განსაჯეთ: ის ურანოსისა (ზეცის) და გეას (დედამიწის) შვილია, თორმეტი ტიტანიდან - ერთ-ერთი. ტიტანების გარდა, ჰეკატონხეირონები (ასხელა ურჩხულები) და კიკლოპებიც მისი და-ძმანი არიან. კრონოსი, ძველი სამყაროს უმაღლესი გამრიგე, მისი ძმაა. ბევრ მკვლევარს დღესაც კი უკვირს, რატომ მოათავსეს ბერძნებმა *მნემოსინე* ასეთ, ლამის პრიმორდიალურ, ქაოსში, თუმცა ამ კითხვის პასუხი ქვემოთ გამოჩნდება.



ტიტანები ძველი ღმერთები არიან, რომლებიც კრონოსის შვილმა, ზევსმა, შეიპყრო და ტარტარში უკრა თავი. მშვენიერ *მნემოსინეს* ზევსის რისხვა არ შეხებია, ის კი არა, დიდად პატივცემულ ქალღმერთად დარჩა და სიუჟეტურად ეს გასაგებიცაა: *მნემოსინემ* ზევსთან შეწყვილებით ცხრა მუზა მოუვლინა ქვეყანას! დიახ, ცხრავე (ყველა) მუზა *მნემოსინეს* შვილია.

ბევრ მეცნიერსაც კი ასე სჯერა, რომ მუზები ხელოვნების სხვადასხვა დარგს განაგებენ, მაგრამ საქმე ცოტა სხვაგვარადაა. სინამდვილეში, მუზები საკრალური რიტუალების (*კოლექტიური ცოდნის*) სხვადასხვა ასპექტს კურირებენ, რომ ღმერთებსა და ადამიანებს შორის კავშირი ურღვევი იყოს. აქ ხელოვნება არ არსებობს ღმერთებისაგან დამოუკიდებლად, ხელოვნების დარგებს ამ დროს (და, იქნებ, ახლაც) დამოუკიდებელი ღირებულება არ აქვს. მათი ფუნქცია ღმერთების დიდებაა და ამიტომაც ეწვევიან ხოლმე მუზები ადამიანებს, რომ მათ უკეთ გაართვან თავი ღმერთების მსახურებას. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ადამიანებს ემახსოვრებათ ის სიბრძნე, რომელიც მანამდე უკვე მიეცათ ღმერთებისგან. მუზები, რეალურად, *მნემოსინეს* დარგობრივი ინკარნაციები არიან. *კოლექტიურ ცოდნას* ადამიანები სწორედ მათი საშუალებით ეზიარებიან, მათი მეშვეობით *იხსომებენ, იხსენებენ და ახსენებენ (გვიყვებიან)*.

რატომ არიან მუზები მაინცდამაინც *მნემოსინეს* (მეხსიერების) შვილები? ეს ორგვარად აიხსნება. ერთი - ტექნიკური ახსნაა: ზეპირი ტრადიციისთვის მეხსიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. როცა არ არსებობს დამწერლობა,

ცოდნის ფიქსაცია და გადაცემა მხოლოდ მეხსიერებას შეუძლია. მაგრამ ნებისმიერი დამწერლობა ისევ მეხსიერებას ემსახურება და ამიტომ, როდესაც *მნემოსინეს* მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, მისი პირველმიზეზი არა ინდივიდის მეხსიერების უნარის, არამედ - კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობის გაცნობიერებაა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ *მნემოსინე* დამწერლობის შემოსვლის შემდეგაც ძალიან პოპულარული დარჩა საბერძნეთში. მუზების ხსენებით იხსნება ჰომეროსის პოემები, *მნემოსინეს* კი მუდმივად იხმობენ გმირები შემწედ სიტყვისა თუ საქმის სიმართლის დასამოწმებლად - თითქმის ზუსტად ისე, ახლა რომ იტყვიან ხოლმე: „კონსტიტუციის თანახმად“. ასე რომ, ერთგვარად, *მნემოსინე* პრეცედენტული წესრიგის როლს ასრულებს ამ საზოგადოებაში და ელინთა ცხოვრების წესის მდგრადობასა და მუდმივობას უზრუნველყოფს. როგორც ჰესიოდე გვიხსნის, პოლიტიკოსები (მეფეები) და პოეტები სწორედ *მნემოსინესა და მუზებისგან* იღებდნენ ძალებს თავიანთი შთამაგონებელი პერფორმანსებისთვის.

მნემოსინე, ანუ კოლექტიური მეხსიერება, თავად არის სოციუმის თვითაღქმა და მსოფლაღქმა, ანუ კოლექტიური იდენტობა.

საქმე უფრო შორსაც მიდის. *კოლექტიური მეხსიერება* ბერძნებისთვის *მაგიური ძალის* მქონე ფენომენია, რომელიც სოციუმის სიცოცხლის წინაპირობად აღიქმება. თავად განსაჯეთ: *მნემოსინე, ლეთეს* მსგავსად, ჰადესში ჩამდინარე ერთ-ერთი მდინარის ბატონ-პატრონია. თუ ლეთე დავიწყების წყაროა, *მნემოსინე - მეხსიერებისა*. თუ მკვდრები ლეთეს წყალს სვამენ, ინიცირებულებმა *მნემოსინეს* წყალი უნდა დალიონ. ჩვენებურად რომ მოვთარგმნოთ, ეს ნიშნავს, რომ ძველი ბერძნები მეხსიერებას სოციუმის სიცოცხლის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდნენ.

როგორც ვხედავთ, *მნემოსინე* ლოგიკურად იკავებს ასეთ გამორჩეულ ადგილს ბერძენთა პანთეონში. ის პირველ ღმერთებთან ერთად ჩნდება და სწორედ ის ქმნის მისი მატარებელი სოციუმის თვალსაზრისს ყველაფრის შესახებ - იქნება ეს სამყაროს შექმნა, სოციალური ურთიერთობის წესები თუ - ნებისმიერი ურთიერთმიმართება ამ სოციალური წესრიგის ნაწილებს შორის! *მნემოსინე ქმნის ენას*, იგონებს ყველა სიტყვას, ყველა რიტუალს და მთელ მითოსს. თუ რამე იცოდნენ ბერძნებმა სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ, ყველაფერი - მხოლოდ *მნემოსინეს* წყალობით.

რა არის ელინი? - ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ *მნემოსინე* იძლეოდა, როგორია ბერძნების მიერ დანახული სამყარო? - მთლიანობაში ეს მხოლოდ *მნემოსინემ იცის. კოლექტიური მეხსიერება ერთგვარი მეგა-რიტუალია*, რადგან მთელი მითოსი *მნემოსინეში* ეტევა, ანუ *მნემოსინეა* ელინის თვალით დანახული *მთელი სამყარო*. შესაბამისად, კოლექტიური *მეხსიერება* და კოლექტიური იდენტობა ძველ ბერძენთათვის, ფაქტობრივად, სინონიმური ცნებებია. ამასთან, *მნემოსინე*, როგორც უკვდავების წყარო, არა მხოლოდ იდენტობას ქმნის, არამედ - თავად ამ სოციუმის არსებობისა და უკვდავების წინაპირობაცაა. ის არის სახელდების დედა, ენისა და ყველა ტრადიციის ავტორი და შემნახველი. *მნემოსინე*, ანუ *კოლექტიური მეხსიერება*, თავად არის სოციუმის თვითაღქმა და მსოფლაღქმა, ანუ კოლექტიური იდენტობა.



მაგრამ არა მხოლოდ ძველი ბერძნებისთვის იყო ეს ასე. კოლექტიური მეხსიერება იდენტობის მაფორმირებელია ნებისმიერი სოციუმისათვის. მის გარეშე არ არსებობს არანაირი შეკრული სოციუმი, არანაირი - შემდგარი ერი.

***

როგორც წესი, ინდივიდებს კონფორმიზმის მიდრეკილება აქვთ და, მათ შორის, კოგნიტური კონფორმიზმის. ამიტომ, სოციუმის წევრების მეხსიერება ყალიბდება არა მხოლოდ მათი ინდივიდუალური გამოცდილებებით, არამედ - გაზიარებული გამოცდილებებით, ანუ იმ ნარატივებით, რომლებსაც ისინი ერთმანეთს უზიარებენ. საზოგადოებაში ყველა ნარატორია, თუმცა არსებობს ნარატორების ფუნქციური იერარქია და ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ სოციუმის იდენტობის ფორმირებაზე. რას ვყვებით, როგორ ვყვებით, როგორ აღვიქვამთ და როგორ

ვიმახსოვრებთ - იდენტობისთვის ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის პროცესებია.

არსებობს *დომინანტი ნარატორის* ცნება, რაც ნიშნავს როგორც *ავტორიტეტულ* მთხრობელს, ისე იმას, თუ ყველაზე *ხშირად* ვინ უზიარებს ამბებს კოლექტივის წევრებს. დომინანტ ნარატორებს გადამწყვეტი როლი აქვთ კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესში. ძველ საბერძნეთში ესენი მომღერლები, მისნები და ბასილევსები იყვნენ, ჩვენთან კი ესენი არიან პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ხელოვნების ხალხი, ასევე სხვადასხვა სახის პოპულარული „ინფლუენსერი“ - რაც ახალი სამყაროს საჩუქარია. ისინი ყველა გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საზოგადოების იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

ჩვენ გვანგრევს არა ის, რომ დამოუკიდებლობისთვის უთანასწორო ბრძოლა გვიწევს, არამედ ის, რომ დამოუკიდებლბისათვის არ ვიბრძვით. ან - ვიბრძვით ეპიზოდურად, მაგრამ ყოველთვის - არაკომპეტენტურად.

ჩვენ ხშირად გვგონია, რომ საზოგადოების გახლეჩა ისტორიის ბრალია. დაპყრობების, კოლონიური წარსულის, განათლების დაბალი დონის და ა.შ., მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ სწორი შეფასებაა. ეფექტიანი კოლექტიური მეხსიერება რთული წარსულის მქონე ნებისმიერ სოციუმს შეიძლება სწრაფად ჩამოუყალიბდეს, თუ მას მუდმივად არ ანგრევენ რადიკალურად განსხვავებული ნარატორები. საქართველოს საზოგადოებაზე დამანგრეველ გავლენას ახდენს ის, რომ ვერც ერთმა ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ ან არ გაიაზრა „ნარატორების“ პრობლემა. მედიის კონტროლს რომ ყველა ცდილობს, ეს ამ პრობლემის მხოლოდ მახინჯ გაგებას ნიშნავს. ტექნიკური თვალსაზრისით, ყველაზე კარგად ეს საკითხი ჩვენს მტერს ესმის და ამიტომაცაა, რომ კოლაბორაციონისტი ხელისუფლება ზედმიწევნით კომპეტენტურად მიჰყვება საზოგადოების ზომბირების სახელმძღვანელოს. მათი ტექნიკური კომპეტენცია ჩვენ არ გვარგია, რადგან მათი მიზნები ჩვენი მიზნებისაგან რადიკალურად განსხვავდება. ასე რომ, ჩვენ გვანგრევს არა ის, რომ დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლა გვიწევს, არამედ ის, რომ დამოუკიდებლბისთვის არ ვიბრძვით. ან - ვიბრძვით ეპიზოდურად, მაგრამ ყოველთვის - არაკომპეტენტურად.

შევხედოთ, როგორ ცვლის საზოგადოების იდენტობას კოლაბორაციონისტი ხელისუფლება: ქვეყანაში, სადაც ანტიდასავლური რიტორიკა სრულიად წარმოუდგენელი იყო, ჯერ უსახელო ტროლ-ბოტთა დიდი არმიის დაფინანსებით, შემდეგ - სხვადასხვა პროპაგანდისტული თუ მანიპულაციური მეთოდითა და ახლა უკვე ხელისუფალთა განცხადებებით ჩვენი ერის მტერმა ნელ-ნელა გააჩინა ნაპრალი, რომელიც უკვე უფსკრულად იქცა. ჩვენ საკუთარი თვალით ვაკვირდებით საქმის მცოდნე სამსახურების მიერ ერის მოკვდინებისათვის გამიზნულ, კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სპეცოპერაციას. ისინი ჯერ კლავენ საზოგადოების კოგნიტურ თანმიმდევრულობას, შემდეგ ამრავლებენ ზომბირებულთა არმიას, შემდეგ ამ არმიის ლიდერებად გვევლინებიან და, დღეის მდგომარეობით, მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებთ ღია, მასიური ძალადობისაგან, როცა ეროვნული სულისკვეთების კუნძულებს ცეცხლითა და მახვილით დაერევიან, რათა მთელი საზოგადოება მტრის ნარატივის ადეპტებად აქციონ.



რაც შეეხება წარსულს, ის მართლაც გვანგრევს. უფრო სწორად, სიცოცხლის საშუალებას არ გვაძლევს ის, რომ წარსულში უკვე „დავიხოცეთ“ და ეს არ გვახსოვს, ამას ვერ აღვიქვამთ. საქართველოს მენტალური მთლიანობა დანგრეულია და ერი კი მეტი არც არაფერია, თუ არა - სოციუმის კოგნიტური ერთობა. ამ აზრით, ქართველი ერი, როგორც ერთიანი ორგანიზმი, სრულიად დარღვეულია.

ებრაელებმა, მნიშვნელოვანი აზრით უკრაინელებმაც, გაცოცხლება ენის გაცოცხლებით დაიწყეს. გამქრალი ენა გამოგლიჯეს დავიწყებას, უკან ამოანთხიეს ლეთეს წყლები და *მნემოსინე* სვეს. *მნემოსინეს* მოუხმეს და ახალი სახელდება დაიწყეს. შემდეგ კი ამ ენაზე ალაპარაკდნენ და გაცოცხლდნენ.

ვიღაც იტყვის, ჩვენ ასე მძიმე მდგომარეობაში არ ვართ, ენაც გვაქვს და ერიც

გვქვიაო, მაგრამ ასე არაა. ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვართ, რადგან საკუთარი სხეულის რღვევას, გონების გაბნევას და, ამგვარად, ერის ფესვებიდან მოწყვეტას არ ვაღიარებთ. უფესვო ხესავით ვიწონებთ თავს პირველი ძლიერი ქარის დაბერვამდე, ზომბებივით ვუსხედვართ გაშლილ სუფრას და მხოლოდ ის გვაინტერესებს, ვინ ვისზე მეტს დალევს. იმ საჭმელზეც არ გვინდა პასუხისმგებლობის აღება, სუფრაზე რომ გვიდევს. ასე რომ არ იყოს, კარგად გავიაზრებდით, რა საიდან მოდის, მეტი საიდან მოვა და უკეთესი სად იშოვება. მაგრამ არა - ჩვენ ადვილ ლუკმას ვარჩევთ და, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ერი მალე რუსული ფეიკის ყველაზე წარმატებულ ნიმუშად იქცევა - როგორიც სინამდვილეში იყო კიდეც საბჭოთა იმპერიის ფარგლებში.

რომ არა ებრაელთა ან უკრაინელთა მიერ კვდომისთვის თვალის გასწორება, ვერც გაცოცხლებას ეცდებოდნენ ასეთი ენერგიით. ჩვენ კი მკვლელებსა და ბანდიტებს ისეთივე პატივით ვკრძალავთ პანთეონში, როგორითაც - შეწირულ მამულიშვილებს...

სად წავიდა *მნემოსინე?* სად წავიდა და - მტრებმა მკვდარს ჩააყოლეს! და ყოველ ჯერზე ახალ მკვდარს ჩააყოლებენ ხოლმე მას, როცა ეროვნული ცნობიერების მორიგ სიმბოლოს დებენ მიწაში.

ერი, რომელსაც დომინანტი ნარატორები სიმართლეს უმალავენ, ვერ აღდგება. უნდა გვახსოვდეს - მთხრობლის ავტორიტეტი და თხრობის ინტენსივობა აქ გადამწყვეტია, რაც მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად *პოლიტიკოსთა, ხელოვანთა, სპორტსმენთა, მედიისა და თუ ნებისმიერი სხვა „ინფლუენსერის“* როლზე მიგვანიშნებს. „ხელოვნება და პოლიტიკა სხვადასხვაა“, „სპორტს პოლიტიკაში ნუ ავურევთ“ და მსგავსი მესიჯები პირდაპირ კრემლში დაწერილი ფორმულებია და ერის კოგნიტური ერთობის გახლეჩას ისახავს მიზნად. ისახავს და აღწევს კიდეც! ჩვენ კი, რამენაირად გონიერება უნდა გვეყოს, რომ ეს პროცესი, ერთი მხრივ, ნათლად დავინახოთ, მეორე მხრივ კი - სიმართლის მასებამდე მიტანა შევძლოთ.

ჩვენ უნდა ჩავრთოთ ხელოვნური სუნთქვა და მივმართოთ რუპორები ადამიანთა ყურებისკენ. ცხადად უნდა დავანახოთ ყველას, რომ ჩვენს ეროვნულ იდენტობას მტერი გააფთრებით ანადგურებს, რომ ეს ყველას პრობლემაა და უნდა გავხდეთ ერთგვარი „პრომეთე“, რომელიც არა მხოლოდ ჭვრეტს მომავალს, არამედ - ციდან ცეცხლიც ჩამოაქვს და ამ მომავლისაკენ სავალ გზასაც აჩვენებს ადამიანებს.

ერთბაშად ვერ გავცოცხლდებით. მაგრამ თუ უახლოეს ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ სასწაულები დროს არ ემორჩილება. საკმარისია ერთი იმპულსი, რომ ჯაჭვური რეაქციით სხეულის ყველა ნაწილს უსწრაფესად მოედოს სიცოცხლე.

დომინანტი ნარატორები ამგვარი აღდგომის გასაღებია, ერთი იდეითა და საზიარო ღირებულებებით გაერთიანებული ნარატორები ერის სიცოცხლის აუცილებელი პირობაა. ნებისმიერი ასეთი კერა, რომელიც ამ ადამიანებს შემოიკრებს, ოქროს ასოებით ჩასაწერია ერის მეხსიერებაში. რადგან ეს ჩემი პირველი სტატიაა „ახალ ივერიაში“, მინდა, აქვე მივესალმო შესანიშნავ წამოწყებას და ვუსურვო, ერთ ასეთ უმნიშვნელოვანეს კერად ჩამოყალიბდეს, რომელიც ერის გაცოცხლებასა თუ გამოღვიძებაში თავის წონად სიტყვას იტყვის. ■

გიორგი ფანიაშვილი

მოსკოვიდან დანახული საქართველო

18 იანვარს გამართულ პრეს-კონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, 2022 წლის რუსული დიპლომატიური სამსახურის მუშაობა შეაჯამა. ლავროვის ეს შემაჯამებელი პრეს-კონფერენცია ქართული აუდიტორიის თვალსაწიერში, ალბათ, ნაკლებად მოხვდებოდა, რომ არა ის ქათინაურები, რომლებიც მან ოფიციალური თბილისის მიმართ არ დაიშურა. რუსული დიპლომატიის დიდი ხნის თავკაცმა საქართველოს ხელისუფლებას დასავლური წნეხის ამრიდი გამძლეობა მოუწონა და რუსეთ-საქართველოს შორის შეწყვეტილი ფრენების აღდგენაც არ გამორიცხა. დასავლურ სანქციებთან არშეერთების საპირწონედ მან საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაასახელა და თბილისს ამ ზრდაში რუსეთის მნიშვნელოვანი წვლილიც შეახსენა.

სერგეი ვიქტორის ძის ქათინაურებმა საქართველოში საკმაოდ წინააღმდეგობრივი განწყობები გააღვივა და გარკვეული უკმაყოფილებაც წარმოშვა. თბილისის მეტის-მეტად „თავშეკავებული“ პოლიტიკის რუსული მოწონება შეუმჩნეველი არც უკრაინისა თუ დასავლეთის სხვა დედაქალაქებში დარჩენიათ.

სერგეი ლავროვის განცხადების შინაარსიცა და კონტექსტიც ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, ის საფიქრალისთვის საზრდოს იძლევა და შეიძლება საქართველოს საერთაშორისო პოზიციონირებისთვის თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის ახალ, საგანგაშო ათვლის წერტილადაც გამოდგებოდეს.

საერთაშორისო კონტექსტი

სერგეი ლავროვს თავისი კომენტარი უკრაინაში ომამდე რომ გაეკეთებინა, მის ამ საქებარ გზავნილებში, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების ნიშნებს უფრო დაინახავდა და უკმაყოფილების საფუძველიც ნაკლებად იქნებოდა. მაგრამ ის წელი, რომლის შეჯამებისას სერგეი ვიქტორის ძემ საქართველოზე ისაუბრა, უკრაინაში საშინელი ომისა და ყველაფერ დასავლურთან ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის წელი იყო. 2022 წლის თებერვლიდან მოყოლებული, საქართველოს საერთაშორისო პარ-ტნიორების აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთთან ყველა სახის თანამშრომლობას ზღუდავს - შეჩერებული აქვთ საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო მიმოსვლა; რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს მკაცრი სანქციების 10 პაკეტი; დაპატიმრებულია კრემლთან დაკავშირებული აქტივები.

ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნები უკრაინას რუსეთის შემოჭრის მოგერიებაში ეხმარებიან და ამ საერთო განსაცდელში ისინი ისეთი გაერთიანებული არიან,

როგორიც არასდროს ცივი ომის შემდეგ. ამის გარდა, რუსეთი ტერორისტულ ან ტერორიზმის ხელშემწყობ სახელმწიფოდ აღიარა საქართველოს ისეთმა ძველმა და კარგმა მეგობარმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის საერთაშორისო მოწოდებები, ვლადიმირ პუტინისა და მისი ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობა საერთაშორისო ტრიბუნალის განსჯის საგანი გახდეს.

ორიოდე სიტყვა ეკონომიკაზე

საქსტატის ბოლო მონაცემებით, 2022 წელს საქართველომ მართლაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დააფიქსირა. გაზრდილია სავაჭრო ბრუნვაც საქართველოსა და რუსეთს შორის. თუმცა ამ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაში უფრო მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ ლავროვისა და მისი კოლეგების პოლიტიკას გამოქცეულმა რუსეთის მოქალაქეებმა შეიტანეს და არა თავად პუტინის რუსეთმა. სწორედ ევროპულ სანქციებს, პუტინის შეზღუდვებსა და მობილიზაციას გამოქცეულმა ათიათასობით რუსეთის მოქალაქის შემოდინებამ გამოიწვია ეკონომიკის დროებითი სტიმულირება. აქვე, მართალია, სერგეი ვიქტორის ძეს თავის გამოსვლაში არ უხსენებია, მაგრამ, სადაც ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას ვახსენებთ ხოლმე, იქ ფასების „ორნიშნა“ ზრდაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რამაც მეტწილად ჩაყლაპა ეს „ეკონომიკური ზრდა“ და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის სტუდენტები, გვარიანად დააზარალა.

ნიუანსები

ყურადსაღებია, რომ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე მთავარი შეკითხვის დასმის საშუალება ალტ-ინფოს წარმომადგენელს მიეცა. საიდუმლო არ არის, რომ ეს მკვეთრად პრორუსული მედიაჯგუფია, რომელიც თავისი საინფორმაციო პოლიტიკის მეშვეობით აქტიურად აწარმოებს სიძულვილის კამპანიას ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების, ასევე, დასავლეთის მიმართ. ალტ-ინფოს ჯგუფი მონაწილეობდა 2021 წლის 5 ივლისის მასობრივ ძალადობაში, რომლის დროსაც ათეულობით ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი მძიმედ დაშავდა.

თავად ის გარემოება, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე მთავარი შეკითხვის დასმის საშუალება ალტ-ინფოს მიეცა, მრავლისმთქმელია. ალტ-ინფოსთვის სცენის დათმობა წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ძალებს ეყრდნობა და ეთანამშრომლება მოსკოვი საქართველოში, როგორი ძალებია მისთვის უფრო მახლობელი, გასაგები და მისაღები. ალტ-ინფოს მსგავს ჯგუფებთან თანამშრომლობა მიანიშნებს, რომ მოსკოვი დაინტერესებულია საქართველოში ძალადობისა და უმცირესობების შევიწროების ხელშეწყობით, ასევე ზიზღის გაღვივებით, ანუ ყველაფერ იმით, რაც მყიფე სახელმწიფოებრიობას, სამოქალაქო თანხმობასა და მშვიდობას ძირს გამოუთხრის.

განცხადების შინაარსის სხვა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, დეტალები

საქართველოში, ძირითადად, ლავროვის კომენტარის მხოლოდ ის ნაწილი გაშუქდა, რომელიც ფრენების შესაძლო აღდგენასა და დასავლურ სანქციებზე არშეერთების გამო ხელისუფლების სიმამაცის მოწონებას შეეხებოდა. არადა, რუსმა დიპლომატმა თავის ვრცელ კომენტარში სხვა, არანკლებ მნიშვნელოვან, თემაზე - დასავლეთიდან შემომავალ „ამორალურ, გარყვნილ კულტურასა და ფასეულობებზეც“ ისაუბრა.

ამ თემაზე საუბრისას ლავროვმა განაცხადა, რომ რუსული და ქართული მართლ-მადიდებელი ეკლესიები ტრადიციული ღირებულებებისა და კულტურის დაცვის საქმეში ფასდაუდებელ საქმეს ასრულებენ. მან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ უდიდესი პატივისცემა გამოხატა და ტრადიციული ფასეულობების დაცვის საქმეში მისი განსაკუთრებული წვლილიც საგანგებოდ აღნიშნა.

შემაჯამებელი მოსაზრებები და საზრდო საფიქრალისთვის

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ღრმა ანალიზი არ ესაჭიროება იმის თქმას, რომ სერგეი ლავროვის კომენტარი საქართველოს საგარეო პოლიტიკური პოზიციონირებისთვის უდროო და უადგილო იყო, შესაბამისად - საზიანოც.

საქართველოს ძველ, კარგ სამეგობრო წრეში ლავროვის ეს ქათინაურები, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებისა და უნდობლობის გარდა, არაფერს აღძრავდა. იმ ქვეყნიდან წამოსული შექება, რომელსაც საქართველოს მეგობრების უდიდესი ნაწილი ტერორისტულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი - ომის დანაშაულებში ეჭვმიტანილად, საქართველოს უამისოდაც გვარიანად შერყეულ საერთაშორისო რეპუტაციას კიდევ უფრო მეტად თუ დააზიანებდა. იმავეს თქმა შეიძლება ფრენების აღდგენაზეც. მაშინ, როდესაც ევროკავშირისა და ნატო-ს ქვეყნებს შეწყვეტილი აქვთ ავიამიმოსვლა რუსეთთან, ასევე უდროო და უადგილო იქნებოდა ფრენების აღდგენა თბილისთან.

სერგეი ლავროვის კომენტარიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ანტი-დასავლურ ფასეულობებთან ბრძოლაში მოსკოვს თავის მთავარ და პატივსაცემ მოკავშირედ რატომღაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ესახება. წესით, ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, როგორც თავად ეკლესიისთვის, ეს ყველაზე უხერხული და მიუღებელი ქათინაური უნდა იყოს. როგორც ჩანს, თავისი ქათინაურით, მოსკოვი ქართულ ეკლესიასთან უფრო მტკიცე მოკავშირეობას დაეძებს, იცის რა, რომ მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც.

ეკლესიას ნამდვილად შეუძლია, ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულოს საქართველოში სამოქალაქო თანხმობის მიღწევის საქმეში, რაც რუსეთის ინტერესებს ნაკლებად წარმოადგენს. ამიტომ, მოსკოვი ცდილობს, ფრიად საეჭვო კავშირების დამყარება-გამყარებით, ეკლესიას ეს როლი საბოლოოდ დაუკარგოს და ის მხოლოდ საზოგადოების ერთი, თუნდაც ყველაზე მსხვილი, დომინანტური ჯგუფის სამსახურში ჩააყენოს.

გასაგებია, რომ ამ თემაზე ღია დისკუსიის გამართვას ყველა ერიდება, არადა ის გარემოება, რომ გენოციდსა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში შემჩნეული ტერორისტული რუსული რეჟიმი ქართულ ეკლესიაში ფრიად პატივსაცემ მოკავშირეს ხედავს, სერიოზული დაფიქრების საფუძველი უნდა გახდეს, მათ შორის, თავად ეკლესიაში.

ამ ქათინაურებისა და უკრაინაში მიმდინარე მძიმე საბრძოლო მოქმედებების ფონზე ცხადი ხდება, რომ რუსეთს თბილისში უბრალოდ ურთიერთობების დათბობისა და მეტი სავაჭრო კავშირების მომხრე ხელისუფლება ნაკლებად დასჭირდება. ის საქართველოში უფრო მყარ დასაყრდენს ითხოვს, რომელიც უფრო უხეში, ტლანქი და დაუნდობელი იქნება ყველაფერი დასავლურის მიმართ.

ლავროვის განცხადება იმასაც მიანიშნებს, რომ მოსკოვი თავის ახლო სამეზობლოში მოკავშირეებს სანთლით დაეძებს და საქართველოსთან უფრო მყარ „მოკავშირეობაზე“ უარს ნამდვილად არ იტყოდა.

ამ ქათინაურების კვალდაკვალ მოსალოდნელია, რომ რუსეთთან ფლირტში არაერთხელ შემჩნეულ საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალაზე წნეხი გაიზარდოს, რათა ეს უკანასკნელი უკეთ მოერგოს მოსკოვის ახალ მდგომარეობასა და მსოფლმხედველობას დასავლეთთან ცივილიზაციური თუ ეგზისტენციალური დაპირისპირების კონტექსტში.

ამიტომ, როგორც ეს ქათინაურები, ისე ხელისუფლების მიერ მათით ღია თუ ფარული თავმოწონება, საქართველოსთვის ცალსახად დიდი რისკებისა და საფრთხეების შემცველია. ■

დავით ზედელაშვილი

ახალი ბატონების შინ მოსვლა

არალიბერალური რეჟიმის საზოგადოებრივი საყრდენების შესახებ

განუსაზღვრელ მომავალში, შესაძლოა, ქართულ ენაზეც შეიქმნას მხატვრული ლიტერატურის შედევრი, რომელიც კრიტიკულად აღწერს ქართველ საზოგადოებას 2012 წელს და შემდგომ პერიოდში, „ქართული ოცნებისთვის“ ძალაუფლების დემოკრატიული მინიჭებისა და მისი პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალური წყობის კონსოლიდაციის კვალდაკვალ. თუმცა ასეთი ტექსტი რომც ვერასდროს დაიწეროს, მის მაგივრობას თამამად გასწევს ტიტულოსანი თანამედროვე უნგრელი ავტორის, ლასლო კრასნაჰორკაის, სულ რამდენიმე წლის წინ გამოცემული რომანი „ბარონ ვენკჰაიმის შინ მოსვლა“ (Baron Wenckheim's Homecoming by László Krasznahorkai, Translated from the Hungarian by Ottilie Mulzet, 2019)

„ბარონი“, როგორც მას ავტორი შემოკლებით მოიხსენიებს, ტრილოგიის ნაწილია, რომლის წინა ორ წიგნს, „სატანტანგოსა“ (Satantango by László Krasznahorkai, Translated from the Hungarian by George Szirtes) და „წინააღმდეგობის მელანქოლიას“ (The Melancholy of Resistance by László Krasznahorkai Translated from the Hungarian by George Szirtes) უკვე მე-20 საუკუნის ბოლოსთვის საერთაშორისოდ იყო აღიარებული. ავტორისვე სიტყვებით, მას მხოლოდ ერთი წიგნის დაწერა სურდა, რომელიც საბოლოოდ ტრილოგია გამოვიდა, და რომლის ფინალურ ნაწილით მან სათქმელი სრულად გადმოსცა.

კრასნაჰორკაის ჯერ კიდევ ქმნადობის პროცესში მყოფი ლიტერატურული მემკვიდრეობის სიღრმისეულ ანალიზს არ და ვერ შევეჭიდებით, თუმცა ტრილოგია, რომელიც „ბარონით“ სრულდება, მრავალ ლიტერატურულ ღირსებასთან ერთად (რომელთა ანალიზითაც ლიტერატურის მკვლევრები კიდევ დიდხანს იქნებიან დაკავებულნი) პოლიტიკური და სოციალური კომენტარის გამორჩეულ ნიმუშებს მოიცავს.

კრასნაჰორკაის ამ ტრილოგიის საერთო ფონი, სივრცე, სადაც მოქმედება ვითარდება, უნგრეთის პროვინციების გამოგონილი ქალაქებია. ადგილები, რომლებიც ღმერთისგანაც და კაცისგანაც მივიწყებულია, ხოლო მატერიალურ ნგრევაზე მეტად, საზოგადოების ნგრევა და ჩამოშლაა შესამჩნევი. თუ ტრილოგიის პირველ ორ რომანში, „სატანტანგოსა“ და „წინააღმდეგობის მელანქოლიაში“, ჩამოშლილი საზოგადოებრივი ქსოვილიდან კრასნაჰორკაის შავი ირონიის მჟავე საბურველში გაზავებული, თითქმის სიურრეალისტური პერსონაჟები სასწაულებრივად ახალ წესრიგში აღმოჩნდებიან, „ბარონის შინმოსვლაში“ ფინალი იცვლება, კატასტროფა დგება და მორალურად დეგრადირებული საზოგადოება ფიზიკურადაც ნადგურდება.

ტრილოგიის პირველ ორ რომანს, განსაკუთრებით „წინააღმდეგობის მელანქოლიას“, გასდევს ბოლო ჟამის, სამყაროს დასასრულის აპოკალიფსური აურა. მკითხველი თანდათან აცნობიერებს ამ განცდის სრულ აბსურდულობას და კომიკურობას. გამოცხადებული ბოლო ჟამი არასდროს მატერიალიზდება. პერსონაჟებიც, რომლებიც თავიანთი ქაოსური ფუსფუსით მკითხველს ართობენ და ზოგჯერ ემპათიასაც კი იმსახურებენ, უნებლიეთ აღმოჩნდებიან ახალ საზოგადოებრივ წესრიგში, ახალ „ნორმალურობაში“, რომელშიც უცებ ორგანულად თავსდებიან.

მომავალში, შესაძლოა, ქართულ ენაზეც შეიქმნას მხატვრული ლიტერატურის შედევრი, რომელიც კრიტიკულად აღწერს ქართულ საზოგადოებას 2012 წელს და შემდგომ პერიოდში, „ქართული ოცნებისთვის“ ძალაუფლების დემოკრატიული მინიჭებისა და მისი პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალური წყობის კონსოლიდაციის კვალდაკვალ. თუმცა ასეთი ტექსტი რომც ვერასდროს დაიწეროს, მის მაგივრობას თამამად გასწევს ტიტულოსანი თანამედროვე უნგრელი ავტორის, ლასლო კრასნაჰორკაის, სულ რამდენიმე წლის წინ გამოცემული რომანი „ბარონ ვენკჰაიმის შინ მოსვლა“

„წინააღმდეგობის მელანქოლია“ შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც ბოლო ჟამის რელიგიური და სეკულარული, კერძოდ კი, ისტორიის ფილოსოფიის ვერსიების პოლიტიკური გამოყენების რადიკალური კრიტიკა. ბოლო ჟამი ყოველთვის უსასრულოდ არის გადადებული და რაც უფრო ახლოს გვეჩვენება ის, მით უფრო სწრაფად გვისხლტება ხელიდან. კრასნაჰორკაის პერსონაჟები, რომლებიც ჩამოშლილი სოციალური ქსოვილის ქაოსს ბოლო ჟამად აღიქვამენ, ეჭიდებიან ისტორიას და დროს. ამ ჭიდილში ისინი ვერც ისტორიას ეპატრონებიან, თუმცა არც ისტორიის ხელში იქცევიან მარიონეტებად.

შესაბამისად, „წინააღმდეგობის მელანქოლიაში“ კრასნაჰორკაი გვიჩვენებს ადამიანური თავისუფლების შესაძლებლობას. მიუხედავად სოციალური წესრიგის სიმყიფისა, რომელიც ისევ და ისევ ხელახლაა შესაქმნელი და შესანარჩუნებელი, ადამიანს შეუძლია ამ წესრიგის შექმნა და შენარჩუნება ისე, რომ ისტორიის მარიონეტი არ გახდეს და თავადაც შეძლოს საკუთარი მოქმედებით სუბიექტად ტრანსფორმაცია.

„წინააღმდეგობის მელანქოლია“ გვიჩვენებს „პატარა ადამიანების“ თავისუფლების შესაძლებლობას მუდმივად ჩამოშლის საფრთხის ქვეშ მყოფ საზოგადოებაში. ეს მნიშვნელოვანი განვითარებაა „სატანტანგოს“ შემდეგ, როდესაც კომუნისტური უნგრეთის კოლექტიურ მეურნეობაში გამოკეტილი ადამიანები ცდუნდებიან, თავიანთ რიგებში მესია გამოარჩიონ და მას დაუკავშირონ ახალი საზოგადოების დაფუძნების იმედი. ეს იმედი ცრუვდება, მესია თაღლითი აღმოჩნდება, თუმცა ამის გამჟღავნება კოლაფსს მაინც არ იწვევს.

„წინააღმდეგობის მელანქოლიას“ შესაბამისად ერთგვარი იმედის ნაპერწკალი შემოაქვს მესიით იმედგაცრუებულ „პატარა ადამიანებში“, აჩვენებს რა, რომ „პატარა ადამიანებსაც“ შეუძლიათ სუბიექტებად გადაქცევა, ისტორიასთან შეჭიდება და თავისუფლების მოპოვება საზოგადოებრივ წესრიგში, რომელიც აუცილებლად იქმნება, თუ ისინი სუბიექტობას, მოქმედებას, ინიციატივის გამოვლენას და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას გადაწყვეტენ.

„ბარონის შინ მოსვლა“ აბრუნებს მესიის მოტივს პროვინციული უნგრეთის სასაზღვრო ქალაქის ჩამოშლის პირას მდგომ საზოგადოებაში. როგორც ტრილოგიის წინა ორ რომანში, აქაც საზოგადოების დეზინტეგრაცია უცნაური მოვლენებითაა ნაჩვენები: ქალაქის კოლორიტი, საყოველთაოდ ცნობილი პროფესორი, შეიშლება, ყველაფერს გაყიდის და ქალაქის მახლობლად, ეკალბარდების ბუჩქში, იკეთებს ქოხს. ქოხთან პროფესორს მისი არაღიარებული შვილი მიაკითხავს ჟურნალისტების თანხლებით და მამისგან შვილად ცნობას ითხოვს. არასასურველი სტუმრების

მოსაცილებლად პროფესორი ჰაერში გაისვრის იარაღს.

იარაღის ინციდენტის შემდეგ პროფესორის შეშლის ამბავი ქალაქს მოედება. პროფესორის ყოფილი შინამოსამსახურე, იბოლიკა დეიდა, შეწუხდება და ძველ უფროსს ესტუმრება ქოხში, თანაც თავის განთქმულ ნამცხვარს მიართმევს. იბოლიკა დეიდა პროფესორს ეუბნება, რომ ის მას არასდროს მიატოვებს, რადგან მის ოჯახში ოდითგან ასეა, თუ ვინმეს ემსახურები, ემსახურები მთელი ცხოვრება.

თუმცა იბოლიკა დეიდას ამაზე მნიშვნელოვანი ამბავიც აქვს პროფესორისთვის სათქმელი. ის ყოფილ პატრონს ამცნობს, რომ მალე ყველაფერი სხვაგვარად იქნება, რომ ბარონი ვენკჰაიმი, ამ ქალაქის ყოფილი არისტოკრატი პატრონების ოჯახიდან, არგენტინიდან შინ ბრუნდება. იბოლიკა დეიდას ბარონიც ახსოვს და მისი ოჯახიც, ის და მისი ოჯახი ოდითგან ბარონების ოჯახს ემსახურებოდნენ, ეჰ, ის ძველი კარგი დრო...

თუმცა ახლა, როცა ბარონი გზაშია, იბოლიკა დეიდასაც სჯერა ის, რასაც მთელი ქალაქი ისედაც ლაპარაკობს: რომ ბარონის დაბრუნების შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ბარონის, ძველით ახალი ბატონის, დაბრუნების ციებ-ცხელება მთელ ქალაქს შეიპყრობს.

ძველი ბატონებისადმი ნოსტალგიას მხოლოდ ეს პატარა ქალაქი არ განიცდის. ბუდაპეშტისკენ მიმავალ მატარებელში ბარონ ბელა ვენკჰაიმს, რომანის მთავარ გმირსაც, მოუწევს მისგან წყალობის მომლოდინე მატარებლის გამცილებლისგან უნგრეთის კომუნისტი დიქტატორის, იანოშ კადარის, მონატრების მოსმენა: „კადარის დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო. კადარი ყველას სამუშაოს, პურსა და საცხოვრებელს აძლევდა“.

არა, გამცილებელს კადარის დროის დაბრუნება კი არ სურს, იმ ცხოვრების გაგრძელება სწადია. ცხოვრებისა, სადაც ყოველთვის ყველაფრის დეფიციტი იყო, თუმცა ყველას ყველაფერი ჰყოფნიდა, იმყოფინებდა, თავი გაჰქონდა.

ბარონის მოლოდინში მისი პატარა ქალაქი საყოველთაო ციებ-ცხელებას მოუცავს. ყველა ელოდება ბარონის გაუგონარი სიმდიდრის გამოჩენას ამ ყველასგან მივიწყებულ ქალაქში, რომლის ერთადერთი ფუნქცია ტურისტების მასპინძლობა იყო და ამ ტურისტებმაც მიატოვეს. უსაქმოდ დარჩენილი ტურისტული სააგენტოს თანამშრომლები კი ქალაქის სოციუმის ჩამოშლის ყველაზე ცხადი მაგალითები არიან.

ახლა, უკრაინის კონფლიქტის მიმართ უნგრეთისა და საქართველოს არალიბერალური რეჟიმების ამორალური პოლიტიკის ფონზე, რომელიც მათი ხალხების მიერაა შეწყნარებული, საგანგაშოდ ისმის წერილის ანონიმი ავტორის ეს სიტყვები: „...შეუძლებელია უნგრელებზე ინდიფერენტული ხალხის წარმოსახვაც კი. მოხდა ისე, რომ მათთან ახლოს, საზღვრიდან 20-30 კილომეტრში, საზარელი ომი იყო, ისინი კი მხიარულად აგრძელებდნენ ცხოვრებას“...

თუმცა ამ თანამშრომლებს შორის მხოლოდ ერთს, ახალგაზრდა დორას, რომელიც დაუძლურებულ მამას უვლის, შერჩენია საღი აზრი. გაოგნებული დორა სახლს მიჯაჭვულ მამას უყვება, რომ ქალაქის მცხოვრებლები დარწმუნებულნი არიან ბარონის ქმედითუნარიანობაში, მეტიც, ისინი უკვე ხარჯავენ ბარონის ფულს, დიდძალი ფულის გროვას, რომელსაც, მათი რწმენით, ბარონი ჩამოიტანს. დორას სასადილო მაგიდასთან სიმწრის სიცილი აუტყდება: „გჯერა, მამა?! მათ უკვე დახარჯეს ბარონის ფული ისე, რომ ის არც კი ჩამოსულა“.

ქალაქში კითხვაც კი არავის უჩნდება, რას უზამს ბარონი თავის უთვალავ სიმ-დიდრეს - რა თქმა უნდა, დაარიგებს! აბა, სხვა მიზნით რატომ უნდა ბრუნდებოდეს?! იმ რწმენით, რომ ბარონი სიმდიდრის დარიგებას აპირებს, ყველა ემზადება ბარონის კარზე მთავარი ვეზირობისთვის, რათა სწორედ მათი გეგმით დახარჯოს ბარონმა თავისი ურიცხვი ქონება. ამას ელოდებიან ქალაქის თავი და პოლიციის უფროსიც, ქალაქის ნომინალური და რეალური მმართველები.

ქალაქის თავი მთელ ქალაქს ამზადებს ბარონის დასახვედრად. ბარონის ჩამოსვლა დაასრულებს დემოკრატიის ჩავარდნილ ექსპერიმენტსაც და მისგან შექმნილ ქაოსსაც, ყოველ შემთხვევაში, ქალაქის თავს, თავად დემოკრატიულად არჩეულ თანამდებობის პირს, ასე სწამს. ქალაქის თავი შეიმუშავებს ბარონის დახვედრის პროგრამას - ვენკჰაიმების საგვარეულო შატოდან, რომელიც ახლა ობოლთა თავშესაფარია, ობლებს აძევებს, რომ ის შეალამაზოს და ბარონს დაახვედროს. მეტიც, პოლიციის უფროსთან შეთანხმებით, ქალაქში მომუშავე ერთადერთ ბიზნესს, ქალაქის ხელმძღვანელობის ხელდასხმით მოქმედ სლოტ მანქანების ქსელს, დროებით ხურავს.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბარონის მიდრეკილება აზარტული თამაშებისადმი ცნობილია მის მშობლიურ ქალაქშიც. თუმცა ის, რაც არ იციან, არის ბარონის დაბრუნების ნამდვილი მიზეზები. ქალაქში არ იციან, რომ ბარონმა კაზინოსადმი სიყვარულს შესწირა მთელი საოჯახო ქონება და კინაღამ თავისუფლებაც დაკარგა. ბელა ვენკჰაიმის მდიდარმა ავსტრიელმა ნათესავებმა ბარონი არგენტინაში მევალეებისგან გამოიხსნეს, მისი დარჩენილი ვალები დაფარეს და მკაცრი პირობა წაუყენეს, რომ ისე უნდა ეცხოვრა, რომ ვენკჰაიმის სახელს ისეთივე ჩრდილი აღარასდროს მისდგომოდა, როგორიც ბარონის არგენტინულმა თავგადასავლებმა მიაყენა.

არალიბერალური რეჟიმები ვერ არსებობენ ასეთი სოციალური საყრდენის გარეშე. მათი საკვები არის ადამიანების არჩევანი, იცხოვრონ სისტემურ სიცრუეში და იარსებებენ მანამ, სანამ ადამიანები თავიანთსავე აშენებულ სიცრუის გოდოლს არ დაამხობენ.

ბელა ვენკჰაიმი ნათესავების პირობას დასთანხმდა და მათ მიერ ნაყიდი მატარებლის ბილეთით მშობლიური ქალაქისკენ გასწია უნგრეთში. ბარონ ვენკჰაიმს, რომლის ფულის ტომრებსაც მთელი ქალაქი ელოდება, სინამდვილეში, არაფერი გააჩნია, გარდა ნათესავების მიერ სამგზავროდ მიცემული რამდენიმე ასეული ევროსა და ნათესავებისვე შეკერილი, რამდენიმე ჩემოდანში გადანაწილებული გარდერობისა.

ბელა ვენკჰაიმის ერთადერთი მიზანი, დაუბრუნდეს მშობლიურ ქალაქს, ყმაწვილობის სიყვარულის - მარიკას ნახვა და მასთან ურთიერთობის განახლებაა. უგზავნის კიდეც მარიკას გზიდან ამაღელვებელ წერილს, რომლითაც მარიკას მდორე სიბერეს თავბრუდამხვევად ამოატრიალებს. ბარონს არ ესმის, რა უნდა მისგან დროებით დახურული სლოტების ბიზნესის პატრონს, რომელიც მას მატარებელში დაემგზავრება და პირად მდივნობას სთავაზობს. კიდევ უფრო აბნევს მის დასახვედრად რკინიგზის სადგურზე გამოშლილი მთელი ქალაქი და დახვედრის პომპეზური ცერემონია.

ბარონი ცხოვრების აზრს დაკარგავს, როდესაც მარიკას შეხვდება და ფანტაზიებში წარმოსახული ყმაწვილობის შეყვარებულის ხატის ნაცვლად მომაკვდავ, მასსავით სიბერეში შესულ პენსიონერ ქალს ნახავს. იმედგაცრუებული ბარონი გადაწყვეტს, თავი მოიკლას და რკინიგზის ლიანდაგებისკენ გაიქცევა, თუმცა, ლიანდაგებზე ასული, გადაიფიქრებს სუიციდს და უკან დაბრუნებას გადაწყვეტს. კრასნაჰორკაის საფირმო შავბნელი ირონიის ძალით, ბარონს სწორედ ამ დროს გადაუვლის და იმსხვერპლებს დაგვიანებული სარემონტო ლოკომოტივი.

ბარონის სიკვდილის შოკს მისი ქონების დახარჯვის მომლოდინეებში მოჰყვება იმის გაცნობიერება, რომ მისი სიმდიდრე არც არასდროს არსებობდა. მეტიც, იმ რამდენიმე ასეულ ევროსაც კი ვერ იპოვიან, ბარონს ნათესავებმა გზის ფულად რომ გამოატანეს.

ბარონის სიკვდილს შეუქცევად ფაზაში შეჰყავს ქალაქის ჩამოშლის პროცესი. აპოკალიფსური სიტუაცია მოულოდნელად დგება. ქალაქის მთავარი გაზეთის რედაქტორი იღებს ანონიმურ წერილს, რომელიც არათუ ქალაქის საზოგადოებისთვის, არამედ მთლიანად უნგრელი ერისთვის ერთგვარი მორალური სარკის პრეტენზიას აცხადებს. წერილი, რომლის სტილიც თომას ბერნჰარდისას მოგვაგონებს, ქალაქისა და მთლიანად უნგრელი საზოგადოების მორალური დეგრადაციის ჩვენებისა და სამუდამო გაკიცხვის ნიაღვარს აფრქვევს.

წერილის ავტორი უნგრელებს მსოფლიოს ყველაზე საძულველ ერად მოიხსენიებს და უნგრულ გენს სთხოვს, შეწყვიტოს არსებობა და რეპროდუქცია. ამ უწყვეტი ლანძღვის ნაკადიდანაა რომანის ყველაზე სკანდალური ფრაზაც: „იყო უნგრელი, არ არის კუთვნილება ერისადმი, არამედ დაავადება, უკურნებელი, საზარელი ავადმყოფობა, ეპიდემიური მასშტაბების უბედურება“.

„ყველა მათგანი უკლებლივ მონაა, რადგან მონური მორჩილება საზიზღარი უნგრული სულის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ელემენტია“, - წერს ანონიმი ავტორი, რათა არ დატოვოს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა განადგურდეს ქალაქი ისე, როგორც წიგნის ფინალში ნადგურდება.

მონური მორჩილების საპირწონეა ზიზღი ყოველივე ჭეშმარიტად დიდის მიმართ და მიდრეკილება, პირველივე შესაძლებლობისთანავე გაანადგურო ის, რაც ჭეშმარიტად დიდია. ჭეშმარიტების მიმართ ზიზღის გამოვლინებაა ასევე მორჩილი სულის საყრდენი - სიცრუე და თაღლითობა. წერილის ავტორი ამ ორს მიიჩნევს უნგრელთა ერთადერთ „ღირსებად“: „მათ იციან, როგორ იცრუონ ერთდროულად ორი მიმართულებით, ერთი მხრივ, გარეთ, სხვებთან და მეორე მხრივ, შიგნით, საკუთარ თავებთან“.

დღევანდელი უნგრეთი, ისევე, როგორც საქართველო, არალიბერალური სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმია სწორედ ამის გამო. მათი ხალხები არათუ ეგუებიან სისტემურ სიცრუეს, არამედ ორგანულად და ბუნებრივად მიიჩნევენ მას. ცრუობს ყველა, ძალაუფლების მქონეც და მათი ყმაც. ყველა ერთმანეთსა და საკუთარ თავებს ატყუებს - ატყუებენ და თავს იტყუებენ, რომ ძალაუფლებას დემოკრატიულად ირჩევენ; ატყუებენ და თავს იტყუებენ, რომ თავისუფლები არიან და მათი უფლებები დაცულია; ატყუებენ და თავს იტყუებენ, რომ ძალაუფლება სამართლითაა შებოჭილი და სამართლის უზენაესობას იცავს.

მეტიც, სისტემური სიცრუის ეს მანქანა თვითკმარი და თვითწარმოებადი რეჟიმია, რომელიც საკუთარ წვენში იხარშება. ეს თვისება რეჟიმს აქვს იმიტომაც, რომ თავის მოტყუება კარგად გამოსდის კიდევ ერთი მხრივ - სრულად ინდიფერენტული არაა სხვათა სიხარულისა და ტანჯვის მიმართ.

ახლა, უკრაინის კონფლიქტის მიმართ უნგრეთისა და საქართველოს არალიბერალური რეჟიმების ამორალური პოლიტიკის ფონზე, რომელიც მათი ხალხების მიერაა შეწყნარებული, საგანგაშოდ ისმის წერილის ანონიმი ავტორის ეს სიტყვები: „...შეუძლებელია უნგრელებზე ინდიფერენტული ხალხის წარმოსახვაც კი. მოხდა ისე, რომ მათთან ახლოს, საზღვრიდან 20-30 კილომეტრში, საზარელი ომი იყო, ისინი კი მხიარულად აგრძელებდნენ ცხოვრებას“...

„ბარონ ვენკჰაიმის შინ მოსვლა“ გვიჩვენებს საზოგადოების მორალურ ჩამოშლას, რომელიც მას ამზადებს ბატონისთვის მუხლმოსაყრელად. რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ამის აღიარება ლიბერალური გონებისთვის, მონური სული შეიძლება ნებაყოფლობითაც გამოიწრთოს. არალიბერალური რეჟიმები ვერ არსებობენ ასეთი სოციალური საყრდენის გარეშე. მათი საკვები არის ადამიანების არჩევანი, იცხოვრონ სისტემურ სიცრუეში და იარსებებენ მანამ, სანამ ადამიანები თავიანთსავე აშენებულ სიცრუის გოდოლს არ დაამხობენ. ■

გიორგი ხარებავა

ყავლგასული ბირთვული შანტაჟი

20 წელზე მეტია, პუტინი დასავლეთს ებრძვის, მთელ ცივილიზებულ სამყაროს ბირთული შანტაჟის ქვეშ ამყოფებს და საკუთარ მოქალაქეებს დიადი რუსეთის სუპერსახელმწიფოებრიობაზე უყვება მითებს. კოლექტიურ დასავლეთს დიდი დრო დასჭირდა ნეოიმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილი რუსეთის მეგალომანიაკი ლიდერის ადეკვატურად შესაფასებლად და მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად, თუმცა, როგორც ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მასობრივი განადგურების იარაღის შთამბეჭდავი არსენალისა და რუსეთის მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამო პუტინს 2022 წლის 24 თებერვლამდე უამრავი სისასტიკე, ბოროტება და დანაშაული შერჩა, რამაც კრემლის სათავეში მომჯდარი დამნაშავე იმდენად გაათავხედა, რომ ევროპაში ყველაზე დიდი სუვერენული სახელმწიფოს რუკიდან გაქრობაც კი მოიწადინა. აი, სწორად აქ შეცდა თავის გენიალურ სტრატეგოსობაში დარწმუნებული ვლადიმერ ვლადიმერის ძე.

მან პირველი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც საკუთარ სამხედროებს 200-ათასიანი ურდოთი რამდენიმეათასკილომენტრიან ფრონტზე შეტევა და უკრაინის ძირითადი ქალაქების, მათ შორის დედაქალაქ კიევის, აღება დაავალა. სავარაუდოდ, რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების ნაწილს მაინც ამ ოპერაციის სიგიჟის შესახებ კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ, აბა, ბრძენთაბრძენ პუტინს საწინააღმდეგო აზრს როგორ შეჰკადრებდნენ? ნამდვილად საჩოთირო საქმეა, შეცდომებსა და არასწორ გათვლებზე მიუთითო ადამიანს, რომელიც ყოველთვის მართალია!

პუტინის მეორე შეცდომა პოლიტიკური ხასიათისა იყო. მან ვერ გათვალა, რომ მისი ასეთი სითავხედის შემდეგ ევროპა მარტივად და სწრაფად იტყოდა უარს მის გაზსა და ნავთობზე, დასავლური კომპანიები რუსეთს დატოვებდნენ, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება მსოფლიო მასშტაბით გასაკიცხ საქმედ იქცეოდა და კრემლის რეჟიმი მძიმე საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდებოდა.

როდესაც რუსეთი დასავლეთის ერთიანი და ძლიერი პოზიციის წინაშე აღმოჩნდა და უკრაინელი გმირების თავგანწირვის დამსახურებით საქმეები ვერც ბრძოლის ველზე წავიდა მთლად საამაყოდ, „სტრატეგიის ოსტატმა“ ჩვეულ და კარგად ნაცად ბირთვულ შანტაჟს მიმართა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დასავლეთს პუტინის ეს ჭინჭყლობა უკვე ყელში ამოსვლოდა და დიქტატორს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მიუხედავად ბირთვული მუქარებისა, რომლებიც რუსეთის ოფიციალური პირებისა და კრემლის პროპაგანდისტების მხრიდან მოდიოდა, დასავლეთი თვიდან თვემდე ზრდიდა უკრაინის სამხედრო დახმარებას, რომელიც თავიდან ტანკსაწინააღმდეგო

იარაღის მიწოდებით დაიწყო და ომიდან 1 წლის თავზე ტანკებისა და ანტისარაკეტო სისტემების მიწოდებით გრძელდება. დასავლეთის დედაქალაქებში რუსეთის მუქარებს უკვე სერიოზულადაც აღარ აღიქვამენ.

რუსეთში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ შემორჩენილ მოსკოვის სისხლიან ფინანსებზე შემჯდარ პროპაგანდისტებს ძალიან უნდათ, რომ ასე არ იყოს, მაგრამ ფაქტია, პუტინის არსენალში ბირთვულმა შანტაჟმა თავისი დრო მოჭამა. რუსეთი უკრაინაში ბირთვულ იარაღს ვერ გამოიყენებს, რადგან ასეთი ნაბიჯით გამოწვეული „თავის ტკივილი“ გაცილებით მასშტაბური და დამანგრეველი იქნება, ვიდრე მისგან მიღებული პოტენციური სარგებელი. ეს ირგვლივ ყველას ესმის - ესმის უკრაინას, ესმით დასავლეთის დედაქალაქებს და, რაც მთავარია, თავად კრემლშიც მშვენივრად ხვდებიან, რომ ბირთვული შანტაჟი აღარ ჭრის, ბირთვული იარაღის გამოყენება კი თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

საერთაშორისო სისტემაში თუ გადარჩენა გინდა, მოკავშირეები გჭირდება, მოკავშირეების გაჩენისთვის კი იმ საერთო ინტერესების არსებობაა აუცილებელი, რომლებსაც ყველა დაინტერესებული მხარე პატივისცემით მოეკიდება. დღეს რუსეთს საერთო ინტერესები მხოლოდ რამდენიმე სოლიდურ მოთამაშესთან თუ ექნება. პირველ ყოვლისა, ეს ქვეყნებია ჩინეთი და ირანი, მათ მოსდევს ინდოეთი და ჩრდილოეთ კორეა, რომელიც არც თუ ისე ძლიერი სახელმწიფოა, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, რუსების საგრძნობლად შეთხელებულ სამხედრო არსენალს საარტილერიო ჭურვებით ამარაგებს.

ალბათ არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ამ ქვეყნებს რუსეთთან უანგარო ქორწინების ფიცი აქვთ დადებული და მასთან ჭირსაც, ლხინის მსგავსად, დიდი ენთუზიაზმით გაიზიარებენ. ცხადია, ზოგს ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს, ზოგს რუსეთის დახმარება სჭირდება საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებისთვის და ზოგიც ცდილობს, მომავალ სტრატეგიულ დაპირისპირებებში კრემლის მხარდაჭერა დაიბევოს. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნებს რუსეთისგან კონკრეტული სარგებლის მიღება სჭირდებათ, სარგებელს კი რუსეთის მხრიდან უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენება მინიმუმამდე შეამცირებს და, პრობლემების გარდა, არაფერს შექმნის.

დასავლეთის ქვეყნებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენება რუსეთისთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება. ამერიკისა და მისი მოკავშირეების დედაქალაქებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები გვარწმუნებს, რომ დასავლეთი არ ხუმრობს და უმკაცრესი ნაბიჯების გადასადგმელადაც მზადაა. ამდენად, აქ კითხვის ნიშნები პრაქტიკულად არ ისმის. საინტერესოა, რა პოტენციური რეაქცია შეიძლება ჰქონდეთ იმ ქვეყნებს, რომლებიც დღეს რუსეთის პარტნიორებად მიიჩნევიან, ან უბრალოდ აგრძელებენ მასთან ჩვეულ საქმიან ურთიერთობებს.

რთული გამოსაცნობი არ არის ირანის რეაქცია, რომელიც კრიზისისას რუსეთს მშველელად მოევლინა და სასწრაფო წესით გაუგზავნა „შაჰიდის“ ტიპის კამიკაძე დრონები. თეირანში შეიძლება მოსკოვთან კავშირებს ძალზე აფასებენ, მაგრამ რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება მათთვისაც კი წითელი ხაზია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო კონფლიქტში უპირატესობის მოსაპოვებლად ბირთვული იარაღი არავის გამოუყენებია. მას შემდეგ, რაც მსგავსი შეიარაღება, სულ მცირე, ორი სხვადასხვა ქვეყნის მიერ იქნა ათვისებული, საერთაშორისო სისტემაში ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის სტატუს-კვო მოქმედებს, რომლის დარღვევა არცერთი დიდი სახელმწიფოს ინტერესს არ წარმოადგენს. ომში გამარჯვების მოსაპოვებლად ბირთული იარაღის გამოყენება საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის კატასტროფულ პრეცედენტს შექმნის, რაც ირანის მსგავსი ქვეყნების უსაფრთხოებას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. მიუხედავად მცდელობებისა, ირანი ჯერაც არ არის ბირთვული სახელმწიფო, განსხვავებით აშშ-ისა და, რაც მთავარია, ისრაელისგან, რომელიც ირანს ეგზისტენციალურ საფრთხედ აღიქვამს. რუსეთის მიერ უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენება ირანზე აშშ-ის ან ისრაელის მიერ ბირთვული

იერიშის საფრთხეებს ძალიან რეალურს ხდის. ცნობისთვის, ამ ბოლო დროს აშშ-ისა და ისრაელის მოხშირებული ავიაიერიშების შედეგად ბლომად ირანელმა სამხედრო მაღალჩინოსანმა წაიღო წერილი. ასეთი რეალობის გათვალისწინებით, უკრაინის ომში ირანის ტოპ-პრიორიტეტი რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების აღკვეთაა.

უკრაინის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის გამოყენება წითელი ხაზია ჩინეთისთვისაც, რომელიც თავს აშშ-ის მთავარ კონკურენტად მოიაზრებს და რომელსაც გლობალურ სუპერსახელმწიფოდ ჩამოყალიბების ამბიცია გააჩნია. უსწრაფესი განვითარების მიუხედავად, ჩინეთს ჯერ კიდევ ბევრი უკლია სუპერსახელმწიფოს სტატუსის მოპოვებამდე, საამისოდ მან კონვენციურ შეიარაღებაში ინვესტიციები უნდა გააგრძელოს და მის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღის ძალზე მოკრძალებული არსენალი, სულ მცირე, უნდა გააოთხმაგოს. პეკინში გადაწყვეტილებებს რაციონალური ხალხი იღებს, რომელთათვისაც პუტინის მახასიათებელი კომპლექსები უცხოა, ამიტომ უკვე წლებია, ჩინეთი გააზრებულად, ფრთხილად და გეგმაზომიერად მიიწევს თავისი დიდი მიზნის მისაღწევად. პეკინისთვის აშკარაა, რომ, როდესაც ჩინეთი ბირთვული შეიარაღების გაზრდას დაიწყებს, ამას აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან სერიოზული პასუხები მოჰყვება. ჩინეთის მმართველების გეგმით, ამ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მაშინ ღირს, როდესაც ქვეყანა მასშტაბურ საერთაშორისო წნეხთან გასამკლავებლად მზად იქნება. ასეთ პირობებში, რუსეთის მიერ საომარ მოქმედებებში ბირთვული იარაღის გამოყენების პრეცედენტის შექმნა ჩინეთის ათწლეულებზე გაწერილ გეგმას თავდაყირა აყენებს. ეს მომდევნო კონფლიქტებში ბირთვული იარაღის გამოყენების რისკებს რეალურს ხდის, ჩინეთს კი მხოლოდ 350 ქობინამდე შეიარაღება აქვს, მის მთავარ მოწინააღმდეგ აშშ-ს კი - 3700 ქობინზე მეტი. მოსკოვში განსაჯონ, ასეთი დისპროპორციის პირობებში რამდენად ხელს აძლევს ჩინეთს სამხედრო კონფლიქტში ბირთვული იარაღის გამოყენების პრეცედენტის დაშვება. იგივე ითქმის ინდოეთზეც, რომელიც, მართალია, რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებს ძალზე უფრთხილდება, მაგრამ პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება პაკისტანთან გადამტერებული ინდოეთის უსაფრთხოებასაც გამოუთხრის ძირს.

უკრაინაზე ბირთული შეტევა ძილს დაუფრთხობს ჩრდილოეთ კორეის ლიდერსაც, რომლის თითებზე ჩამოსათვლელი ქობინი ბირთვული ომის შემთხვევაში დიდი ვერაფერი მშველელია. მეტიც, ბირთვული იარაღის გამოყენება ბირთვულ გაუვრცელებლობას იმდენად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს, რომ ათობით ქვეყანა დაიწყებს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე მუშაობას. მათ შორის, დიდი ალბათობით, იქნებიან იაპონია და სამხრეთ კორეაც, რომელთან კონკურენციაშიც ღატაკ ჩრდილო კორეას წარმატების შანსი არ აქვს.

საერთაშორისო სისტემას დიდი ქვეყნების ინტერესები აყალიბებს, თანამედროვე სისტემაში კი არც დიდი, არც რეგიონული და არც პატარა ქვეყნების ინტერესებში არ შედის ვინმეს მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება. თუ რუსეთი ყველას წინააღმდეგ წავა, სრულ და საბოლოო იზოლაციაში აღმოჩნდება. პუტინი გახდება ადამიანი, რომელიც დასავლურ დემოკრატიებს, ირანულ თეოკრატიასა და კომუნისტურ რეჟიმებს ერთ ბანაკად გააერთიანებს, რომლის მიზანიც იმ საერთაშორისო ჯიბგირის სამაგალითო დასჯა იქნება, რომელმაც სისტემის დაწერილი თუ დაუწერელი ქცევის წესების წინააღმდეგ გაბედა წასვლა.

პუტინის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება, თუნდაც ეს მცირე მუხტის მქონე ტაქტიკური ბომბი იყოს, რუსეთს უკრაინაში გარანტირებულ, კატასტროფულ მარცხს მოუტანს. წერას ატანილი პუტინი მსოფლიოს არჩევანის წინაშე დააყენებს, ან სამაგალითოდ დასაჯოს კრიმინალი, ან გაურკვეველ, ყველასთვის სახიფათო და თვითგანადგურებასთან მიახლოებულ სამყაროში გააგრძელოს არსებობა. არჩევანი მარტივია: არავინ აპირებს, რუსეთის მანიაკალურ ამბიციებს საკუთარი უსაფრთხოება გადააყოლოს. ■

ირინა მამულაშვილი

საქართველოს ევროპული გზა

ევროპულმა საბჭომ 2022 წლის 24 ივნისს ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. უკრაინასა და მოლდოვას - ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა. აღნიშნული გულისხმობს, რომ ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს, რაც ევროკავშირის მიერ დაწესებულ 12 რეკომენდაციას შეასრულებს. ამ პრიორიტეტებს შორის პოლარიზაციის აღმოფხვრა, საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება, სასამართლო რეფორმა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, დეოლიგარქიზაცია, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, მოწყვლადი ჯგუფის უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა და დამოუკიდებელი სახალხო დამცველის არჩევაა.

2023 წელი ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში გარდამტეხი იქნება, რადგან სწორედ წლის ბოლოს გადაწყდება, მიენიჭება თუ არა ქვეყანას კანდიდატის სტატუსი. მსგავსი შესაძლებლობების ფანჯარა იშვიათია, რადგან, როგორც წესი, ის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად იხსნება. სწორედ რუსეთის უკრაინაზე ფართომასშტაბიანმა თავდასხმამ და იმ საზარელმა შედეგებმა, რომლებიც ომს ახლდა, ევროკავშირში უსაფრთხოების საკითხის გადახედვის აუცილებლობა გააჩინა და მისი აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი აქტუალური გახადა. ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა საქართველოსთვის, ევროკავშირის გაფართოების პროცესის ნაწილი გახდეს - მიზნის, რომელსაც ასე დიდხანს ელოდა და რომლისთვისაც ასეთი გრძელი გზა გაიარა.

საქართველო ასობით წლის განმავლობაში იმპერიებსა და კულტურებს შორის შეტაკებებისა და კონფლიქტების ადგილი იყო. ამას, ძირითადად, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ორი სამყაროს - აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე ყოფნა განაპირობებდა, რაც მას კულტურულ სიმდიდრეს, სავაჭროდ სტრატეგიულ ლოკაციასა და ტრანზიტის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევდა. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობამ ქვეყანა სხვადასხვა სახელმწიფოს გავლენის ბრძოლის ველად აქცია. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოში ევროპული ღირებულებები იმდენად იყო ფესვგადგმული, რომ ეს იდენტობა და დასავლურ სამყაროსთან მიკუთვნებულობის განცდა არ განელებულა.

საქართველოს ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში ქრისტიანობამ მნიშ-ვნელოვანი როლი შეასრულა. თუმცა, ამასთან, სწორედ მართლმადიდებლური ქრის-

ტიანობა აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც, ისლამური ქვეყნების თავდასხმის ფონზე საქართველოს რუსეთთან კავშირების განმტკიცების საჭიროება დაანახა ქვეყნის მაშინდელ მმართველებს და ევროპას ჩამოაშორა. საქართველოში, 1917-1921 წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვების იმ მცირე პერიოდში, „ევროპაში დაბრუნების“ ცნება გაჩნდა. თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ქვეყანა იზოლაციაში მოაქცია და ევროპასთან მრავალი ათწლეულით დააშორა.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან, მიუხედავად მერყევი საგარეოპოლიტიკური კურსისა და შიდა არეულობისა, საქართველომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. ეს პროცესი საქართველოს ევროპულ საბჭოში 1999 წელს გაწევრიანებით ცხადად გამოჩნდა. სწორედ აქ წარმოთქვა ზურაბ ჟვანიამ ისტორიული სიტყვა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი.“

საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პროცესი 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების პერიოდი დაიწყო და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტებს შორის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება დასახელდა. გარდა ევროინტეგრაციის მიმართულების გაძლიერებული ძალისხმევისა, ყურადღება ექცეოდა ქვეყნის მასშტაბით ევროკავშირის სიმბოლოების გავრცელებას, მაგალითად, კავშირის დროშების გამოყენება, რომელიც ხშირად საქართველოს დროშის გვერდით იყო განთავსებული, რაც ქართველ საზოგადოებაში ევროპასთან კუთვნილების განცდის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

ვარდების რევოლუციიდან მალევე მნიშვნელოვანი ძვრებია ევროპის კონტინენტზე. ევროკავშირმა გაფართოება 2004 და 2007 წლებში აღმოსავლეთ ფლანგზე დაიწყო, რამაც საზღვრები საქართველოსა და გაერთიანების ქვეყნებს შორის შეამცირა და შავ ზღვამდე გადმოსწია. აღნიშნულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზეც, რადგან ქვეყანა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნაწილი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობების ეს ჩარჩო არ გულისხმობდა ამბიციურ შეთავაზებებს საქართველოსთვის, საკითხი არსებითი იყო ქვეყნის აღიარების თვალსაზრისით. კერძოდ, ENP-ის წევრობით, საქართველოს, რომელიც მანამდე „პოსტსაბჭოთა“ ქვეყნად აღიქმებოდა, ახლა ევროპის მეზობელი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა.

2008 წელს, რუსეთის საქართველოზე სამხედრო თავდასხმისას, გამოიკვეთა ევროპის როლი მოლაპარაკებების წარმოებაში. საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ, ორ ქვეყანას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწია. აგვისტოს ომმა ევროკავშირში უსაფრთხოებასა და რუსეთის გაძლიერებულ როლთან დაკავშირებით დიდი მღელვარება გამოიწვია. სწორედ ომის შემდეგ, 2009 წელს, ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის ჩამოყალიბებას, რომელიც ევროკავშირსა და ექვს ქვეყანას - საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას, ბელარუსს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად.

მომდევნო წლები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას (AA), რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტს მოიცავს და რომელმაც მხარეთა თანამშრომლობა სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა. აღნიშნულს როგორც სიმბოლური, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. შეთანხმება წარმოადგენს ეკონომიკის მოდერნიზაციის საგზაო რუკას, ევროკავშირის მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ვრცელი ვალდებულებებით, ამასთან, ქმნის ფართო ინსტიტუციურ კავშირებს ეკონომიკის, მთავრობათაშორისი, სოციალური, საინფორმაციო და სამოქალაქო საზოგადოებრივი მიმართულებით. განსაკუთრებულად საგულისხმოა 2017 წელი ევროკავშირსა და საქართველოს თანამშრომლობის მხრივ, რადგან საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის წევრ

ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობა მიეცათ.

საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი განვითარების მიუხედავად, ბოლო წლებში ქვეყანაში დემოკრატიული უკუსვლა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეფერხება აშკარად შესამჩნევი გახდა. დასავლელი პარტნიორები ბოლო წლებია მმართველი პარტიის ქმედებებსა და ქვეყანაში დემოკრატიის უკუსვლას აღნიშნავენ. საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საგანს სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი წარმოადგენს. გარდა ამ პრობლემისა, საგანგაშო იყო მმართველი პარტიის მიერ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის, 19 აპრილის შეთანხმების ჩაშლა, რომელიც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გადალახვასა და რეფორმების გატარებას ისახავდა მიზნად. ამ გამოწვევებს ახლავს მედიაზე ზეწოლა და თავისუფლების შეზღუდვა, სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის მცდელობები, ადამიანის უფლებების მიმართულებით მდგომარეობის გაუარესება და სხვა კრიტიკული საკითხები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიის ინდექსზე. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ქვეყანას არა კანდიდატის სტატუსი, არამედ მხოლოდ „პერსპექტივა“ მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის გაუარესებული ნიშნულის მიუხედავად, ევროპასთან ინტეგრაციის ისტორიის ხანგრძლივ გზაზე საქართველო არასდროს ყოფილა მიზანთან ისე ახლოს, როგორც ახლა. თუმცა, ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, ნაცვლად 12 პრიორიტეტზე აქტიური მუშაობისა, ვხედავთ ქმედებებს, რომლებიც მიზანმიმართულად ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ამ ქმედებების თვალსაჩინო მაგალითი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დეპუტატების მიერ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ ინიცირებული კანონია. აღნიშნული პროექტის კანონად ქცევის მცდელობამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მიზანმიმართულად დგამს მსგავს დესტრუქციულ ნაბიჯებს, ცდილობს კრიტიკული ხმის ჩახშობას, სამოქალაქო და მედია სექტორის დისკრედიტაციას და მათი საქმიანობის შეფერხებას. ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლა, ევროპასთან ინტეგრაციის შეფერხება და ანტიდასავლური ნარატივების გააქტიურება სახიფათო შედეგებამდე მიიყვანს ქვეყანას, რადგან თუ საქართველო ხელიდან გაუშვებს შანსს, გახდეს ევროკავშირის გაფართოების ამ ტალღის ნაწილი, გარდაუვალი გახდება რუსული გავლენის ზრდა, ავტოკრატიულ რელსებზე გადასვლა და ქვეყნის იზოლაციაში აღმოჩენა.

ამასთან, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის ერთიანობა წლების განმავლობაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყო თითოეული ქვეყნისთვის. სამი ქვეყანა მოიაზრება, როგორც „ასოცირებული ტრიო“, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერთნაირად პროგრესირებდნენ ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოების თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით, თუ საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ არ შეასრულებს 12 კრიტერიუმს და ხელიდან გაუშვებს შესაძლებლობას, გახდეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, მივიღებთ აღნიშნული ტრიოს ფორმატის დაშლას. ეს გამოიწვევს საქართველოს დისტანცირებას უკრაინასა და მოლდოვასთან და რაც მთავარია, განუსაზღვრელი ვადით გადადებს ქვეყნის ევროკავშირის წევრობის განხილვის საკითხს.

ისტორიამ და ქართველი ხალხის მტკიცე მხარდაჭერამ ცხადყო, რომ საქართველოსთვის ევროპასთან ინტეგრაცია არასდროს ყოფილა მხოლოდ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის საკითხი, არამედ უმთავრესი სწორედ ის კულტურული ნორმები და ღირებულებები აღმოჩნდა, რომლებიც ქვეყანას ევროპულ სახელმწიფოებთან აერთიანებდა. სწორედ ეს საერთო იდენტობა იყო ის ფუნდამენტი, რამაც ქვეყანას, მულტიკულტურული გავლენების მიუხედავად, ევროპული გეზი შეუნარჩუნა. საქართველოს ახლა აქვს ევროპული იდენტობის რეალიზების, მრავალსაუკუნოვანი მცდელობისა და გზის ლოგიკურად დასრულების და ევროკავშირის ნაწილად ქცევის ისტორიული და უნიკალური შანსი. ■

დავით ბუხრიკიძე

დაივიწყე მშვიდი ცურვა

ცოტა შორიდან მოვუაროთ, ბედკრულ აწმყოში, ანუ შინ მშვიდობით რომ დავბრუნ-დეთ. აბა, ომი ხომ არ გვინდა?!..

ჯერ კიდევ პანდემიამდე, 2018 წელს, როდესაც პოლიტიკური სიშლეგისა თუ დიქტატურის კონტურები ჩვენს თანამოქალაქეებს მკრთალი ან პასტელური ეჩვენებოდათ, ახალი დროის კულტურასთან შეჯვარებულმა საბჭოთა ინტელიგენციამ (უფრო ზუსტად, მისმა რამდენიმე წარმომადგენელმა), საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს განცხადებით მიმართა. ამ წერილის მთავარი გზავნილი ის იყო, რომ საქართველოს პროდასავლურმა პოლიტიკამ და მიზანმა - გახდეს ის ნატო-ს წევრი, ქვეყანას რუსეთთან გამოწვევები და დიდი პრობლემები შეუქმნა; რომ საბჭოთა სინამდვილეში საქართველო ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე რესპუბლიკას წარმოადგენდა, მისი ხალხი მდიდარი იყო და მოსახლეობის რაოდენობა 5,5 მილიონს შეადგენდა. ხოლო პროდასავლურმა პოლიტიკამ და ქართველების სწრაფვამ ნატოს სამხედრო ალიანსისაკენ „გაართულა საქართველოს ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან და სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა; შექმნა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და შეაფერხა ქვეყნის განვითარება. ხალხი გაღატაკდა და მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონზე დაბლა ჩამოვიდა“.

შემდგომი პასაჟი და ქვეყნის ბედით „შეშფოთება“ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს ეხება: „მოსახლეობის უდიდეს ნაწილში არის დიდი იმედგაცრუება, რომ გაიზრდება რისკები და სამხედრო კონფლიქტის საფრთხე დაემუქრება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიებსაც, ხოლო ასეთ შემთხვევაში როგორ დახმარებას შეიძლება ველოდოთ, ჩვენ უკვე გვაქვს 2008 წლის ომის გამოცდილება. სამხედრო ალიანსის წევრობა, პირველ რიგში, სწორედ უსაფრთხოების გარანტიების ილუზიის გამო იზიდავდა საქართველოს მოსახლეობას და თუ ეს გარანტიები არ გავრცელდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, მაშინ საინტერესოა რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ გაწევრიანებამ ხალხს და სახელმწიფოს“.

უცნაურია, მაგრამ 2023 წელს, წერილისა თუ განცხადების დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ, რობიკო-დოლიძე-ჯაველიძე-ამაშუკელის ეს ინტონაციები (ისინი ხელმომწერთა მთავარ „დამრტყმელ ძალას“ წარმოადგენდნენ), გაცილებით მწარედ, დამცინავად და წინასწარმეტყველურად აღიქმება დღევანდელ პოლიტიკურ კონტექსტში. სინამდვილეში, მთელი ამ წლების განმავლობაში ანტიდასავლური პროპაგანდა და სკეფსისი სწორედ ფსევდოავტორიტეტულ სახელებსა და საბჭოეთიდან გადმოყოლილ არტისტულ ელიტას ეყრდნობოდა.

შეიძლება ითქვას, რომ „ჩაურეცხავი“ თავისუფლება ამ „ელიტამ“ სრულად აღიდგინა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მასთან სინქრონულ, ანტიდასავლურ და „მშვიდ ცურვაში“, რისთვისაც, პერიოდულად, სოლოლაკის „შუშის სასახლიდან“ სათანადოდ იღებდა ჯილდოსაც და ინსტრუქციებსაც.

მმართველი პარტიის დღევანდელი, უკვე გაცხადებულად ნათელი, ანტიდასავლური პოლიტიკის გათვალისწინებით, 2018 წელს დაწერილი ელჩებისადმი მიმართვა უბრალოდ, „გეშტალტურ“ მთლიანობას ქმნის დღევანდელობასა და კულტურის პოლიტიკასთან, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს გაცხადებულ ევრო-ატლანტიკურ ვექტორს. თუმცა, ჰქონდა კი ამ ვექტორს რეალურად დასავლური მიმართულება მთელი ამ დროის განმავლობაში? განიხილებოდა ის „ოცნების“ მიერ ოდესმე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის სერიოზული ნაწილი?

დროის ქრონოლოგია ცხადად წარმოაჩენს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ პირველ ეტაპზე პროდასავლურ ძალებთან დროებითი თამაშები მხოლოდ სიმულაკრი იყო. შემდგომში ფსევდოპატრიოტული მოწოდებების პარალელურად იწყება პოლიტიკის „დალაგება“ რუსეთთან, რაშიც რეანიმირებული ინტელიგენცია მას საჭირო პარტნიორობას უწევს, ხოლო ისეთი „წვრილმანები“, როგორებიცაა საყდრისის აფეთქება, დავით გარეჯის კომპლექსის ირგვლივ პროპაგანდისტული ისტერია და ორი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება, ან გელათის სარესტავრაციო სამუშაოების სრული კატასტროფა, კულტურასა და სახელმწიფოს შორის შეხმატკბილებულ ურთიერთობას ხელს ვერ უშლის.

ფაქტობრივად, „ოცნებამ“ თავისი მოსვლა-დამკვიდრებით გააცოცხლა შევარდნაძის ეპოქის ინტელიგენცია, რომელიც 2012 წლამდე თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა. კომუნისტური რეჟიმის შემდეგ რეანიმირებულ ინტელიგენციას ივანიშვილმა თავისი დიფერენცირებული „კარმუშკებით“ კიდევ ერთხელ მისცა შანსი (გავიხსენოთ გურანდა გაბუნიას საკრალური ფრაზა - „და ამ დროს, ღმერთმა გვესროლა ბიძინა“). მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჭარმაგი და ხშირად დეკორაციული ფუნქციის მქონე ინტელიგენცია ყოველთვის იმას ასრულებდა, რაც „მამას სურდა“, აუცილებელი გახდა მისი ჩანაცვლება ახალი თაობის კულტმუშაკებით.

დროის ქრონოლოგია ცხადად წარმოაჩენს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ პირველ ეტაპზე პროდასავლურ ძალებთან დროებითი თამაშები მხოლოდ სიმულაკრი იყო.

ჰოდა, კულტურას მოევლინა გვიანი ქოციანობის ხანის ახალი მინისტრი - თეა წულუკიანი, იუსტიციის სამინისტროდან წამოყოლილი სუს-ის კადრებით, რომლებიც მან მოადგილეებად აქცია. თუ რამე ჯერ კიდევ არსებობის კრიტიკულ ან შემაშფოთებელ ფაზაში იყო, წულუკიანმა ეს ყოველივე შთამბეჭდავ ნანგრევებად აქცია - დაწყებული კინოცენტრის დირექტორის გათავისუფლებით, დამთავრებული ეროვნული გალერეიდან თუ მუზეუმებიდან პროფესიონალების გათავისუფლებით. ცალკე მსჯელობის საგანია გელათის რესტავრაციის დანაშაულებრივი პროცესი, რომელსაც აქ არ შევეხებით.

ამასობაში უკვე ჩამოყალიბდა ინტელექტუალთა და არტისტთა ახალი თაობა, თუმცა ის მაინც ვერ იქცა გავლენის სუბიექტად, რადგან თითქოს ცალკე დარჩა, მოუხელთებელი, განდგომილი და იდეოლოგიურად დანაწევრებული. ხელისუფლებას მასთან ფლირტი არც ჭირდება, რადგან არტისტების ახალი თაობა, რომელმაც უკვე დასავლეთში მიიღო განათლება, ისედაც განდგომილია ან კრიტიკულად დაპირისპირებულია მასთან. ეს დისტანცია და გაუცხოება, ცხადია, ქმნის გარკვეულ პრობლემას, მაგრამ არა იმდენად დრამატულს, რომ ახალმა თაობამ მკვეთრი გავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის 30-წლიანი გამოცდილება „ქართული ოცნებისთვის“ რეფლექსიის მიზეზი ვერანაირად გახდებოდა, რადგან კულტურის პოლიტიკა (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სფერო) პირველ ყოვლისა, გულისხმობს

განჭვრეტას, სტრატეგიის შექმნას, სააზროვნო სივრცის გაჩენას, განსხვავებული სააზროვნო ველების დაახლოებას, დასავლურ ორგანიზაციებთან თანამშრობლობის პოლიტიკას... ეს ყველაფერი კი ოდიოზურ-კლანური გავლენების მქონე ჯგუფების ხელში, რომელთაც ფორმალურად მაინც ხელისუფლება ეწოდებათ, სრულიად გამორიცხულია.

მოთვინიერებული ან რეჟიმის მიერ პირდაპირ მოსყიდული ხელოვანების ჯგუფები, რომლებსაც ზრდილობისთვის დღეს მაინც ინტელიგენციას უწოდებენ, საკუთარი ავტონომიური რეჟიმით ცხოვრობენ და პირდაპირ მიბმული არიან სახელმწიფო ბიუჯეტის წყალობაზე. ცხადია, ასეთი ინტელიგენცია ვერც კულტურის პოლიტიკას გააპროტესტებს და ვერც „აგენტების გამოვლენაზე“ სახელდახელოდ შეთითხნილ კანონს.

გამრჯე და თვინიერი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საკუთარი წყნარი ცხოვრებითაა დაკავებული, „მშვიდი ცურვით“, რომელსაც გარანტად ჯერ მილიარდერის ფული მოსდევს და შემდეგ - წულუკიანის სამინისტროს შეუვალი ჯებირები. არარობიკოებისთვის, უცხოებისთვის, ახალგაზრდებისთვის, აქა-იქ შემორჩენილი რეფორმატორებისთვის ეს სივრცე ჩაკეტილია. ის კიდევ უფრო ჩაიკეტება მაშინ, თუ „უცხოეთის გავლენის აგენტებს“ უკვე საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით და „კანონიერად“ გამოავლენენ. მით უმეტეს, ამის მაგალითები უხვად გვაქვს ისტორიაში: დახვრეტილი, გადასახლებული, შეჩვენებული, გაძევებული, „მტრის შვილებად“ შერაცხული მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, დირიჟორები, მსახიობები...

თუ მშვიდობა გვსურს, თუ განვითარებას ვირჩევთ, უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლისთვის, ხოლო მშვიდი ცურვის მღელვარე გაკვეთილები წარსულს ჩავაბაროთ.

ქართველი საზოგადოების არა მხოლოდ კულტურული და ინტელექტუალური ნაწილი, არამედ მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება, ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ სიშლეგესთან პირისპირ აღმოჩნდა. ეს ჯერ კიდევ ის ფაზაა, როცა ხელისუფლება კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოებასთან დაპირისპირებულია, მაგრამ არა საბედისწეროდ. ამდენად, მისი ვალია მოქალაქეებს, რომლებსაც დასავლური განვითარება და მომავალი სურთ, აუხნას რატომაა ეს მავნე და აბსურდული კანონი გეოპოლიტიკურად რუსული სამყაროს ნაწილი და მისი ეგზისტენციის გამოძახილი.

თუ მშვიდობა გვსურს, თუ განვითარებას ვირჩევთ, უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლისთვის, ხოლო მშვიდი ცურვის მღელვარე გაკვეთილები წარსულს ჩავაბაროთ. წესიერი და გამართული კულტურული ინსტიტუციები რომ გვქონდეს, საჭიროა, ჯერ წესიერი მთავრობა, წესიერი კანონმდებლები და დამოუკიდებელი სასამართლო ავირჩიოთ. ხომ გახსოვთ მითი, წინა ხელისუფლებას ახალი ქართველის ჯიში რომ გამოჰყავდა? ჰოდა, სწორედ დღეს ივანიშვილის ხელისუფლებამ ჩვენგან სოსო პავლიაშვილები, ქეთა თოფურიები და სხვა ამდაგვარები არ გამოიყვანოს, საჭიროა სრული კონსოლიდაცია და მოქმედება. ■

დავით ქუტიძე

როგორ წარმოვაჩინოთ შავი თეთრად და მეგობარი მტრად

საქართველოს მთავრობის რიტორიკა რუსული პროპაგანდის მეთოდებით

საქართველოს ისეთ რეალობაში უწევს არსებობა, რომელშიც ერთი მეზობელი სახელმწიფო ჩვენი და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ სასტიკ დანაშაულებს სჩადის: ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, ართმევს ტერიტორიებს, ცდილობს, ჩანასახშივე მოსპოს თავისუფალი საზოგადოებების სწრაფვა კეთილდღეობისკენ და ისინი საკუთარი გავლენის სივრცეში მოაქციოს. თუმცა საკუთარი ბოროტების გადასაფარად მის მიმართ არსებულ ბრალდებებს უარყოფს და ამას სხვების სიბრმავით ხსნის, სხვა ქვეყნებს აბრალებს, ან საერთოდ, მსგავს საქციელს „ხალხის გათავისუფლებად“ შემოგვასაღებს. ამასთან, ის წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ცდილობს საზოგადოების მოტყუების ხერხების დახვეწას, რათა შავი თეთრად მოგვაჩვენოს და „სასურველ მოკავშირედ“ წარმოგვიდგეს. რთული მისახვედრი არაა, რომ ეს სახელმწიფო რუსეთის ფედერაციაა, ხოლო შავის თეთრად მოჩვენების კარგად დამუშავებული სტრატეგია - მისი პროპაგანდა.

პროპაგანდის მკვლევართა აზრით, რუსეთის ფედერაცია ინფორმაციას, კულტურასა და ფულს საზოგადოებაში არგუმენტირებული დისკუსიის მოკვლის იარაღად იყენებს. რუსული პროპაგანდის ეფექტი არ არის ვინმეს დარწმუნება ან ნდობის მოპოვება, არამედ მისი მიზანია, შეთქმულების თეორიებით დათესოს დაბნეულობა და გაავრცელოს სიცრუე. ინფორმაციის იარაღად გამოყენება თანამედროვე რუსეთის ჰიბრიდული (არაერთგვაროვანი) ომის სასიცოცხლო ნაწილია. გლებ პავლოვსკი, პოლიტიკური კონსულტანტი, რომელიც ერთ დროს პუტინის საარჩევნო კამპანიაზეც მუშაობდა, ამბობს: „სსრკ-სა და ახლანდელი რუსეთის პროპაგანდას შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში სიმართლის კონცეფცია მნიშვნელოვანი იყო. მაშინაც კი, თუ ისინი იტყუებოდნენ, ზრუნავდნენ მტკიცებაზე, რომ რასაც აკეთებდნენ, „სიმართლე“ იყო. ახლა არავინ ცდილობს, დაამტკიცოს „სიმართლე“. თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ თქვათ ყველაფერი, შექმნათ რეალობა“.

ამდენად, რუსული პროპაგანდა შემდეგნაირად მუშაობს - მთავარია, სრულიად უსაფუძვლოდ, პასუხისმგებლობის აღების გარეშე, დასდო ბრალი ვინმეს და საქმეც გაკეთებულია. ხოლო, როცა ჩნდება კითხვა, სად არის ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი, პასუხი შემდეგია: მსგავსი რამ არ არსებობს, მაგრამ ეს ხომ იმას არ გამორიცხავს, რომ ჩემი ბრალდება სიმართლე არ არის?

რუსული პროპაგანდა ქმნის და ავრცელებს აბსურდულ მითებს იმ პრინციპით, რომ თუ ტყუილი საკმარისად ხშირად, სისტემატურადაა გამეორებული, ის საბოლოოდ, ფართოდ იქნება მიღებული, როგორც სიმართლე. საკუთარი ყალბი ისტორიების გავრცელების მიზნით რუსეთი არაერთ განსხვავებულ ხერხს იყენებს, თუმცა მათ უმეტესობას ერთი რამ აერთიანებს, ისინი ეფუძნებიან ნეგატივს - მოწინააღმდეგე მხარის უარგუმენტო ლანძღვასა და დისკრედიტაციას. რუსული პროპაგანდის მარტივი გავრცელების კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ მისი გამავრცელებელი ბევრს არ ფიქრობს გზავნილების ერთგვაროვნებაზე და მხოლოდ საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასეთ დროს კი შესაძლებელია, ერთ დღეს ამტკიცებდე ერთს, ხოლო მეორე დღეს აბსოლუტურად საპირისპიროს. ინფორმაციის

რუსული პროპაგანდა ქმნის და ავრცელებს აბსურდულ მითებს იმ პრინციპით, რომ თუ ტყუილი საკმარისად ხშირად, სისტემატურადაა გამეორებული, ის საბოლოოდ, ფართოდ იქნება მიღებული, როგორც სიმართლე.

ულევ ნაკადში ძველი ინფორმაცია იმდენად სწრაფად იკარგება, რომ პროპაგანდის გამავრცელებელს რადიკალურად განსხვავებული ახალი პოზიციის დაკავების არ ეშინია. მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, რუსული პროპაგანდა არც ცდილობს თავისი „სიმართლის“ მტკიცებას და მისი მიზანია, შეთქმულების თეორიებით დათესოს შიში და დაბნეულობა. ასევე, არ დატოვოს თუნდაც ერთი სივრცე ან თემა, რომელზეც სამიზნე საზოგადოება შეთანხმდება.

რუსული პროპაგანდის კარგად აპრობირებული ხერხები საქართველოს ხელისუფლების რიტორიკაშიც გვხვდება, თანაც ეს ტენდენცია დღითი დღე უფრო თვალსაჩინოა. ამდენად, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაციისა და ოკუპანტი ქვეყნის პროპაგანდის ერთ კონტექსტში განხილვა გვიწევს.

პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მარტივი ხერხი **იარლიყების მიწებებაა**. ის გულისხმობს ადამიანის, ჯგუფის თუ იდეის მიმართ, უმეტესად, უარყოფითი იარლიყის მორგებას. პროპაგანდის ამ ხერხის მიზანია, ინფორმაციის მიმღებმა არ გამოიკვლიოს, თუ რა ფაქტები დგას ამა თუ იმ იარლიყის მიღმა, ანუ ემოციებმა გადაფაროს არგუმენტირებული მსჯელობა. ამდენად, ეს ტექნიკა აუდიტორიის ემოციებით მანიპულირებასა და მათ საფუძველზე მიღებული ნაჩქარევი, ზედაპირული დასკვნების პროვოცირებას ემყარება. რუსული პროპაგანდა ამ ხერხს ხშირად იყენებს. ამის ყველაზე ახალი და თვალსაჩინო მაგალითი პუტინის რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულ ომს უკავშირდება. ომის დაწყებამდე და შემდეგაც, რუსეთის ხელისუფლება და მისი პროპაგანდისტული

არხები უკრაინის ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებას ნაცისტებად/ნეო-ნაცისტებად და ფაშისტებად მოიხსენიებს. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ კიდევ ერთი აბსურდული იარლიყი - „ნარკოდამოკიდებულთა ბანდა“ - რომელიც თავად პუტინმაც არაერთხელ გამოიყენა ვოლოდიმირ ზელენსკისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ.

2022 წელს პუტინის რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა ბევრი ფარული და ბუნდოვანი ტენდენცია ნათლად დაგვანახა. მათ შორის, „ქართული ოცნების“ რიტორიკის რუსულ პროპაგანდასთან მსგავსება, კერძოდ, ნეგატიური იარლიყების გამოყენება ოპონენტების მიმართ. ომის დაწყებასთან ერთად, ხელისუფლების ოპონენტებსა და საზოგადოების ნაწილში გაჩნდა აზრი, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიციონირება საერთაშორისო არენაზე უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით, განსაკუთრებით რიტორიკის ნაწილში, არასაკმარისია. სხვა მიზეზებთან ერთად ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ეს იმ ფონზე, როცა საქართველოს მთავრობის რიტორიკა და საქციელი სულ უფრო მოსაწონი ხდება რუსეთის ფედერაციისთვის. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საზიანო ამ ტენდენციის გადასაფარად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა განცხადებებში გამოჩნდა იარლიყი „ომის პარტია“, რომელიც პირველად „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იქნა გამოყენებული, ხოლო შემდეგ, ფაქტობრივად, ყველა იმ ადამიანის, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომის დროს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას აკრიტიკებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ პროპაგანდის თანახმად, ვისაც მიაჩნია, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულმა საქართველომ უკრაინის მხარდასაჭერად მეტი უნდა გააკეთოს, ყველას „ომი უნდა“.

პროპაგანდის კიდევ ერთი ხერხი **ბრალმდებლის დადანაშაულებაა**. ლოგიკა, რომლის მიხედვითაც **საუკეთესო თავდაცვა - თავდასხმაა**. ამ პროცესში ხშირად გამოიყენება აბსუდრული ტყუილები და კონსპირაციის თეორიები, რასაც აღვირახსნილი პროპაგანდის სახელითაც მოიხენიებენ. ეს მეთოდი კარგად ნაცნობი და არაერთგზის გამოყენებულია რუსული პროპაგანდის მიერ, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში. აღვირახსნილი პროპაგანდის მაგალითია, როცა რუსეთი თავის სისასტიკეს უკრაინელ მოქალაქეთა მიმართ უკრაინის არმიას აბრალებს. მსგავს ხერხს მიმართა რუსულმა პროპაგანდამ საკუთარი არმიის მიერ უკრაინის ქალაქ ბუჩაში ჩადენილი არაადამიანური დანაშაულებების უარყოფის მიზნით.

კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს ხელისუფლებაც მსგავსი ტაქტიკით მოქმედებს. შეგვიძლია გავიხსენოთ 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები (როდესაც ფიზიკურად იძალადეს ათობით ჟურნალისტზე, ხოლო მთავრობამ ისინი ვერ ან არ დაიცვა), რის შესახებაც ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ, მართალია, ჟურნალისტებზე ძალადობა მიუღებელია, თუმცა ჟურნალისტებიც ხშირად ძალადობენ საზოგადოებაზე, ოღონდ ფსიქოლოგიურად. ამდენად, ისეთი სიტუაციების დროს, როდესაც მთავრობის პასუხისმგებლობაც იკვეთება, ხელის-უფლება ირჩევს ბრალდებების არა შესაბამისი არგუმენტებით განეიტრალების გზას, არამედ პროპაგანდისტული გზავნილებით თავს ესხმის კრიტიკულ აზრს.

ზემოაღნიშნული მეთოდის მსგავსია პროპაგანდის ტექნიკა - **კრიტიკა კრიტიკის პასუხად**, რომელიც რთულ საკითხებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ან საპირისპირო ბრალდებებს აყენებს, ან აქცენტი სხვა საკითხზე გადააქვს, რითაც არასწორი შედარებებისა და მანიპულაციური მორალური მსჯელობების გზით კრიტიკის ობიექტიდან ყურადღების გადატანას ან/და ამ ობიექტის გამართლებას ცდილობს. ეს ტაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის მიერ, როდესაც ნებისმიერი კრიტიკის პასუხად დასავლეთის პრობლემებზე იწყებოდა მითითება. მსგავსი მიდგომა კვლავ აქტუალურია თანამედროვე რუსეთში. რუსეთის ფედერაცია, რომელიც ეკონომიკით, ტექნოლოგიებით, ცხოვრების დონითა და კეთილდღეობით საგრძნობლად ჩამორჩება დასავლეთს, მუდმივად ცდილობს ევროპისა და აშშ-ის დისკრედიტაციას სხვადასხვა დეზინფორმაციული გზავნილით. ეს რუსეთისთვის

დამახასიათებელი ნეგატიური პროპაგანდის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც შემდეგ იდეას ასაზრდოებს: „შეიძლება რუსეთში ყველაფერი კარგად არ არის, მაგრამ დასავლეთში უარესია“. მსგავსი მიდგომის არაერთი მაგალითი მოიძებნება საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაციაშიც, როდესაც იგი, ამჟამად არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი პასუხის ნაცვლად, წინა ხელისუფლების მანკიერებებს გვახსენებს. ქვეყანაში არსებულ სიღარიბეზე, პირველადი მოხმარების პროდუქტების მზარდ ფასებზე, მართლმსაჯულების პრობლემებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე კომენტირებისას „ქართული ოცნება“ კვლავ იმას გვიკიჟინებს, თუ რა ხდებოდა 2012 წლამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული პროპაგანდის მარტივი გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ის ხშირად **ურთიერთსაპირისპირო გზავნილებს** გვაჯერებს. ამ მიდგომას აშკარად ჰგავს საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მოსახლეობასთან (განსაკუთრებით კი საკუთარ ამომრჩეველთან) კომუნიკაცია არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში. 2013 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მისი მთავარი ოპონენტი - „ნაციონალური მოძრაობა“ დასრულებულია და მისი, როგორც ოპოზიციური პარტიის გავლენა მინიმალურია. თუმცა ყოველი ახალი არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ ფაქტობრივად სრული კამპანია აგებულია იმაზე, თუ როგორი საშიშია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება. აღნიშნული კამპანია ხასიათდება უკიდურესად ნეგატიური ტერმინებით, როგორებიცაა „მკვლელები“, „მოღალატეები“ და ა.შ. შედეგად, იქმნება სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია არა სამომავლო იდეები და განვითარების პერსპექტივები, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ „დასრულება“. წლების განმავლობაში კი „დასასრულებელთა“ სიას ეტაპობრივად ემატება ხელისუფლებისთვის არასასურველი სხვა ოპოზიციური პარტიები, მედიები და ა.შ.

ახლა კი გადავიდეთ მთავარზე და იმ უკიდურესად მავნებლურ კამპანიაზე ვისაუბროთ, რომელიც ფაქტობრივად ყველა ზემოთ ნახსენებ მეთოდს აერთიანებს. ეს ყველასთვის კარგად ნაცნობი „ომში ჩართვის“ **ცრუ დილემაა**, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ მტრის - მოყვარედ, ხოლო მეგობრის მტრად წარმოჩენას ცდილობს. მას შემდეგ, რაც საქართველომ (განსხვავებით უკრაინისა და მოლდოვისგან) ევროკავშირის წევრობის სტატუსი ვერ მიიღო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დამნაშავეს ეძებს ყველგან, გარდა საკუთარი თავისა. მას სურს დაგვაჯეროს, რომ სტატუსის ვერმიღება უსამართლო სასამართლოს, დემოკრატიის დაბალი ხარისხის ან არაფორმალური მმართველობის ბრალი კი არაა, არამედ დასავლეთის ერთგვარი სასჯელია საქართველოსთვის, რადგან ის რუსეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაერთო. ამის ნათელი მაგალითია ის არაერთი განცხადება თუ ირიბი მინიშნება, თითქოს „გარკვეულ ძალებს საქართველოს ომში ჩართვა უნდათ“. ეს აბსურდული თეორია კი, რომლის მიზანია მმართველ პარტიას პასუხისმგებლობა აარიდოს და „მშვიდობის დამცველად“ წარმოაჩინოს, თავიდან ბოლომდე ომის შიშზეა დაფუძნებული. ომის შიში საქართველოს მოქალაქეებისთვის სრულიად ბუნებრივია, რადგან კარგად გვახსოვს ჯერ 90-იანი წლები, ხოლო შემდეგ - 2008 წელი. შესაბამისად, რუსული პროპაგანდის მსგავსად, ამ კამპანიის მიზანიც ჩვენი შიშის ისე გაღვივებაა, რომ საღი განსჯის უნარი დავკარგოთ და არ მოვიკითხოთ ის არგუმენტები, რომლებიც ამ თეორიას გაამყარებდა, რადგან ასეთი არ არსებობს. გარდა ამისა, ამ თეორიის გამავრცელებლები, რატომღაც, ძალიან იშვითად ან საერთოდ არ ახსენებენ იმ ქვეყანას, რომელმაც ჯერ საბჭოთა კავშირში ძალით შეგვათრია, შემდეგ 9 აპრილი მოაწყო, ტერიტორიები წაგვართვა, 2008 წელს კიდევ ერთხელ დაგვესხა თავს და საქართველოს დიდი ნაწილი ამ დრომდე დაპყრობილი აქვს. აღნიშნული კამპანიის ავტორებს, ალბათ, არც ის უნდათ, რომ ჩვენს ისტორიას

რუსული პროპაგანდის კარგად აპრობირებული ხერხები საქართველოს ხელისუფლების რიტორიკაშიც გვხვდება, თანაც ეს ტენდენცია დღითი დღე უფრო თვალსაჩინოა.

უფრო საფუძვლიანად გადავხედოთ და მივხვდეთ, თუ ვინმეს საქართველო ომში ჩაუთრევია, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, რის შესახებაც დიდი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1919 წელს წერდა. ნაშრომს: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“ - ჯავახიშვილი სწორედ ასე იწყებს: „დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა, თავის ქვეყნის წარსული იცოდეს“. ის, შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობით, არაერთხელ ამხელს „ქრისტესმოყვარე სახელმწიფოს“ (ალბათ მიხვდით, რომელ ქვეყანას ეხება ეს ირონიული სიტყვათშეთანხმება) სხვადასხვა დროს ქართველი მეფეების ომში ჩართვაში სპარსეთისა თუ ოსმალეთის წინააღმდეგ და შემდეგ მათ სრულიად მარტო დატოვებაში ურიცხვი მტრის წინააღმდეგ.

შეჯამებისთვის: დღეს, როცა საქართველოს მოქმედი ხელისუფლების რიტორიკას ვისმენთ, რომელიც გაჯერებულია რუსული პროპაგანდისთვის დამახასიათებელი მეთოდებით - ოპონენტების მიმართ უკიდურესად ნეგატიური იარლიყებით, კრიტიკაზე არგუმენტირებული პასუხის ნაცვლად, შინაარსისგან დაცლილი კონ-ტრბრალდებებით, ურთიერთსაპირისპირო გზავნილებითა და აბსურდული დილე-მებით - განსაკუთრებული დაფიქრება და სიფრთხილე გვმართებს. დაფიქრება იმიტომ, რომ მავნე პროპაგანდისა და ცრუ შიშის (რომელთა მიზანი ნამდვილი მტრის დავიწყება და მეგობრის მტრად წარმოჩენაა) გავლენის მსხვერპლნი არ აღმოვჩნდეთ.

დოდონა კიზირია

მარსიანელები

ორიოდე წლის წინ, თბილისში ყოფნისას, ერთ ახალგაზრდასთან მომიხდა საუბარი, რამაც ძალიან დამასევდიანა. არა იმიტომ, რომ რაიმე უსიამოვნო თემაზე ვლაპარაკობდით, ან, როგორც ქართველებს გვჩვევია, რაიმე პოლიტიკურ საკითხზე საპირისპირო აზრის გამო უკმეხად დავუპირისპირდით ერთმანეთს. არამედ იმიტომ, რომ ისეთივე სიტუაციაში ვიგრძენი თავი, როგორშიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ჩემს ამერიკელ სტუდენტებთან საუბრის დროს.

ჩემი სადებიუტო ლექცია და, რბილად რომ ვთქვა, არაადეკვატური ინგლისური ჩემს მოგონებებში მაქვს აღწერილი. მაგრამ ახლა სხვა რამეზე მინდა ვილაპარაკო. ყოველდღე, როდესაც შევდიოდი აუდიტორიაში და ვიწყებდი ლაპარაკს, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩემ წინ ისხდნენ მარსიანელები. მე აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი მათ შესახებ; არ ვიცოდი, ვინ არიან ისინი, რანი არიან, რა იციან, რა უყვართ, რამ შეიძლება გაახალისოს, ან პირიქით, რისგან, რა თემის განხილვის დროს შეიძლება უხერხულად იგრძნონ თავი. არც ის ვიცოდი, რა მაგალითები შემეძლო მომეყვანა იმ საკითხის ილუსტრაციისათვის, რომელზეც ვლაპარაკობდი. არ ვიცოდი, რა წიგნები წაუკითხავთ, რა ფილმები უნახავთ, რა სოციალურმა ან პოლიტიკურმა მოვლენებმა მოახდინა მათზე შთაბეჭდილება. ერთი სიტყვით, ყოველი მათგანი ჩემთვის იყო ერთგვარი tabula rasa, სუფთა დაფა, რომელზედაც არაფერი წერია და ამიტომ რაიმეს ამოკითხვის საშუალება ნულს უდრიდა.

დღეს ამგვარი გაუცხოების გრძნობა საზღვარგარეთ პირველად მოხვედრილ ადამიანს, ალბათ, არ ექნება. ტელევიზიამ, ინტერნეტმა, მობილურებმა და ინფორმაციის სხვა უამრავმა წყარომ მნიშვნელოვნად გააადვილა უცხო გარემოში ორიენტაციის შესაძლებლობა. მაგრამ ჩემს დროს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანისთვის საზღვარგარეთი წარმოუდგენლად შორი, სხვა გალაქტიკის მსგავსი რეალობა იყო. ამიტომ იქ მოხვედრისას არა მხოლოდ იქაურ მკვიდრთა ენის არცოდნა, არამედ სრულიად უბრალო ყოველდღიურობაში არსებული, ადამიანური თუ საგნობრივი კავშირების აღქმაც კი ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა.

ჩემი ინგლისური გულისგამაწვრილებლად ნელა, მაგრამ მაინც დღითიდღე უმჯობესდებოდა. ვგულისხმობ ლექსიკის ზრდას და გრამატიკული წესების დაუფლებას. მაგრამ კარგა ხანს ვგრძნობდი, როგორი ფუყე, ცარიელი, მნიშვნელობების კონოტაციურ ფენებს სრულიად მოკლებული იყო ყოველი ჩემი სიტყვა. როდესაც ლაპარაკობ იმ ენაზე, რომელიც შენც და შენმა თანამოსაუბრემაც ბავშვობიდან იცით და როცა საუბრობთ იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადეთ და გაიზარდეთ, ყოველი თქვენი სიტყვა, გააზრებული გვაქვს ეს თუ არა, დატვირთულია მთელი რიგი მნიშვნელობებით, რომელთა ახსნა-განმარტება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. სულ უბრალო, სულ ელემენტარული სიტყვები, როგორებიცაა ქუჩის დასახელება, წიგნის სათაური, რომელიმე ცნობილი პიროვნების ხსენება, ან თუნდაც რაიმე ხუმრობა გაცილებით მეტი ინფორმაციის შემცველია, ვიდრე მათი სუფთა ლექსიკური ფორმულირება. ყოველ მათგანს ახლავს იმ მნიშვნელობების მთელი რიგი, რომლებიც მოსაუბრეებმა იციან, ახსოვთ მათთან დაკავშირებული მოვლენები, მათი კონოტაციები, რომლებსაც ძალდაუტანებლად, თავისთავად აღიქვამენ. მეტიც, როდესაც ვინმე შენს თანამემამულეს პირველად დაელაპარაკები, სულ რაღაც ხუთ წუთში დაახლოებითი წარმოდგენა მაინც გექმნება ამ ადამიანის

შესახებ. რა სიტყვებს ხმარობს, რა ფაქტებს ახსენებს, მისი ლაპარაკის კილოც კი - ყველაფერი ეს ინფორმაციის წყაროა, რომელსაც სრულიად გაუაზრებლად აღიქვამ, გარკვეულ ინფორმაციას იღებ და სათანადო დასკვნა გამოგაქვს.

ამერიკაში ყოფნის პირველ ხანებში ინფორმაციის აღქმის ან გადაცემის ამდაგვარი გამოცდილება, რასაკვირველია, არ მქონდა. ჩემი სტუდენტების სიტყვები, ისევე როგორც ჩემი სიტყვები, მათთვის ისეთივე ერთგანზომილებიანი და სიღრმეს მოკლებული იყო, როგორიც რომელიმე უცხო ენის სახელმძღვანელოში რაიმე გრამატიკული წესის მაილუსტრირებელი წინადადებები. აი, მაგალითად: „ლიბრევილი გაბონის დედაქალაქია“, „ბავშვები ეზოში თამაშობენ“, „რობერტს ორი ძმა და ერთი და ჰყავს“. აქ ყოველი სიტყვა, ყოველგვარ კონოტაციას მოკლებული, შიშველი დენოტატებია. დარწმუნებული ვარ, ჩემი მკითხველების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოდგენა არა აქვს და არც აინტერესებს, სად არის ან როგორ გამოიყურება ქალაქი ლიბრევილი, ბავშვების რა თამაშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი (ფეხბურთი, კალათბურთი, დაჭერობანა, დახუჭობანა, თუ რამე სხვა) და, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას,თუ ვინ არის ეს რობერტი და რა ჰქვია მის ძმებსა და დას. აქ მთავარია, ისწავლო სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების წესი, ზმნის საჭირო პირში ხმარება და ასე შემდეგ. ჩემი მთავარი ამოცანაც ეს იყო - შემედგინა გრამატიკულად სწორი წინადადება. რამდენად ზუსტად იყო არჩეული სიტყვები, რამდენად ეთანხმებოდა მათი კონოტაციები იმ აზრს, რომლის ფორმულირებასაც ვცდილობდი - ამაზე ფიქრიც კი მიჭირდა.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. ამ წლების განმავლობაში ჩემი „მარსიანელი“ სტუდენტები სავსებით ჩვეულებრივ, ნორმალურ ადამიანებად-ბიჭებად და გოგონებად გადაიქცნენ. კარგა ხანია პენსიაზე ვარ გასული, მაგრამ ბევრ მათგანს ახლაც ვახსოვარ და მწერენ თავიანთ ამბებს, იხსენებენ ჩემს ლექციებს, მიამბობენ თავიანთი საქმიანობის შესახებ. როცა მათ პასუხს ვუგზავნი, უკვე აღარ ვფურცლავ ლექსიკონს აკანკალებული თითებით, აღარ ვეძებ საჭირო სიტყვებს ამა თუ იმ აზრის გამოსათქმელად. ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით ერთმანეთს ამა თუ იმ საკითხში თუ - არა.

უბედურება ის არის, რომ ჩემთვის დღეს ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი სწორედ მარსიანელთა ტომივითაა. ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, თანაც იმ ქვეყანაში, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, თუმცა, რასაკვირველია, რამდენიმე ათეული წლის განსხვავებით. ბევრი რამ უნდა გვქონდეს საერთო. მაგრამ ვუსმენ, ან ვუყურებ მათ და ასე მგონია მათთვის ჩემი სიტყვები ისეთივე ცარიელი და კონოტაციებს მოკლებულია, როგორიც - „ლიბრევილი გაბონის დედაქალაქია.“ მე არ ვიცი, ვინ არიან ისინი, რა აინტერესებთ, რა აწუხებთ, რაზე ოცნებობენ. როგორ აღიქვამენ ქართულ ენას - როგორც მშობლიურს თუ, უბრალოდ, როგორც ურთიერთობის საშუალებას... საერთოდ, ეს სიტყვა - „მშობლიური“ - მისაღებია მათთვის თუ ეს სენტიმენტალური, დრომოჭმული და შინაგან აზრს მოკლებული ლექსიკური ერთეულია?

რასაკვირველია, ერთგვარი გაუცხოება თაობებს შორის ჩვეულებრივი რამ არის, მოხუცები ყოველთვის ვერ ნახულობენ საერთო ენას ახალგაზრდებთან. მაგრამ მე ასე მგონია, ჩემთვის ეს გაუცხოება უფრო ღრმა, უფრო გარდულახავი და უფრო მტკივნეულია. არადა როგორ მინდა ვიცოდე, ვინ არიან, რანი არიან, რა სურთ, რაზე დარდობენ და რას ნატრულობენ ისინი. არის მათთვის საქართველო სამშობლო, თუ უბრალოდ საცხოვრებელი ადგილი, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან, რომ აქ ცხოვრება ნაკლებად კომფორტულია?

როგორ მინდა ვიცოდე...

პ.ს. ეს სტატია თებერვლის ბოლო დღეებში დაიწერა. 7-9 მარტის მოვლენების შემხედვარემ, ავტორმა სოციალურ ქსელში ეს სიტყვები დაწერა: „ამ უკანასკნელმა დღეებმა პასუხი გასცა ჩემს სიტყვებს. მკვდარი ვიყავი და გავცოცხლდი! მადლობა, ჩემო კარგებო, ჩემო საყვარელო, ლამაზო, ჭკვიანო ბიჭებო და გოგონებო, ჩემო მეგობრებო, ნაცნობებო და უცნობებო. საქართველო თქვენ გეკუთვნით, თქვენ უნდა დაიცვათ ის ბარბაროსებისა და კრემლის ხელქვეითებისგან. უნდა გაიმარჯვოთ!“

თეო ხატიაშვილი

ვის ეშინია პოლიტიკური ხელოვნების?

sind das für Zeiten, wo Ein Gespräch über
Bäume fast ein Verbrechen ist
Weil es ein Schweigen über so viele
Untaten einschließt!

ეს რა დროა, როცა ხეებზე საუბარი ლამის
დანაშაულია, რადგან ის იმდენ
უსამართლობაზე გაჩუმებას მოიცავს!

ბერტოლტ ბრეხტი

უკვე გასული საუკუნის 30-იან წლებში ვალტერ ბენიამინი, განიხილავდა რა სრულიად ახალ, ტექნოლოგიურ ეპოქაში ხელოვნების არსობრივ ცვლილებას, მიიჩნევდა, რომ საკრალურობისგან საბოლოო დაცილება მის სოციალურ ფუნქციასაც კარდინალურად ამოატრიალებს და რიტუალისა და რელიგიის ნაცვლად მას სხვა პრაქტიკაში, პოლიტიკაში ამკვიდრებს.

ცოტა მოგვიანებით „მეორე ტალღის“ ფემინისტების ერთ-ერთი მთავარი სლოგანი - პირადი პოლიტიკურია - გასცდება ფემინისტი თეორეტიკოსებისა თუ ავტორების ტექსტებსა და რიტორიკას.

„ბოლოს და ბოლოს, ყველა ფილმი პოლიტიკურია“ - იტყვის ერთ-ერთ ინტერვიუში კინოს ისტორიაში ყველაზე უფრო დაუფარავად პერსონალური რაინერ ვერნერ ფასბინდერი, რომლის პირადი გამოცდილება მისივე ეპოქის, პოსტნაცისტური გერმანიის გადამალული ტრავმებისა და ნაცისტური მემკვიდრეობის გაშიშვლების ბასრ იარაღად იქცევა.

რამდენად შესაძლებელია წინა, პრემოდერნულისგან ასე რადიკალურად განსხვავებულ ეპოქაში ადამიანი - დავამატებდი, მით უმეტეს, ხელოვანი - იყოს აპოლიტიკური? ეს კითხვა არაერთი ფილოსოფოსის განსჯის საგნად იქცევა. ჰანა არენდტისთვის ცალსახაა, რომ ტოტალიტარიზმს არა მხოლოდ და არა იმდენად ერთი ტირანი (ბელადი/ფიურერი) და მასთან დაახლოებული პოლიტიკური ელიტა აყალიბებს და აცოცხლებს, არამედ მისი არსებობისთვის სწორედ აპოლიტიკური მასაა აუცილებელი, რომელიც პოლიტიკური პროცესებისადმი ინდიფერენტიზმით ხასიათდება. ნაციონალ-სოციალისტებიცა და კომუნისტებიც სწორედ მოსახლეობის იმ უსახურ მასას მიიმხრობენ და პოპულისტური ლოზუნგებით გამოკვებავენ, რომელიც განზე იდგა პოლიტიკისგან.

ვფიქრობ, აპოლიტიკური ხელოვანი და ხელოვნება ერთგვარი ოქსიმორონიც კია, თუნდაც იმიტომ, რომ მისი თავისუფლება პოლიტიკური საკითხია.

ეს ჟურნალ კინ-O-ს ბოლო (მეხუთე) ნომრის ჩემი სარედაქტორო სვეტია, რომელიც აღარ დაიბეჭდა და ამიტომ მთლიანად გთავაზობთ. ვფიქრობ, ის წარმოდგენას შეგიქმნით ნომრის შინაარსსა და მთავარ თემაზე და გარკვეულ სიცხადესაც მოჰფენს იმასაც, თუ რატომ შეიძლებოდა კინოცენტრს, რომლის დაფინანსებითაც გამოდიოდა ჟურნალი, უარი ეთქვა მის დაბეჭდვაზე.

უფრო სწორად, უარიც არ უთქვამთ - უბრალოდ, თეა წულუკიანის მინისტრობის პერიოდში კულტურის სფეროში დამკვიდრებული ნორმის მიხედვით, რაც სრულად გაუმჭვირვალე და ჩაკეტილ სისტემას გულისხმობს, თვეების განმავლობაში პასუხსაც ვერ ვიღებდი: ჯერ დეკემბერში კონტრაქტორი სტამბის გამოსავლენად მომზადებული ტენდერი ჩაშალეს და ახალი წლისთვის გადაიტანეს, მერე ვითომ ახალი ბიუჯეტის დამტკიცებას ელოდნენ, ბიუჯეტის დამტკიცებამ რომ ჟურნალის ბედი ვერ გადაწყვიტა, შევთავაზე, მე თვითონ მომეძიებინა დაბეჭდვის ფული, რაზეც უარი მივიღე. საბოლოოდ ყველაზე მარტივ გამოსავალზეც - კინოცენტრის საიტზე აეტვირთათ ელექტრონული ვერსია - არ დამთანხმდნენ. უფრო სწორად, პასუხი (უფრო ბუტბუტს დავარქმევდი) კვლავ გაურკვეველი იყო - არ ვიცით, ვნახოთ, ვკითხავთ დირექტორს.

კინოცენტრის ახალი დირექტორი კი, რომელიც ამავე დროს კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მოადგილეა, დაახლოებით გოდოს პერსონაჟია (საერთოდ ბეკეტი ძალიან აქტუალურია ამ ინსტიტუტის დასახასიათებლად), რომელსაც არც იცნობენ თანამშრომლები, მასთან ურთიერთობა ვირტუალურადაც კი შეუძლებელია, 1-2 ნდობით აღჭურვილი პირის გარდა.

ეს არაჯანსაღი ატმოსფეროც არის მოხსენიებული ჟურნალის ერთ-ერთ მწვავე წერილში, რომელშიც ავტორი (ბასტი მგალობლიშვილი) კინოს, როგორც პროპაგანდირების და ამის საპირისპიროდ, წინააღმდეგობის, საპროტესტო მოძრაობის მაპროვოცირებელ საშუალებას ისტორიულად აანალიზებს.

მთლიანად ბოლო ნომრის თემა, ხელოვნებისა და პოლიტიკის ურთიერთობა, ის საკითხია, რომლის საწინააღმდეგო აზრის დამკვიდრებასაც ცდილობს „ქართული ოცნების“ პროპაგანდა ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან. უკრაინა-რუსეთის ომმა ხელოვნების (სპორტის, ბიზნესის და ა.შ. თუ ნებისმიერი მოქალაქის) პოლიტიკისგან გამიჯვნის მცდელობის ფარისევლობა განსაკუთრებით გააშიშვლა. აპოლიტიკური ხელოვანის (რომლებსაც საარჩევნო კამპანიისას წარმატებით გამოიყენებენ) კულტივირებამ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ომის პირობებში საბოლოოდ მიგვიყვანა „აპოლიტიკური“/„ნეიტრალური“ სახელმწიფოს იდეამდე, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო ახალი წესრიგის მოლოდინსა და მისი ფორმირების პროცესშია ჩართული.

ამიტომ აბდაუბდა, გაურკვეველი პასუხებისა და გაწელილი დროის მიუხედავად (ანდა სწორედ ამის გამო), უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჟურნალი აიკრძალა, ძველი და, როგორც ირკვევა, არც თუ მივიწყებული პრაქტიკით, ის „თაროზე შემოდეს“. როგორც კინოცენტრის დირექტორის მოადგილე მაკო ჭილაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში თქვა, ამ საკითხს „ვადა გაუვიდა, ამოვარდა, ხდება ხოლმე ასეთი რაღაცეები“. სხვათა შორის, ამ „ვადაგასული“ ჟურნალის მომზადებაზე დახარჯული თანხა (რედაქციისა და ავტორების ჰონორარები) თითქმის ოთხჯერ აღემატება მის დასაბეჭდად განკუთვნილს. როგორც ჩანს, კულტურის სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვა უფრო გონივრულია, ვიდრე მისთვის არასასურველი აზრების ტირაჟირება.

„არ არსებობს ისეთი რამ, როგორიც არის უპასუხისმგებლო კრიტიკა, ისევე როგორც ხელოვნება მნიშვნელობების გარეშე. აქ კითხვა უფრო ასე ისმება, თუ რამდენად გულწრფელად ვაცხადებთ ჩვენი პასუხისმგებლობების შესახებ. და მე არ მგონია, რომ უნდა გავჩუმდეთ“ - ჟურნალის ბოლოს გამოტანილი ეს ციტატა ლინდსი ანდერსონის საპროგრამო სტატიიდან Stand up! Stand up! (1956), რომელიც ინგლისური კინოს „გაბრაზებული თაობის“ მანიფესტად იქცა, სიმბოლური აღმოჩნდა. მართლაცდა, „ეს რა დროა, როცა ხეებზე საუბარი ლამის დანაშაულია, რადგან ის იმდენ უსამართლობაზე გაჩუმებას მოიცავს“. ■

ბუბა კუდავა

მოკუდა თუ მოიკლა?

სამეფო ისტორიათა გამოუძიებელ საქმეთა ჩხრეკანი

რამდენი გაუხსნელი საქმე შემოუდვია ჩვენს დროებას ტლანქ თაროებზე. რამდენი კითხვა - პასუხგაცემული თუ გაუცემელი, რამდენი ბრაზი თუ ეჭვი დაგვტრიალებს აქ, ჩვენ თვალწინ და ცხვირწინ დახოცილებსა თუ ბუნებრივად გარდაცვლილებზე, ბობოლებსა თუ რიგითებზე, მართლებსა თუ ტვირთმძიმეებზე... და ამის შემდეგ დავფიქრდეთ, რა მწირი და უბადრუკი იქნება ჩვენი ცოდნა და წარმოდგენები ღრმა წარსულის შეთქმულებზე, ორგულობებზე, ვერაგობებზე, პალატთა დერეფნებში გესლ-ბალღამების მალულ გარევებ-ჩაწვეთებებზე, მოშთობ-მოგუდვებზე, აკაფვ-აკუწვებსა და მერე კი ამ ცოდვა-ბრალის გულდაგულ მიჩუმათებებზე. მით უფრო, თუ ეს ამბები ისტორიის, ეპოქების, რეგიონებისა თუ ქვეყნების რჩეულთ დამართნია!

კაენიდან მოკიდებული, ძველ დროებას მკვლელობები არასოდეს დაჰკლებია და რაღა ჩვენში დააცლიდნენ ყველა მეფეს მშვიდ და ბუნებრივ აღსასრულს? და რაღა აქ გაგვიხსნიდნენ გულისკარს კარის მემატიანენი?

ძალზე ხშირად ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებებს მივდევთ - დახე, აგრე წერია, ან ვაგლახ, სულ არ წერიაო და ის ვიცით, რაც ძველ მეისტორიეებს უნდოდათ გვცოდნოდა და ის კი არა ვუწყით, რისი შეცნობაც, მათივე ჰაზრით, არას გვარგებდა.

საკვირველი ისაა, რომ კითხვების დასმასაც გადავეჩვიეთ, პარალელურ უცხოურ წყაროთა მონაცემების წაყრუებასაც დავეჩვიეთ, სამეფო ვერსიების დაჯერებასაც მივეჩვიეთ, ალტერნატიული ისტორიების რეკონსტრუქციები კი მკრეხელობად მივიჩნიეთ.

ქვემოთ რამდენიმე ქართველი მეფის აღსასრულს ჩავეძიებით, ქართველი და უცხოელი მეისტორიეების ცნობებს ჩავუფიქრდებით და მკითხველს ჩავეკითხებით - ბოდიში მომითხოვია და, ემანდ, მართლა რაღაც ხომ არ ხდება?

დავით კურაპალატი

სამხრეთქართული და კიდევ იმის იქითა მიწების ბატონ-პატრონის, ტაოს მეფის, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ III-ის მამობილის, რეგიონის უპირობო ლიდერის, (გადაჭარბებით თუ გადაუჭარბებლად) საქართველოს გაერთიანების სულისჩამდგმელად მიჩნეულ დავით კურაპალატზე ვის არ გვსმენია. ბიზანტიურ ორომტრიალებში მის მონაწილეობაზეც წაგვიკითხავს პოეტური თუ ისტორიული ამბები. ბოლოს რომ დამარცხებულის მხარეს აღმოჩნდა და არასასურველ ანდერძს მოაწერა ხელი, ესეც გაგვიგია. გარდაცვალების შემდეგ, იმ ავბედითი ანდერძის ძალითა და იმპერიის ძლევამოსილების გამოისობით რა ხდება - იმპერიას მხოლოდ ის მიწები ერგება, დავითმა მუსლიმ მმართველებთან ჯახებში ხმალდახმალ რომ იერთა თუ მთელი მისი მამულ-დედული, ამიან-იმიანა, ქართულიან-სომხურიანა, ამაზეც არ შეგვიწყვეტია სამეცნიერო დისპუტნი.

თუმცა...

რატომღაც ნაკლებად ვსაუბრობთ მის გარდაცვალებაზე. ხან არ ვიცით, რომ სხვაგვარი ცნობებიც მოიპოვება, ხანაც გვერდს ვუვლით. გარდაიცვალა დავით, დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისაო, წელსა 1001-საო, და არა ესუა ძეო - სულ ეს წერია ჩვენს წყაროებში.

არადა, სომხური თანამედროვე თუ მოგვიანო მატიანეები თითქმის ერთხმად ღაღადებენ, რომ დავითი თვისი სიკვდილით არ აღსრულებულა. ცნობები სხვაობს, თუმცა მათი შეჯერებით დაახლოებით ამგვარი ქარგა იკვრება: უღალატეს საკუთარმა აზნაურებმა, საწამლავი გაურიეს ღვთაებრივ სითხეს და დიდ (ანუ აღდგომის წინა) ხუთშაბათს აზიარეს. გადარჩა მეფე-კურაპალატი და ამის შემდეგ, აღდგომა დღეს, საკუთარ საძინებელში ბალიშით მოაშთო „ქართველთა ეპისკოპოსმა“, ილარიონმა (ამ დროს ამ სახელით იშხნელი ეპისკოპოსია ცნობილი ქართული წყაროებით).

ნუთუ სომხური წყაროების ყველა ჩვენება მხოლოდ ჭორზე, დეზინფორმაციასა და ქართული საერო და სასულიერო წრეების დისკრედიტაციის სურვილზეა აგებული? გასათვალისწინებელია, რომ ეს რამდენიმე პარალელური ცნობა, სავარაუდოდ, სხვადასხვა პირველწყაროდან მომდინარეობს. შესაბამისად, წონაც მეტი აქვს, ვიდრე ჩვენს მშრალ ქრონიკას, რომლის ლაკონიურობა თავისთავად ეჭვს ბადებს - მით უფრო, სომხური ცნობების ასეთი სიუხვის პირობებში.

თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო შეთქმულების დროს დავითი ბიზანტიის იმპერატორის მოწინააღმდეგე ბანაკს უჭერს მხარს, რომელიც დამარცხდა; თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა კურაპალატი იძულებული ხდება, მისი მემკვიდრეობა (დიდი წილი თუ სრული წილი) იმპერიას უანდერძოს - გარდაცვალების შემდეგ წაღების უფლებით; თუ მოვიგონებთ, რომ მისი აღსრულების შემდეგ ტაოში მყისიერად ჩნდება იმპერატორი ბასილი II და სასწრაფოდ იბარებს „თავანს“, მაშინ ზემორე ცნობები სარწმუნოდაც მოგვეჩვენება და გონივრული ეჭვის ისრებიც ბიზანტიის იმპერიისკენ წარიმართება. თუ ვინმეს ინტერესი იყო დავითის მოშორება, რათა დროულად აღსრულებულიყო ანდერძი, რათა ემანდ რამე არ შეცვლილიყო ან გართულებულიყო, სწორედ კონსტანტინოპოლის საიმპერიო კარი გახლდათ.

დავით კურაპალატი, ოშკის სტელა

რამდენადაც ლოგიკურად გამოიყურება ეს ვერსია, იმდენად გაუგებარი და საეჭვოა ქართული წყაროების დუმილი. თუ არ მოუკლავთ, რად არ იმეტებს არცერთი ავტორი (მეისტორიე თუ ჰაგიოგრაფი) მეტ დეტალს? და თუ ბუნებრივად არ აღსრულებულა მეფე-კურაპალატი, რატომ უქცევს გვერდს ქართული მასალა? თუ ბიზანტიამ გაისტუმრა იმქვეყნად, განა ეს დასამალია? ეგებ იმპერია აქაური დიდკაცების ხელით რომ მოქმედებს, სწორედ აქაა ამ მიჩქმალვის გასაღები? თუ ეს ბიზანტიის სპეცოპერაციაა, საჩოთირო კითხვას დავსვამ და, რა როლი აქვთ ამ საქმეში დიდი მამობილის აწ უკვე დიდ შვილობილს - აფხაზთა მეფე ბაგრატ III-სა და მამამისს - მეფეთ-მეფე გურგენს? თანამონაწილეობა? პასიური ჩართულობა? სარგებელი და სანაცვლოდ დუმილი? აკი იმპერატორმა მამა-შვილს დავით კურაპალატის

მემკვიდრეობიდან რაღაც არგუნა (სიცოცხლის განმავლობაში მართვის უფლებით), კურაპალატობა-მაგისტროსობაც ებოძათ და ურთიერთობაც დაულაგდათ დიდ ძიასთან.

ვინ იცის, რა იყო და როგორ იყო. რაც უფრო დუმან წყაროები, მით მეტ ადგილს ტოვებენ განსჯისთვის, ვერსიებისა და ინტერპრეტაციებისთვის. და მაინც, მოკუდა თუ მოკლეს დიდი დავითი? და თუ მოკლეს, რად ღაღადებენ მხოლოდ სომხური წყარონი და რად გაყურსულან ქართულნი?

გიორგი I

ვინ არ იცნობს მეფე გიორგის! ვინ არ იცნობს „ორ კურაპალატს შორის გამოსრესილ“ მეფეს, ბაგრატის ძესა და ბაგრატის მამას. გვახსოვს სკოლიდან. გავიცანით „დიდოსტატიდან“. პირველად კონსტანტინე გამსახურდია დააფიქრებს ხოლმე ჭაბუკებს ამ ჭაბუკ და ბობოქარ მეფეზე. რაც ამ რომანიდან მთელი ცხოვრება მოგვყვება, იმისი დიდი წილი, ცხადია, მწერლის ფანტაზიაა, მაგრამ მხოლოდ წყაროებიდან ცნობილი პასაჟებითაც რომ ააწყო გიორგი I-ის პორტრეტი, გულგრილს ვერ დაგტოვებს.

მაინც ვინ იყო – შლეგი, სულსწრაფი, ხელი („გახელება“ აქედანაა), თუ გულადი, გულანთებული, დაუცხრომელი, მიზანსწრაფული? მხედველი და მოფიქრალი თუ ბეცი და ფშუტე? თუ უბრალოდ, უიღბლო? ერთი კია, ისე მეფობა არ ისურვა, როგორც ასი სხვა მოისურვებდა და არც მეტი და არც ნაკლები, პირდაპირ ბიზანტიას ეტაკა – იმ დროის მსოფლიო იმპერიასა და ვაგლახ, ჩვენს იმჟამინდელ მეზობელს. იმ მამულის დაბრუნება სურდა, მამის მამობილს – დავით კურაპალატს რომ დაათმობინა მეორე რომმა.

ბოლოს დამარცხდა. დამარცხებულთა გაკილვა უყვართ ადამიანებს და ჩვენც გაუთავებლად შეგვიძლია ვიდავოთ, სწორად მოიქცა თუ არა აფხაზთა და ქართველთა მეფე, გოროზ მეტოქეს რომ დაეჭიდა...

თუმცა ეს ამბავი სხვა ამბავზეა.

ეს ენერგიით სავსე მეფე გიორგი, ახალდაბადებული საქართველოს სამეფოს რიგით მეორე თავიკაცი, რომელიც 25-იდან 30-მდე წლისა თუ იქნებოდა, სრულიად მოულოდნელად გამოგვეცალა. აი, ასე, უბრალოდ მიიცვალა: თრიალეთს, 1027 წელსა, თუესა აგვისტოსა თექუსმეტსა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი, გინა იწრონი...

ბასილი II-სთან ბრძოლაში დამარცხებული გიორგი I, ბიზანტიური მინიატურა

იშვიათად, რომ ასე ზუსტად ვიცოდეთ ამდენი დეტალი მეფის გარდაცვალებაზე. მაგრამ ეს ფაქტები (რა-სად-როდის) რა თავხედურად მალავენ არანაკლებ საინტერესო კითხვებზე პასუხებს! რა დაემართა ასე უცაბედად ახალგაზრდა მეფეს? იქ რა უნდოდა? სად მიდიოდა? ბრძოლა, შეტაკება, ნადირობა, ღალატი...? ვინ იყო მის გვერდით, რა იყო იმ ცივ და იწრო ადგილას და სად არის ეს ადგილი დღეს? ბერძნებმა ხომ არ მოიშორეს (რამდენს გაჰკრავდა ეს აზრი ჯერაც მაშინ)? თუ მკვლელობა იმპერიის დაკვეთა იყო, ჰქონდა თუ არა რაიმე როლი რომელიმე მეუღლეს? გავიხსენოთ: პირველი მეუღლის, სომეხთა მეფის ასულის - მარიამის სიცოცხლეშივე გიორგი მეორედ ქორწინდება - ოვსთა მეფის ასულ ალდეზე, რომელთანაც ასევე ვაჟი შეეძინა. მეფის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მცირეწლოვანი ბაგრატ IV, ქვეყანას ფაქტობრივად მარიამ დედოფალი მართავდა, წყვილი დედა-შვილი (მარიამ-ბაგრატი და ალდე-დემეტრე) კი კარგა ხანს იყოფდნენ გიორგის მემკვიდრეობას.

გიორგი მეფის ტრფიალ მწერალს რა ლამაზად და სევდიანად აქვს აღწერილი მისი აღსასრული, მაგრამ ნეტავ მართლა რა მოხდა რეალურად? რად მივენდოთ ასე ბრმად ერთ ჩანაწერს და არ ვეძებოთ იმპერიის საცეცები, თითქმის ყველას რომ სწვდება, ვინც კი გათავხედდება და დიდი გეოპოლიტიკური დაფის აყირავებას შეეცდება?

რამდენი მკითხველიც ეყოლება ამ კითხვის ნიშნებით სავსე და უპასუხო ჩანახატს, იმდენი სურათის დახატვის უფლება მოუცია ისტორიას.

... და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა, მამამისის – ბაგრატ III-ის აგებულ, დღეს ბაგრატის ტაძრად ცნობილ ეკლესიაში.

დავით V

დავით აღმაშენებლის ძეს - დემეტრე I-ს ორი ძე ჰყავდა - დავით და გიორგი. უფროსი ურჩი იყოო, ამიტომ დემეტრე გიორგის, ერთგულ შვილს, გამოარჩევდაო - ასეთია სამეფო საისტორიო მწერლობის ოფიციალური ხაზი. აშკარაა, ოჯახში არ ყოფილა სამმხრივი მშვიდობა და ძმათა შორის სათნოება. დავით V-ს ნაადრევად, მამის გარდაცვალებამდე, მოურგია სამეფო გვირგვინი და ასევე ნაადრევად, 6 თვეში, დაუტოვებია აქაური სოფელი.

ეს მეფობის ხანგრძლივობის ანტირეკორდია ერთიანი საქართველოს ისტორიაში; დავითი ახალგაზრდა გახლდათ (30-ისაც არ იქნებოდა); ქართული მატიანეები კრინტს არ ძრავენ გარდაცვალების მიზეზსა და სხვა დეტალებზე. მხოლოდ ეს გარემოებები იკმარებდა ეჭვების გასაჩენად, მაგრამ ვაგლახ, რომ ეჭვებს უცხოური წყაროებიც ამყარებს:

სომეხ მემატიანეთა ერთი ნაწილი ირწმუნება, სხვანი კი ეჭვობენ, რომ მეფე დავითი მოკლეს. საწამლავი დაალევინესო, მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქვეყანაო. შევადაროთ, სევდა სულ არ ეტყობა „ქართლის ცხოვრებას“, პირიქით, ერთგან ასეთი საკვირველი რამ წერია: შეისმინა ღმერთმა ვედრება და შეუმცირა დღენი დავითს და მამაზე უწინარეს წაიყვანაო. სტრიქონებს შორის იკითხება - თითქოს ამ ვედრებას ტახტს განრიდებული (ოფიციალური ვერსიით - ბერად შემდგარი) მამა აღასრულებს.

მოკლედ, მოკლეს დავით მეფეო. ხელს ორბელებისკენ იშვერენ და ერთ-ერთი მემატიანე დასძენს - ძმასთან, გიორგისთან, იყვნენ შეთანხმებულნიო. ეს უმნიშვნელოვანესი და, იმავდროულად, საჩოთირო დეტალი (რაღა დეტალი!) თავდაყირა აყენებს ქართული წყაროების მშრალ ცნობებზე დაფუძნებულ ჩვენეულ აღქმას: რომ დავითმა მამა აიძულა, გვირგვინი დაეთმო, მერე გამეფდა, მერე მალევე მოულოდნელად გარდაიცვალა, რომ მერე ტახტზე დემეტრე დაბრუნდა და თანამეფედ მეორე ძე - გიორგი გამოაცხადა. თავდაყირა აყენებს კი არა, ეგებ, პირიქით, სწორედაც რომ ალაგებს - კლანურ დაპირისპირებებსაც, დემეტრეს ტახტიდან განრიდებასა თუ შემონაზვნებას, დავითის გამეფებას, მეფობის მიჩუმათებას (თამარის დროინდელი ისტორიკოსები მეფედაც კი არ იხსენიებენ დავითს), ახალგაზრდა ასაკში უცაბედ გარდაცვალებასაც და მამა-შვილში გამორჩევის ამბებსაც.

ჩემი ეჭვის საფუძველი მაინც ის დუმილია, რომელიც ქართულ წყაროებში ასე თვალში საცემია. დიახ, მოკლეს, ჩემი აზრით, მოწამლეს მეფე დავითი და როგორ გინდა, ცოდვა დაიდო და ძმას ხელი დაადო, მაგრამ წყაროს ცნობა და სხვა გარემოებები გიმყარებს ეჭვს - გონივრულ ეჭვს, როგორც სამართლის ხალხი იტყოდა დღეს, რომ გიორგიც გარეულია ამ საქმეში. დემეტრე-დავითს შორის დაპირისპირებას, დემეტრე-გიორგის თანამოაზრეობასა და დავით-გიორგის მეტოქეობას არაერთი მიზეზი ექნებოდა, მაგრამ ყველა მათგანის სათავედ ძალაუფლება და პოლიტიკური ბანაკები უნდა ვიგულოთ. სამმა ძლიერმა და ამბიციურმა ადამიანმა მოიყარა თავი ერთ იწრო ადგილას და ცხადია, უმალ გაჩნდებოდა პიროვნული განსხვავებანიც და პოლიტიკური პაექრობანიც, უთანხმოებები საკადრო გადაწყვეტილებებსა და ცალკეულ პირთა წამოწევა-ჩაჩოჩებებში, დაპირისპირებანი სამეფო კარზე როლების გადანაწილებებსა თუ გავლენების მოპოვებაში. მოკლედ, აჰყვა, აჰყვა და ბოლოს ორ დიდ პარტიად ჩამოყალიბდა ეს გაწი-გამოწიაობა. ჩანს, ბოლოს მობერდა დემეტრე და გაექცა სადავეები ხელიდან. პოლიტიკური დაჯგუფებების ლიდერებად ძმები იქცნენ და კიდეც გადალაგდნენ შესაბამისად ფეოდალები: ზოგი მარჯულ, ზოგი მარცხულ. თავდაპირველად დავითმა იმარჯვა. თუმცა დამარცხებულებმა რევანში მალევე აიღეს - აკრძალული, მაგრამ მსოფლიო ისტორიაში ბევრგზის ნაცადი გზით...

ლაშა-გიორგი

ძველად, როცა მედიცინა ასრე არ გახლდათ დაწინაურებული და არც მეფეთა ზეობა იყო იგეთი ლაღი და დალხენილი, დღეს რომ წარმოგვიდგენია (ხანგრძლივი და დამღლელი მგზავრობები, ცხოვრების დიდი ნაწილის გატარება ღია ცის ქვეშ, სიცივე-სიცხის ატანა-ვერატანა, ომები, ბრძოლები, ავადობა, უწამლობა, ჟამიანობა, ფათერაკიანი გარემო და სხვა...), ცხადია, ადრეულ ასაკში გარდაცვალებაც უფრო ხშირი იყო, ვიდრე თანამედროვე ეპოქაში და სიკვდილიც ზოგადად უფრო ადრე მოდიოდა.

ეს ჩვენი ლაშა-გიორგიც ახალგაზრდა, 30-31 წლისა გასულა იმქვეყნად და ჩანს, ფრიად მოულოდნელადაც. ასე განსაჯეთ, დის - რუსუდანის ნიშნობისა თუ ქორწილის საქმის გასარიგებლად გახლდათ ჩასული სამეფოს უკიდურეს აღმოსავლეთში - ბაგავანში (დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) და უცაბედად იქ გარდაცვლილა. მანამდე, ანაზდად გამოჩენილ მონღოლებთან ბრძოლაზე წყაროში აღნიშნულია, რომ „პირველი წყლულება მათგან იქმნა“. ამ ფრაზაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ აქ მეფის წყლულება იგულისხმება. ჩანს, ლაშა ბრძოლაში დაჭრილა და გარდაცვალების მიზეზიც მოგვიანებით ამ „წყლულების“ გართულება იქნებოდაო.

შესაძლოა, ასეც გახლდეთ და ამიტომაც უსვამდეს ხაზს ანონიმი ავტორი, რომ წყლულება პირველი იყო, მაგრამ რაღატომ დუმს მოულოდნელი გარდაცვალების მიზეზზე? მოგვაგო ღმერთმან ჩვენი ცოდვების სასჯელი და მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანსო, იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა და ქორონიკონსა ამას და ამასო... სხვა დეტალების აღნიშვნა, ვხედავთ, საჭიროდ არ უცნია. ეს დუმილი შეიძლება არც არაფერს ნიშნავდეს, აკი მეფეთა მიცვალების ზუსტი მიზეზები უმეტესად არ ვიცით, მაგრამ... მაგრამ ის, რომ წყაროთა მონაცემებში ჩაკირკიტება და დაეჭვება-დაჯერება თითოეული ჩვენგანის უფლებაცაა და ვიტყოდი, ვალდებულებაც.

ხომ არ მოიკლა მეფე გიორგი?

ცხადია, ქვეყნის გარეთაც ბევრს აძლევდა ხელს სამეფოს დაკნინება და შიგნითაც - მეფის ხელისუფლების შესუსტება-შერბილება (ლაშა-გიორგის უკანონო ძე ვერ გამეფდებოდა და ტახტს უეჭველად რუსუდანი დაეუფლებოდა). აკი დაკნინდა კიდეც და გამოჩნდა, რომ სუსტი რუსუდანის პირობებში უკეთ შლიდნენ ფრთებს დიდ-დიდნი ამა სოფლისანი, ვიდრე „ახირებული“ და „თავნება“ ლაშას ეპოქაში. ეჭვს აძლიერებს მეორე მემატიანის - ე. წ. ჟამთააღმწერლის მონათხრობიც. იქ არც მეფის ჭრილობაა, არც ნიშნობა-ქორწილი და არც ლაშა-გიორგის ბაგავანს წასვლა. აი, ასე, უცებ, დასნეულდა მეფე, შეკრიბა წარჩინებულნი, შეავედრა დაჲ თვისი და სთხოვა რუსუდანის გამეფება. როგორც კი დაასრულა ანდერძი, „შეისუენა“. იქმნა გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი და გოდებანი მრავალ დღე. წარიყვანეს და დამარხეს გელათს.

ლაშა-გიორგი, ბეთანიის ტაძრის მხატვრობა

ვერც ვერასოდეს გავიგებთ, მოკლეს თუ მოკვდა, სასწაულიც რომ მოხდეს და პირდაპირი ცნობის შემცველი წყარო აღმოჩნდეს, მაინც ვინ რას გაიგებს, მაგრამ აბა, ვის დაუშლია ჩვენთვის მიზეზ-შედეგებზე ფიქრი, გარდასულ ამბავთა წარმოსახვა და მავანთათვის მიუღებელ კითხვათა დასმა? მოწამლეს? სხვა გზით გამოასალმეს? ხომ არ გაიტყუეს ბაგავანს? თუ ასეა, ვინ დაგეგმა ოპერაცია? როგორია რუსუდანის როლი?

არა ცილი სწამოო, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ეს ის რუსუდანია, რომელიც, იმავე ჟამთააღმწერლის ცნობით, ძმის ანდერძს არ ასრულებს და ძმისწულის (ლაშას უკანონო შვილის) ნაცვლად საკუთარ ძეს ამეფებს, მეტიც - დავით ლაშას ძეს სასიკვდილოდ იმეტებს და მოუსავლეთში გზავნის; მტრის ყოველი შემოსევისას სატახტო ქალაქს ტოვებს და ქუთათისს გარბის. თუკი რუსუდანს, დედის გამეფების პრეცედენტით იმედმიცემულს, ძმის შემდეგ ტახტზე ასვლის წყურვილი კლავდა, რასაკვირველია, აღმოსავლელ მეზობელზე - შირვანშაჰზე მითხოვება საბოლოოდ უსპობდა გზას ტახტისკენ და შესაბამისად, ქორწინების პროექტი როგორმე უნდა ჩაშლილიყო. ამასთან, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ლაშა მანამ უნდა

მოეშორებინათ, სანამ დაქორწინდებოდა და კანონიერი მემკვიდრე - „გვირგვინისა შვილი“ შეეძინებოდა.

თავისთავად, ისიც საეჭვოა, რად არ გათხოვდა (გაათხოვეს) რუსუდანი 1223 წლამდე? ამ დროს ის 30 წლამდე იქნებოდა მიღწეული და ეს კი, მოგეხსენებათ, იმ დროში ქორწინებისთვის საკმაო ასაკი გახლდათ. მალულად ხომ არ მწიფდებოდა რუსუდანის გამეფების იდეა? ლაშას სურვილი, და დაექორწინებინა შირვანშაჰზე, ხომ არ იყო ტახტისკენ მიმავალი გზიდან რუსუდანის ჩამოცილების მცდელობა? მეფის მოკვდინება რუსუდანის დასის პასუხია ლაშას სვლის გასანეიტრალებლად?

ასეა თუ ისე, დაგეგმილად თუ ანაზდეულად, მოკუდა თუ მოიკლა, იმ გიორგისა არ იყოს, არც ამ გიორგის ჰქონია სიკვდილში ბედი...

დემეტრე II

დემეტრე II თავდადებული, გარეჯი, უდაბნოს მონასტრის მხატვრობა

მეფე მონღოლებმა ურდოში დაიბარეს. ურდო ბანაკი იყო, ყაენის ადგილსამყოფელი, ერთგვარი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი. შეთქმულებაში ამხილეს ვეზირი ბუღა. დემეტრე უბრალო იყო, მაგრამ მონღოლური ადათ-სამართლით პასუხს მთელი გარემოცვა აგებდა, დემეტრე და ბუღა კი მძახლები იყვნენ.

არღუნ ყაენი ყოყმანობდა: დემეტრეს თუ დასჯიდა, ქვეყანა უმეფოდ რჩებოდა. მეფე კი საჭირო კაცი გახლდათ – დაპყრობილ ქვეყანაში ის იყო გადასახადების აკრეფისა და ჯარით მსახურების გარანტი. მეორე მხრივ, არც დაუსჯელობა ივარგებდა - კოლექტიური პასუხისმგებლობის მონღოლური პრინციპი ირღვეოდა და არასასურველი მაგალითი იქმნებოდა.

არჩევანის სიმძიმე ყაენს იქვე მყოფმა, ქართველი მეფის ამირსპასალარმა – ხუტლუბუღამ შეუმსუბუქა: მე მყავსო ჯეროვანი კანდიდატი! დავით ნარინი დასავლეთში მეფობდა, დემეტრე აღმოსავლეთში, სამხრეთში ბექა ჯაყელი იჯდა და არცერთ მათგანს არ უხრიდა თავს - უშუალოდ ყაენს მორჩილებდა. ვახტანგი, ნარინის უფროსი ვაჟი, მამას უკვე გამოეცხადებინა თანამოსაყდრედ. ასე რომ, დემეტრეს ადგილას ლიხთიმერელის დასმით მთელი საქართველო შენს ყმობაში იქნებაო – არწმუნებდა ყაენს დემეტრე მეფის მოხელე.

დასავლეთ საქართველოზე მონღოლებს ხელი არ მიუწვდებოდათ, ამიტომ ჭკუაში დაუჯდა ყაენს ხუტლუბუღას პროექტი. დემეტრეს თავი მოჰკვეთეს და აღმოსავლეთში ვახტანგი გაამეფეს.

დღემდე ხუტლუბუღას ვაბრალებთ დემეტრე თავდადებულის ღალატს და ამას განაწყენებით ვხსნით: იგი ფრიად გავლენიანი მოხელის – სადუნ მანკაბერდელის ვაჟი იყო. სადუნის გარდაცვალების შემდეგ მამის თანამდებობებიდან ხუტლუბუღას მხოლოდ ამირსპასალარობა ერგო, ათაბაგობა კი დემეტრემ სხვას მიუბოძა. სხვა მიზეზიც ჰქონდა ხუტლუბუღას: ოდესღაც დემეტრეს მამას სიკვდილით დაესაჯა მისი პაპა (დედის მხრიდან).

ეს ყოველივე კარგი, მაგრამ... სად არის დავით ნარინის პასუხისმგებლობა?

ცხადია, არც დასავლელი მეფეა უბრალო. ხუტლუბუღასთან ერთად ისიც დაინტერესებული ჩანს მეფე დიმიტრის მოკვდინებით და მისი ვაჟი ვახტანგიც. ამ გზით მამა-შვილი სამეფოსა და გავლენების გაფართოებას ცდილობდა და, გნებავთ, ერთიანი საქართველოს სამეფოს აღდგენას ლამობდა.

წყაროდან ისე ჩანს, რომ ვახტანგის გამეფების იდეას ხუტლუბუღა ყაენს ურდოში აცნობს. შემდეგ ყაენი დავითთან გზავნის და ხუტლუბუღასაც იმერეთიდან დასტური ჩამოაქვს. მხოლოდ ამის შემდეგ სჯიან დემეტრეს სიკვდილით.

რთული დასაჯერებელია, რომ დემეტრეს ამირსპასალარს თავიდანვე, ურდოში გამომგზავრებამდე, არ შეეთანხმებინა თავისი იდეა დავით ნარინთან. სხვაგვარად, გეგმის ჩავარდნის შემთხვევაში, მის კისერზეც დაიდებოდა ხმლის პირი. არც ისაა გამორიცხული, პროექტის ავტორი დავით ნარინი ყოფილიყო, შემდეგ ხუტლუბუღაც მიმხრობოდა და ყაენთან გაეხმოვანებინა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ნარინ-დავითის ძე ვახტანგ აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდა, რაც ვერ მოხდებოდა მამა-შვილის თანხმობის გარეშე, თანხმობა კი დემეტრეს სიკვდილით დასჯაზე გადიოდა.

დღემდე ხუტლუბუღას ვაბრალებთ და დავით რუსუდანის ძე უბრალო გვგონია. არ ჩანან უბრალონი – არც დავითი და არც ვახტანგი. დავით ნარინი და დავით ულუ (დემეტრეს მამა) თამარ მეფის შვილიშვილები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები გახლდნენ. თუმცა რა გაგიკვირდეს – გვირგვინისთვის ვინ ვის ინდობდა ხოლმე - ან ჩვენში და ან სხვაგან?

ვახტანგ II

დავით ნარინი, გელათის მხატვრობა

დემეტრე მეფემ თავდადებულის გვირგვინი დაიდგა. გამეფდა ვახტანგ. ჟამთა-ამწერელად წოდებული ანონიმი მემატიანე რატომღაც დიდად ჰყვარობს ჭაბუკ მეფეს და კეთილ სიტყვებს არ იშურებს მისი ნიჭ-თვისებების წარმოსაჩენად. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დაალაგა ურთიერთობანი ყაენ-ნოინებთან თუ აღმოსავლეთ საქართველოს შინაკაცებთან. ორ სამეფოდ გაყოფილი საქართველოს კვლავ გამთლიანებასაც თითქოს აღარაფერი ედგა წინ, მაგრამ... იმეფა 3 წელიწადს, შეედვა მცირე რამ სენი და შეისუენა...

იმ ჟამში მცირე სენით, თუნდაც სრულიად ჭაბუკის, გარდაცვალება აბა რა გასაკვირია, მაგრამ ეს უცაბედი დასასრულები არასდროსაა უპირობოდ დასაჯერებელი. მით უფრო მაშინ, როცა მეფე სხვის ტახტზე ზის, როცა იმ სხვის მოკვდინებაში წილი უდევს, როცა იმ სხვას ვაჟების მთელი არმია დარჩა მემკვიდრეებად, როცა თითოეულს (განსაკუთრებით, უფროს ძეს) თავ-თავისი ამყოლები თუ დამქაშები დაეხვეოდნენ, როცა „დასავლურ კლანს“ აუცილებლად დაუპირისპირდებოდა „აღმოსავლურიც“ და როცა ის ავი მუსაიფი ხუტლუბუღა კვლავ ტიპობს, ამჯერად ვახტანგის ოპოზიციაშია და მისგან გაწირული დემეტრე II-ის უფროსი ვაჟის - დავითის გამეფებას ელტვის.

დავითი ვახსენეთ და, ასეთი საინტერესო აქცენტი გვხვდება ჟამთააღმწერელთან: ვითარცა ცნა დავითმა ვახტანგის სიკუდილი, მისი სიკეთისა და სიჭაბუკის გამო დიდად შეწუხდაო, იგლოვა წესისაებრ, ფრიადი პატი სცა და წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასაო. ჩვენ თუ ვირწმუნეთ ეს სულგრძელობა მამამოკლული და გვირგვინწართმეული, ვახტანგის შემდეგ გამეფებული დავით VIII-ისაგან, რამდენად დაიჯერებდა მის მწუხარებასა თუ მის უდანაშაულობას მხცოვანი და მრავალნაცად-მრავალნაწრთობი ნარინ-დავითი, ეს ადვილად წარმოსადგენია.

დიდად იგლოვა თურმე საყვარელი ძე დავით ნარინმა. ისეთი ტკივილი განიცადა, რომ შეუძლებელია გადმოცემაო, ესოდენმა მწუხარებამ მოიცვა, რომ ვერღარა პოვა ლხინებაო – გვამცნობს ჟამთააღმწერელი. ვინ უწყის, ნანობდა კიდეც და გაცურებულადაც გრძნობდა თავს, ასეთ სარისკო საქმეში რომ გაერია და საყვარელ ვაჟსაც წამოაცვა ყულფი. ამის მერე მალევე მიიცვალა მგლოვიარე მამაც.

ჩავარდა საქართველოს გაერთიანების პროექტი – ასე გულდაგულ თუ უგულოდ მოფიქრებული...

* * *

მართალია, მეფეთა გარდაცვალების საქმეებს კარგა ხანია გასული აქვს ხანდაზმულობის ვადა, მაგრამ ჩვენს დაუცხრომელ წადილს - ვეძიოთ სიმართლე ოფიციალურად მორთმეული ვერსიების ქექვაში, სტრიქონებს შორის ჩასკუპებულ ჭინკა დეტალებსა თუ იმქვეყნად წაღებულ პირამოკერებულ ამბებში, აბა, რა ძალა დააკავებს... ■

ნიკა ვაჩეიშვილი

გადავარჩინოთ გელათი!

გელათის ისტორიული და მხატვრული ღირებულება - ტევადობა და სიღრმე, მრავალწახნაგოვნება, გამორჩეულობა ჩვენი ისტორიისა და მომავლის წინაშე - სრულიად უნიკალურია და მისი აღწერა უბრალო სიტყვებით შეუძლებელიც კია. დასავლეთ ევროპაში მსგავსი ღირებულების ანსამბლები დიდი ხნის რეაბილიტირებულია, სიძველის პრობლემები კერძო და სახელმწიფო ძლიერი ინსტიტუციების რეგულარული შრომით დაყვანილია ყოველდღიური მართვის თუ წინასწარ დაგეგმილი საკონსერვაციო პროცესის მიმდინარეობამდე, არათუ წარსული დაზიანებები, სამომავლო რისკებიც დიაგნოსტირებულია და მისი ნიველირება ძეგლის მენეჯმენტის პროცესის მთავარი ამოცანაა.

2008 წელს, როცა გელათის ანსამბლის რეაბილიტაციაზე დავიწყეთ მუშაობა, აქ წლების განმავლობაში დაგროვილ მრავალ პრობლემას მოეყარა თავი: ბოლო (საბჭოთა) რესტავრაციიდან მესამედი საუკუნე იყო გასული, ამ ხნის განმავლობაში ძეგლის მდგომარეობის შემფასებელი არათუ რეგულარული, ეპიზოდური მონიტორინგის მასალაც არ არსებობდა, აქა-იქ გაბნეული საერთაშორისო რეპორტები ასახავდა ძალზე ზოგად, საკონსერვაციო სტრატეგიისთვის გამოუსადეგარ, სურათს და პირიქით - წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის „წერტილოვანი ჩარევა“ (მაგ., კონქის მოზაიკის მშვენივრად შესრულებული უკანასკნელი კონსერვაცია მე-20 საუკუნის 80-იანი წლებისა თუ, პირიქით, უკიდურესად კუსტარული ჩარევა გელათის აკადემიაში „ობსერვატორიის“ მოწყობისას 2002 წელს) სიძველის მდგომარეობას - კიდევ უფრო „ჭრელს“, მოვლის სტრატეგიას კი ბუნდოვანს ხდიდა. არ არსებობდა გენგეგმაც

გელათი. ქაოსური ჯიხურები მონასტრის შესასვლელთან

გელათის ინფრასტრუქტურა 2012 წლის პროექტი, ავტორი დავით ბახტაძე

გელათი რესტავრაციამდე. 2007 წ.

-მზარდი ტურისტული ნაკადებისა და სამონასტრო ცხოვრების სიმყუდროვის ურთიერთშემთავსებელი, ანსამბლის წინა ტერიტორიის დაგეგმარება - ქაოსური და უსახო სავაჭრო ჯიხურების რიგიანი ინფრასტრუქტურის ჩამნაცვლებელი, გელათის არქეოლოგიის ექსპონირების -კონსერვაციისა და ანსამბლის მთელში მისი მონაწილეობის - შესახებ ხედვა და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ, ანსამბლის შედარებით „უჩინარ“, მაგრამ არსებით შემადგენლებზე - მიმდებარედ გაშლილ ულამაზეს „სოხასტერის“ კომპლექსზე თუ უფრო ადრეულ, გელათის ფერდზე შეფენილ დღემდე თითქმის უცნობ სამონასტრო ინფრასტრუქტურაზე (ტყე-გადავლილი სენაკები, ბუხრიანი შენობები, კედლები, ზღუდეები), ამავე ფერდზე შეფენილ წმ. ნინოს, წმ. საბას, წმ. ელიას ეკლესიების არქიტექტურასა და კედლის მხატვრობაზე, სრულებით გამორჩეულ დავითის კოშკზე...

თვალნათლივ ჩანდა წლების განმავლობაში დაგროვილი ფიზიკური გასაჭირიც: სახურავის დაჟანგული თუნუქი, ხის ნივნივების დაზიანებისგან ჩაზნექილი ადგილები, რომლებიც ქარის დროს იალქანივით მოძრაობდნენ და კედლის ზედა ნაწილებს (კარნიზებს) ამსხვრევდნენ, დიდი ხნის წყლით დახავსებული ჩუქურთმა, გამოქარული კედლები და სხვა.

არასახარბიელო იყო კედლის მხატვრობის მდგომარეობაც ანსამბლის ორივე მოხატულ ტაძარში - წმ. გიორგისა და ღმრთისმშობლის ეკლესიებში.

პრობლემათა ამგვარი გროვა გულისხმობდა, ერთი მხრივ, სწრაფად ქმედების, მეორე მხრივ, აუჩქარებელი ფიქრისა და სტრატეგიის ჩამოყალიბების აუცილებლობას. მსგავსი სიძველეების განახლება ხომ არა მხოლოდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს, არამედ მიზანი, უპირველეს ყოვლისა, „ცოცხალი ავთენტიკის“ შენარჩუნება და განახლებაა, ისტორიული (მატერიალური და არამატერიალური) ღირებულების გაფრთხილება, როდესაც განახლების „თანამედროვე ავთენტიკა“ ორგანულად ამოიზრდება „წარსული ავთენტიკის“ ღია კონტექსტიდან.

პროექტირება 2008 წელს დაიწყო, იგი მოიცავდა თანამედროვე ტექნოლოგიებით ადრეულზე გაცილებით სრული და ზუსტი ანაზომის მომზადებას (სპეცანაზომების მოსამზადებლად მოვიწვიეთ გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც ადგილზე ქართველებთან ერთად მუშაობდნენ), დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენას, დაზიანების სახეობებისა და მიზეზების დადგენას, ნიველირების მეთოდს, გენგეგმას, ზონირებას, ტურისტული და სამონასტრო სივრცეების თავსებადობას, საერო ნაგებობების რესურსის შეფასებასა და ძველი და ახალი ფუნქციის გამოკვეთას, სამუშაოების რიგითობის დადგენას, გელათის მისასვლელი მოედნის პროექტირებას თანამედროვე ინფრასტრუქტურისთვის... პროექტირების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი თანხმდებოდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან, ასევე, იუნესკოს ყველა საერთაშორისო მისია ადგილზე ეცნობოდა პროექტს და სამუშაოთა მიმდინარეობას, პროექტის მაღალი საკონსერვაციო სტანდარტის მისაღებად ქართველ სპეციალისტთათვის, მნიშვნელოვან ინსტიტუციებში - ბრიტანეთში, შვეიცარიასა და საქართველოში - ჩატარდა რამდენიმეეტაპიანი ვორქშოპიც.

გელათი. წმ. გიორგის ეკლესია, სახურავით დალეწილი კარნიზები

ჩემთვის არსებითი ის იყო, რომ პროექტის მიმიდინარეობაში ჩართული იყვნენ ის უცხოელი კოლეგები, რომლებიც გელათის პროექტის პარალელურად საქართველოში ნერგავდნენ მოწინავე საკონსერვაციო გამოცდილებას - მაგ., როგორ უნდა დავადგინოთ რა ხდება გელათის კედლებში, რაც თვალისთვის უხილავია და ძეგლისთვის კი დაზიანების ფაქტორი შეიძლება იყოს, ეროზირებულია თუ არა სტრუქტურა (ენდოსკოპიური კვლევა), რატომ იცვლის ფერს ფასადები, როგორ უნდა დავუბრუნოთ მათ პირვენდელი სახე, როგორ დგინდება მავნებელი მიკროორგანიზმების სახეობა და მასალა მათ გასაქრობად, როგორია საფასადო ქვის კონსერვაციის ექსპერიმენტებზე გამავალი მეთოდიკა, მეთოდისა და დიზაინის საბოლოო შერჩევით და სხვა.

მნიშვნელოვანი იყო, რომ მთავარ რესტავრატორებთან ერთად რუტინულ სამუშაოზე (მაგ., ბზარების შევსების მრავალრიცხოვანი ტესტირება და შერჩეული დიზაინით ამოგოზვა) ბაზრის შეთავაზებით მიღებული რომელიმე „შპს“-დან ერთჯერადად აყვანილი ხელოსნები კი არ მუშაობდნენ, არამედ სამხატვრო აკადემიისა და ახალციხის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ამისთვის საგანგებოდ გაწაფული სტუდენტები. ამ გამოცდილებით, პროექტის რამდენიმე ახალგაზრდა სპეციალისტი საკონსერვაციო ცენტრებმა და საერთაშორისო პროექტებმა მიიწვიეს ევროპასა და აზიაში მსგავს პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

გელათი. თუნუქის ამორტიზებული გადახურვები. 2007 წ.

კომპლექსზე სამუშაოების თანმიმდევრობა ასე დაიგეგმა: ზოგადიდან და „იოლიდან“ (რისი გამოცდილებაც გვქონდა) რთულისკენ, ნაბიჯ-ნაბიჯ, იმ რგოლებში, რომელთა შესახებ ნაკლები ვიცით - დასავლელი კოლეგების სისტემატური მონაწილეობა და შემსრულებლის გადამზადება აქ და ევროპაში (იტალია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია) ხარისხის შესანარჩუნებლად.

ფიზიკური სამუშაო „პერიფერიული“, ანსამბლის გარშემო განლაგებული მე-19 საუკუნის შენობებით დაიწყო, გაბრიელ ეპისკოპოსის დროინდელი სახლების რესტავრაციით. პარალელურად დავიწყეთ არქეოლოგიური დაზვერვები გელათის ისტორიის ცალკეული საკითხის დასაზუსტებლად - რითი იყო, ისტორიულად, მაღალი შუა საუკუნეების განმავლობაში ტაძარი გადახურული? როგორი იყო შემდგომი დროის შეკეთება? რას შეიცავდა ანსამბლი კიდევ, რაც დღევანდლამდე არ მოვიდა ან არ ჩანს? (მაგ., წყალამრიდის სისტემა, წყაროს მომარაგება, სამონასტრო ინფრასტრუქტურა და სხვა). კვლევების ერთი მთავარი საკითხი გელათის აკადემიის უსახურავო, კედლებდეფორმირებული შენობა გახდა - დიდი ხნის ფუნქციადაკარგული ნაგებობა არა მხოლოდ უნდა გამაგრებულიყო, არამედ ახალი ცხოვრება დაეწყო განახლებულ ანსამბლში.

საწყის ფაზაში წარიმართა ანსამბლის გარშემო შედარებით მცირე გაბარიტების შენობების რესტავრაცია:

1. გაბრიელ ქიქოძის მე-19 საუკუნის შენობები;

2. დავით აღმაშენებლის საფლავისზედა კარიბჭის დალექილი მიწისგან გაწმენდა, დასუსტებული კედლების აღდენა და გადახურვა;

3. მონასტრის ქმედითი, მორყეულგადახურვიანი კარიბჭის აღდგენა;

4. გელათის აკადემიად ცნობილი შენობის არქეოლოგიური შესწავლა და გაწ-

გელათი. დავითის კარიბჭე რესტავრაციისას. 2010 წ.

მენდა, სრული რესტავრაციისთვის მომზადება. ამ დროს გაითხარა ინტერიერი და მიმდებარე ნაწილი, გამოჩნდა შთამბეჭდავი არტეფაქტები - დერეფნები, განაშენიანების პირველი სართული, ქვევრები... გადახურვის ალტერნატივების მოსინჯვით შენობა შეიკრა და იქცა კომპლექსის მნიშვნელოვან ნაწილად;

5. აღდგა და შესაბამისი მეთოდით კონსერვირდა და გამაგრდა მთავარი ტაძრისა და სხვა ეკლესიების დალეწილი საფასადო ქვები, წყობები, გათავისუფლდა გვიან შეკოწიწებული უვარგისი ცემენტის მასისგან;

6. უცხოელი კონსულტანტების მეთვალყურეობით, სპეციალური ხსნარით გაიწმინდა და დამუშავდა ბაქტერიებით გაშავებული და გამწვანებული ფასადები;

7. დაკონსერვდა ანსამბლის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკები.

2008 წლის მთავარი გამოწვევა მაინც გელათის აკადემიის „ახალი სიცოცხლე“ იყო, რომელმაც მოიცვა კომპლექსური სამუშაო არქეოლოგიურად გამოჩენილი მერხი-დასაჯდომლების, მიწისქვეშა სამეურნეო ნაწილის, გამაგრებული კედლებისა და ხის რთული კონსტრუქციის გადახურვა, რის შედეგადაც მონასტრის ცენტრში დაზიანებული, უფუნქციო შენობის ნაცვლად მივიღეთ ტევადი, სასულიერო და საერო პირთა შესაკრებელი.

ამ პერიოდში მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარე, სპეციალურად ამისთვის ჩატარებულმა, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა აჩვენა ანსამბლის კონსერვაციარეაბილიტაციისათვის არსებითი საკითხებიც: თუ რითი იყო გადახურული თანადროული და გვიან შუა საუკუნეებში გელათის მონასტერი. სხვადასხვა დროის მოჭიქულმა კრამიტებმა ცხადყო, რომ გელათი (ისევე, როგორც გაერთიანებული საქართველოსა და შემდგომი ხანის ბევრი ხუროთმოძღვრული შედევრი) ფერადი სახურავით, მოჭიქული კრამიტით იყო გამშვენებული.

დავითის კარიბჭე. რესტავრაციის შემდეგ. 2010 წ.

„გადათუნუქებული“ საბჭოთა დროის შენობებისგან ტრადიციული წითელი კრამიტის სახურავები პირველად მონასტრის საერო და პერიფერიულ შენობებზე აღდგა - ბუნებრივად გამოიკვეთა ზღვარი მათსა და საკრალურ ნაგებობებს შორის, რომლებიც მშენებლობის დროსვე ფერადი კრამიტით დაბურეს.

თუ სახურავების კონცეპტუალური ხედვის პირველი, საერო ნაწილი უფრო იოლგადასაწყვეტი იყო და წითელი თიხის კრამიტის გამოსაყენებლად ბუნებრივად შეირჩა პერიფერიული და საერო შენობები - აკადემია, კარიბჭეები, ბერთა საცხოვრებელი ნაგებობები - გუმბათიანი საეკლესიო ნაგებობები სხვა მიდგომას ითხოვდა.

აქ კიდევ ერთხელ დავდექით ალტერნატივის წინაშე: ტაძრები დაიბუროს „სტანდარტულად“ (თუნუქით) თუ შევიდეთ ჩვენი ქვეყნის სიძველეთდაცვის ახალ ფაზაში და ვიფიქროთ ძველი არქტექტურის კვლავ ფერადოვნად აჟღერებაზე, ფერადოვნებაზე,

რომელიც გვიან და შემდგომ, განსაკუთრებით საბჭოთა ხანამ, შავ-თეთრ ტონალობად აქცია.

ახალ გზას დიდი სიფრთხილით შევუდექით. სირთულე რამდენიმე მიმართულებით იყო დასაძლევი: დასადგენი და შესაჯერებელია ფორმა, რომელიც გადახურავს ტაძრებს - თავად საბურველის მოყვანილობა და ცალკეული კრამიტის სპეციფიკაცია. დასადგენ-შესარჩევია ფერადოვნების გამა და მისი მოძრაობის ამპლიტუდა - რა ფარგლებში უნდა იყოს, რომ არ გასცდეს ტრადიციულ, სადა ფერადოვნებას და როგორც ტექნოლოგიური, ისე მხატვრულად სასურველი შედეგი მივიღოთ. და მთავარი: ტექნოლოგიური საიმედოობა, რასაც ხელოსნობის შესაბამისი ხარისხი განაპირობებს.

გელათი. შესასვლელი კარიბჭე რესტავრაციამდე. 2009 წ.

სიახლე მონასტრის მცირე ნაგებობებზე ფრთხილი მოსინჯვით დავიწყეთ. ცალკეული კრამიტის ფორმა, საბურველის ერთიანი დიზაინი და ფერადოვნება, რა თქმა უნდა, ტაო-კლარჯეთში შემონახული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ანალოგს დაეფუძნა. სამხატვრო აკადემიის სახელოსნოში დიდი ყურადღებით დამზადებული კრამიტის სხვადასხვა ვარიანტიდან შეირჩა ის მასალა, ფორმა, სისქე და ფერადოვნება, რომელიც ოპტიმალური იყო და ძველი კრამიტების მონაცემებს ითვალისწინებდა. ახლის თავშეკავებული ფერადოვნება ადრეული მასალის სხვადასხვა ელფერს მოიცავდა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლეოდა, მომზადებულიყო მთავარი ამოცანის - ცენტრალური ტაძრის სახურავების ფერის „მიგნება“ და განსაზღვრა, ამით კი მთელი ანსამბლის ერთიანობისა და მრავალფეროვნების მიღწევა.

მცირეგუმბათიანი ტაძრების (წყარო, წმ. ნიკოლოზის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია) მქრალი მწვანე-ზურმუხტისფერი, რომელსაც აგურისფერიც ეხამება, კარგ „საბაზისო“ სარკეს იძლეოდა მათგან მთავარი ტაძრის მონუმენტური, სხეულიანი მოცულობის გადახურვის ფერადების ამოსაძერწად. მთავარ ტაძარზე შეიძლებოდა, საბოლოო გამად გაჟღერებულიყო - ამ ელფერიდან ბუნებრივად ამოზრდილი (და არა მასთან კონტრასტული) ფერადოვნება. პირადად მე სამომავლოდ გადასახურ მთავარი ტაძრებისთვის ტაო-კლარჯული მეწამულ-ღვიძლისფერ ღრმა შინდისფერი მედგა თვალწინ - უფლის ჯვარცმისა და ამაღლების მაუწყებელი, რომ საიმპერატორო, თბილი მეწამული უნდა ყოფილიყო სამომავლო გელათისათვის ძირითადი ფერადოვანი „სათქმელი“. თუმცა ამგვარი არჩევანი არ გამორიცხავდა და აუცილებელსაც ხდიდა მრავალ ცდას - გუნდურ მუშაობას და ალტერნატივების მოსინჯვას.

გელათი. შესასვლელი კარიბჭე რესტავრაციის შემდეგ. 2010 წ.

ასე მივედით 2012 წლამდე: გელათში აღდგენილი კარიბჭეებით, აკადემიით, კონსერვაციის ძირითადი მიმართულებების რეალური აპრობირებით, როდესაც მრავალმხრივი სამუშაოს ყველა მიმართულება მოსინჯულია, განხორციელებულია, გზაზე დგას და ამაში საერთაშორისო მრჩევლები მონაწილეობენ.

გელათი. წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკა კონსერვაციამდე. 2007 წ.

გელათი. წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. კონსერვაციის პროცესი. 2008 წ.

2012 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, 2008 წლის პროექტით განსაზღვრული საკითხები დიდწილად უკვე განხორციელებული იყო. 2013-2014 წლებში კვლავ გამოიყო თანხა არსებული პროექტის განსაახლებლად და ახალი სამუშაოების დასაზუსტებლად. ამის შემდეგ, სამუშაოები სწორედ ამ რედაქციის მიხედვით მიმდინარეობს. თვალში საცემია, რომ 2013 წლიდან პროექტს ნელ-ნელა ემშვიდობებიან დასავლელი ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წამოჭრილი საკითხების ხარისხიან საერთაშორისო ექსპერტიზას, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი რესტავრატორების ტრენინგს. თვალში საცემია ისიც, რომ პროექტის ფარგლებში საკითხებზე მუდმივად აღარ მსჯელობენ და მათზე პასუხის მიღების მექანიზმს არ აუმჯობესებენ - მაგალითად, მთავარი საკითხის, ტრადიციული ფერადოვანი კრამიტის წინა კონცეფციები, ხაზგადასმულია და კარდინალურად იცვლება მიდგომა. შედეგად, გადახურვების ფერი, მასალა, მომზადების ტექნოლოგია და კრამიტი „მწვანდება“, აღწევს ღრმა და ნიუანსირებული შესაძლებლობების მონო, ხელოვნურ ნიშნულს, ეს განსაკუთრებით ეტყობა სახურავების ძირითადი ტაძრის გადახურვების კიდეებს - უფუნქციო სამშვენისებივით ჩამოკიდებულ თაღნარს.

არ მუშავდება ტაძრებზე არსებითი - მკლავებზე კრამიტის დაფენის მეთოდოლოგია (2012 წლამდე კრამიტი მხოლოდ გუმბათებზე განლაგდა, ადრინდელი, მშრალ ზედაპირზე, ტრადიციული მეთოდით), ძველი თუნუქი იხსნება ისე, რომ მოქმედების გეგმა დამუშავებული არაა, პასუხგაუცემელია ძირითადი კითხვები. საუკუნეთა განმავლობაში გელათში, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის შესაბამის, ცხელი და ნესტიანი კლიმატის, ზოლში, ისტორიულად გადახურვები კეთდება მშრალ საფუძველზე, ჰაერის იზოლაციით. ასე იყო გელათშიც - გადახურვის ქვეშ აფსიდა-მკლავების ზედა სივრცეები რჩებოდა ამოუვსებელი, სიმშრალისათვის. ახლა კი ამ „პატარა“ ნიუანსის გაუთვალისწინებლად იწყება მათი ამოვსება. ადგილობრივები ჰყვებიან, საბარგო მანქანებით რა დიდი ოდენობის მასალა შემოდის მონასტრის ეზოში და ადის ზემოთ აქამდე თავისუფალი სივრცეების ამოსავსებად. სამწუხაროდ „ადგილობრივების მონაყოლი“ აქ არსებითია, რადგან განახლებულ პროექტში ტაძრის სივრცეებში საიზოლაციო მასალის რაობა და ოდენობა დამუშავებული

არაა - ზეპირსიტყვიერი გადაწყვეტილებები ხდება პროექტის მართვის მთავარი პრინციპი. მკლავთაზედა სივრცეების სიდიდე განაპირობებს „საიზოლაციო“ მასალის დიდ ოდენობას, რამაც, ჩანს. გამოიწვია მისი ნებისმიერობა - დასავლელი ექსპერტების შემდგომ შეფასებებში აღნიშნულია, რომ შემავსებელი სხვადასხვანაირია, ძეგლისთვის არათავსებადი, ოდენობა კი - დიდი...

სამწუხაროა, რომ ისტორიულად ცარიელი, ჰაერის საიზოლაციო ფუნქციის შეცვლისას, ამოვსებული ადგილები იფარება კვლავ არაერთგვაროვანი მასალის ზედაპირებით (მუშები იხსენებენ ცემენტს, არმირებას, ცემენტ-კირს, სხვადასხვა პროპორციით და სხვა)... სწორედ ეს შევსებები იქცა შემდგომ სხვა შეცდომებთან ერთად გელათის მთავარ პრობლემად.

ეკლესიების ზედა ნაწილების ტრადიციულად ცარიელი უბეების ამოვსების პარალელურად, პროექტის მენეჯმენტი იწყებს კრამიტის დამზადების და შესყიდვის პროცესს. ძველი, პირველი ეტაპის, თიხის დაწნეხილი კრამიტის ნაცვლად, მზადდება თაბაშირნარევი თუ თაბაშირის კრამიტი, რომელიც ფურცელზე დაწერილი დასკვნის საპირისპიროდ არც ყინვაგამძლე აღმოჩნდა და არც სიცხემედეგი, მყიფე სიმკვრივისა, ის ტაძრის ეზოში დასაწყობებისთანავე იწყებს დაზიანებას.

ამასთან ერთად, კრამიტის დაგებისთვის ხელოსნების მოუმზადებლობა აძნელებს რთულ ზედაპირებზე მის ხარისხიან დაგებას. გაჩენილ ტექნიკურ სირთულეებზე პასუხი სპონტანური, იქვე მიღებულია, ბრიგადებსშორისი სხვაობებით, სტანდარტის გარეშე.

გაუმართავია კალთებიდან წყლის გადამყვანი საცრემლეები და ჟოლობებიც. წვიმის დროს სისველისგან ზიანდება ტაძრის ადრე კონსერვირებული კარნიზები და კედლების ნაწილი. საბოლოოდ, ირკვევა, რომ უხარისხოა როგორც მასალა, ისე მისი დაგების წესიც. დაზიანებული და უხარისხოდ დაგებული კრამიტი უშვებს წყალს.

დიდი რაოდენობით ჩასული წყალი ასველებს ტაძრის ზედა სივრცეებში ჩალაგებულ ინერტულ საიზოლაციო მასალას, ის იკრებს სისველეს, ივსება და, როგორც გაჟღენთილი ღრუბელი, ინტერიერში აქამდე მშრალი მოხატულობის დაზიანების მთავარი ფაქტორი ხდება. ფრესკები სველდება, ფხვიერდება, იწყება გამომარილების პროცესი და ფრესკები ცვივა.

სპეციალისტების მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას სახელმწიფო მათთვის ტაძრის დათვა-

გელათი. აკადემია რესტავრაციამდე



გელათი. აკადემია
რესტავრაციის შემდეგ. 2009 წ.

გელათი. აკადემიის არქეოლოგიური
გათხრები. 2009 წ.

გელათი. არქეოლოგიურად მოპოვებული სხვადასხვა ეპოქის მოჭიქული კრამიტი. შუა საუკუნეები

გელათი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია რესტავრაციისას. 2011 წ.

გელათი. ახალდაგებული კრამიტი 2011 წ.

ლიერების აკრძალვით და მათგან უჩუმრად, სველი ფრესკების შეღებვა-გადაღებვით პასუხობს, ასეთი ჩარევა აჩქარებს დაზიანების პროცესს, მეთოდურად კი უძველესი ფრესკების თავიდან დახატვა სიძველის ხელყოფა და მათი ავთენტიკის შელახვაა.

კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩენილი გელათის შესახებ დასავლელი ექსპერტები, რომლებიც იზიარებენ ქართველ სპეციალისტთა აზრს, საუბრობენ დანაკარგზე, ასევე, ჩიხური ვითარებიდან გამოსვლის სიძნელეებსა და დიდ სამუშაოზე, რაც ამ ვითარების დაძლევისთვისაა საჭირო.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გელათი გამოვიდეს კრიტიკული, დაზიანების ყოველდღიურად მიმდინარე პროცესიდან?

მთავარი ამოცანა ამდენი წლის თავზე ძეგლის დამაზიანებელი ფაქტორის - წყლის მოცილება და მშრალი გარემოს შექმნაა. იმის გამო, რომ გელათის მოხატულობა სხვადასხვა დროის, ტექნოლოგიისა და შემადგენლობის ფრესკების ერთიანობაა, დაზიანების პროცესები აქ სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ინტენსივობით და შედეგით მიმდინარეობს. ამ პროცესების გასაგებად, მათი გაჯანსაღების გზისა და მკურნალობის მეთოდის დასადგენად, საჭიროა კომპლექსური და მუდმივი მონიტორინგი, დაზიანების კარტირება და აღნუსხვა, პროცესების თვალმიდევნება, საჭიროებისას გადაუდებელი ჩარევა, მთლიანად კი, თავდაპირველი, ჯანსაღი გარემოს შექმნა დამაზიანებელი პროცესების შესაჩერებლად.

ამისათვის კი საჭიროა მივიდეთ უხარისხო გადახურვის ნიველირებამდე. ფაქტობრივად, ჩავიდეთ, სულ მცირე, 2017 წლამდე. ამის შემდგომ, როდესაც ხარისხიანი გადახურვის ქვეშ ტაძრებში წყალი აღარ ჩავა - დასველებული კედლების გამოშრობას, წინასწარი გათვლებით, დასჭირდება 3-5 წელიწადი.

რით უნდა დავიწყოთ? საჭიროა ტაძრისთვის იმგვარი დამატებითი გადახურვის მოწყობა, რომელიც მას ნალექისგანაც დაიცავს, სპეციალისტებს კი საშუალებას მისცემს, ახადონ უვარგისი სახურავი და გაათავისუფლონ ნაგებობა ტონობით შეტანილი ინერტული საიზოლაციო მასისგან. ასეთი გადახურვა ე.წ. „კარვისებური სახურავია“ - ძალიან ძვირი და ტექნიკურად რთულად განსახორციელებელი პროექტი. იგივეა გასაკეთებელი სრულად მოხატულ წმ. გიორგის ეკლესიაზეც.

მთავარი ტაძარი. უვარგისი კრამიტი. 2020 წ..

უვარგისი კრამიტი. 2020 წ.

კვლავ დასავლური გამოცდილების გაზიარებასთან მივდივართ, რასაც გელათის მაღალპროფესიონალთაგან შემდგარი მართვის ჯგუფის ჩამოყალიბება დასჭირდება, რომელიც გაწერს კონსერვაციის გეგმას და დაინტერესებულ მხარეებს რეგულარულად წარუდგენს მიმდინარე პროცესს.

უვარგისი ახალი კრამიტი 2020 წ.

გელათის უვარგისი კრამიტი. 2021 წ.

მხოლოდ საერთაშორისო გახსნილობა, მოწინავე საკონსერვაციო გამოცდილების ინტეგრაცია და ეროვნულ და საერთაშოსისო დონეზე უშეცდომო ნაბიჯები გადაარჩენს გელათს აქ არსებული დამაზიანებელი პროცესისგან. ეს კი დამოკიდებულია ქვეყანაში მშვიდი, ჯანსაღი, პროფესიონალებისთვის არააგრესიული გარემოს არსებობასთან. ■

ზურა მეძველია

შურიანის ჩანაწერი

გადასარევი რამ ყოფილა ეს საავტორო სვეტი - რაზეც გინდა, იმაზე დაწერეო. ჰოდა დავწერ იმაზე, რაზეც გასულ დღეებში ყველაზე მეტად მეფიქრებოდა, თუმცა სანამ იქამდე მივალ, ჩემი ოჯახის ორიოდ ამჟამინდელ წეს-ჩვეულებაზე უნდა ვთქვა და შინაური ალბომის ოთხიოდ ფოტოც გამოვდო. ამიტომ, თუ ჩემსავით სხვათა კერძო ცხოვრებაზე კითხვა გეზარებათ, აქ გაანებეთ თავი - უფასოა ეს ჟურნალი, არაფერს დაკარგავთ...

ეს ბოლოსწინაა. ამის მერე ერთი კაი ნიუ-იორკიც მივაფაზლეთ, მაგრამ მე ამ ვან გოგის ამბით უნდა დავიწყო. თუმცა მანამ იმასაც გეტყვით, რომ მთლად „ვინ უფრო კარგი ბუხრის გამჩაღებელია“-ს მსგავსი არა, მაგრამ არც ძალიან ნაკლები სიმძაფრის კამათები გვქონდა, ვინ უფრო მაგარი მეფაზლეა ოჯახში (დანარჩენი ყველაფერი გარკვეული გვაქვს - ვინ რაშია მაგარი და რაში ერკვევა მეორეზე უკეთესად). კი ბატონო - ჩასვამდა მაიკო ერთი 20-30 ცალს და მე კი მივამატებდი ხოლმე ამათ ერთს ან ორს, მაგრამ მერე ვუხსნიდი ხოლმე, რომ სწორედ ჩემ მიერ ნაპოვნი ამ ერთის ან ორის დამსახურებაა მისი მიყოლებული 20-30. და ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ მე საღამოს გეპეი მაქვს დამთავრებული და, შესაბამისად, ასეთ საქმეში, როგორიც ფაზლის აწყობაა, უნდა ვიყო ბრიგადირი თუ ვიღაც ეგეთი. საპასუხოდ მაიკო მეუბნებოდა, რომ წესით ყოველთვის ზუსტად უნდა მახსოვდეს, ათასიან ფაზლში რამდენი და რომლები ჩავსვი. მისი ეს გამოხდომა სრულიადაც არ მიფუჭებდა იმ ერთი თუ ორი ნაწილის პოვნით გამოწვეულ სიხარულს და უბრალოდ მივდიოდი ხოლმე კაბინეტისკენ, რათა იქიდან დიპლომით დავბრუნებულიყავი და ხმამაღლა წამეკითხა ფაკულტეტის დასახელება, რომელიც სრულად ეგრეც ვერ დავიმახსოვრე...



მოკლედ, ეს ვნებები იქით იყოს და ამ ვან გოგზე რა ხდებოდა, ეგაა ახლა მთავარი: გავდივართ ბოლოსკენ და შფოთვა დაგვეწყო, რომ ეს ნაწილი (იხ. პირველი ფოტო) არაა. აი ნაღდად არაა ამ იატაკის ერთი ნაჭერი თუ ფიგურა თუ რაც ჰქვია. აბა, იქით ჩავყავით ხელი, აბა - აქეთ... ტახტის ქვეშ ხომ არ შევარდა და ჩაკუზვები და გაშოტვები და ამბავი... აუფ, დღეს ხომ მანანა იყო და დაალაგა... მტვერსასრუტი დაცალა და გადაყარა? კი!

აუფ... აი, რა გინდა გააკეთო? და ბოლო გაბრძოლებისას და მუთაქ-ბალიშების ბოლო გაწევ-გამოწევისას... აქ არი! - შეჰყვირა მაიკომ. ძალიან გაგვიხარდა, აი, ძალიან... თავიდან რომ იწყებ და რომ პოულობ, იმაზე მეტად... მოკლედ, აი, ასეთი პატარა სიხარულები ფაზლობისას...

გაფრთხილებთ: ახლა უფრო ინტიმურ დეტალებზე უნდა გადავიდე და სანამ დროა, შეწყვიტეთ კითხვა - აქ იმაზე უნდა ვთქვა, რას ვაკეთებთ ამ ოჯახის ეს ორი წევრი მაშინ, როცა ფაქტიურად შიშვლები ვართ...

აი, ბავშვობიდან არ შემიძლია მე ეს ამბავი და არც სიბერემ უშველა ამას და არც არაფერმა - ნუ 5, დიდიი-დიდი 15 წუთი მაქსიმუმ, მაგის მერე ტანჯვაა რა. მაიკოს შეუძლია, სადღაც საათი იწვეს გადაბმულად. ხო, ეს წამოწოლაც საჭიროა - ძლივს მოგიხერხებია, კარგ პლაჟზე ჩამოსულხარ და ბარემ ხო უნდა გაირუჯო არა - აბა, ამჯერად როგორ შეგვცვლის და რამე, მაგრამ... მოკლედ, სანამ მაიკო ქოლგის ქვეშ საათი გადაბმულად კითხულობს, მე პლაჟზე დავდივარ, კარგ ნიჟარებს ვაგროვებ და თან ამ ნიჟარებისგან ქვიშაზე რაღაცას ვწერ. სახალისოა მართლა. ზოგიერთ ამ ნიჟარას ტალღებს გამოვტაცებ ხოლმე ბოლო წამს - აი, რომ ვკრავ თვალს, მაგრამ ტალღაც იქვეა და თუ მომასწრო, თან წაიღებს, სიღრმეში. და მიხარია, როცა ვასწრებ. წავალ იმ ადგილას, ნაწერს ვამატებ და ვბრუნდები ახლებისთვის. მაგალითი იხილეთ მეორე ფოტოზე, რომელსაც „ნასას სულ ცინცხალი ფოტო მარსიდან, 2014“ დავარქვი. მაგის „შექმნას“, სადღაც, 15-20 მისვლა დასჭირდა. ესე ეგი ნორმალური პლაჟია ეს თელ-ავივისა - სადაც სწორედ ჩემი საყვარელი „როლინგ სტოუნზის“ შოუს დავამთხვიეთ ერთკვირიანი დასვენება - რადგან ამ ხნის განმავლობაში არავინ დამინგრია მომავალი შედევრი... მოკლედ, აი, ასეთი პატარა სიხარულები ნიჟარობისას...

მცდარი იქნება შექმნილი შთაბეჭდილება მაიკოზე, რომ მხოლოდ ცურავს და წევს. არა, ისიც დადის და ისიც ეძებს. ხშირად ერთად - ვეძებთ გახვრეტილ ქვებს. მაიკოს სიხარულებია ეგ - პატარაობიდან, მამასთან ერთად ხალისობდა ამაზე. ნიჟარის ძებნა არ გეგონოთ... დადიხარ ამდენ ქვაზე და იქ, აზრზე რომ არ ხარ, რა მიზეზით, სულ პატარაზე გახვრეტილი ქვა ან კენჭი უნდა იპოვო... თავიდან გამიჭირდა, მაგრამ დამამუღამებინა... ზოგი ისეთია, რაღაც ეჭვის თუ გუმანის წყალობით დახრას რომ გადაგაწყვეტინებს და ხელში აღებისას ეგრევე დაინახავ ამ ნახვრეტს. მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც აიღებ და ვერავითარ ნახვრეტს ვერ დაინახავ, მაგრამ არ დაიზარებ, მზეზე გახედავ რამდენიმე მხრით და ბახ - თურმე მაინც ყოფილა ეს უწვრილესი ნახვრეტი! მოკლედ, აი, ასეთი სიხარულებია ნახვრეტობისას და, ვინც ამ სვეტს ჯერ კიდევ შემორჩით, იცოდეთ, რომ აქამდე ასე საჯაროდ ეს ამბავი მხოლოდ ჩვენს ჩემოდნებში ამდენი უშნო ქვისა და კენჭის ნახვით გაოცებული თბილისის აეროპორტის მებაჟეებისთვის მაქვს მოყოლილი.

ამის იქით მაიკოს მძებნელი აღარ ეთქმის, აი, მე კი სხვა სამძებრო გატაცებებიც მაქვს. კოლექცია მაქვს საფეხბურთო და იქ რომ რამეს შევმატებ, სულ მიხარია. განსაკუთრებით მაშინ (და არაერთხელ ყოფილა), როცა რაღაცის შოვნის იმედი გადამწურვია და უცებ ბუკინისტთან კი არა, ნაგვის ურნასთან მიყრილ მაკულატურაში

მიპოვია ჩინებულ მდგომარეობაში... სიზმარსა და ოცნებებში ხშირად ყოფილა, ჯერ კიდევ კაპიტან ნემოს დროიდან, ოკეანის ფსკერზე მიძებნია ჩაძირული რაღაცები... ვუყურებ, ვკითხულობ ასეთ ამბებზე, თუმცა პროფესიონალური მძებნელობა შემდეგი ცხოვრებისთვის მაქვს გადადებული. ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, მათ შორის...



... ვამთავრებ ხო, რა მოგივიდათ? კი გამიგრძელდა, მაგრამ ხო მაგით დავიწყე, რომ რაზეც გასულ დღეებში ყველაზე მეტად მეფიქრებოდა, იმაზე ვწერ-მეთქი. ჰოდა მოვედით რა...

წარმოიდგინეთ, რომ დადიხართ ბლომად ქვებზე და ქვებში და რკინებში და ათას სხვა რამეში. და ეს პლაჟი კი არა, უზარმაზარი დანგრეული შენობაა... და ეძებ არა გახვრეტილ ქვას ან ნიჟარას ფეხშიშველი, უზრუნველი და გადასარევ ამინდში... ან წიგნს ან ფოტოს ან თუნდაც თამარის საფლავს... აგერ თითქოს რაღაცაა, არიქა, ესა-ისა... და არა, დაღუპულია. საშინლად თან. აგერ მეორე... ესეც... ისიც... კიდევ... ასი, ორასი, ათასი, 45 ათასი... შენ თვალწინ... სიბნელეში და მინუს ხუთში... მე იქ, გადასარევ ადგილას, და საფრთხის გარეშე ნახევარი საათი რომ მივლია და ვერ მიპოვია, ცოტა ნერვები მომშლია თუ დავსევდიანებულვარ თუ რომელიღაც და აქ? აზრზე ხართ?

და უცებ ბრახ! და აგერ, ბავშვი ცოცხალია!!! სამი დღის და ღამის მერე! კიდევ ბრახ და... კიდევ... ერთი კვირის მერეც...

ვნახავდი რაღაც ეგეთს და გავყვირებდი მაიკოს ეგრევე. აგერ გუშინაც, იმ წყეული მიწისძვრიდან 261 საათის (ლამის 11 დღის) მერეც იპოვეს ბიჭი. შეშლილი თვალებით, რომლებიც კიდევ უფრო შეიშალნენ, როცა პირთან მიტანილი მობილურიდან ნაცნობი ხმა და ის გაიგო, რომ ყველა მისთვის ძვირფასი ადამიანიც გადარჩა და მოდიან ჩასახუტებლად... ხელებს უკოცნის იმ მობილურის პატრონს. მაშველს.

მაგარი სიხარულებია. არასდროს რომ დაგავიწყდება, ისეთი. და ყოველ გახსენებაზე რომ ახლიდან, ალალად და დამსახურებულად გაგახარებს.

ალბათ მიხვდებოდით, რომ მშურს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გარეკანი - დავით კუხალაშვილი, „ბარიერი“

ნომერში გამოყენებულია ანა იმედაშვილის, მირიან კილაძის, დავით ხიდაშელის და ზაზა სხირტლაძის ფოტოები.

ფოტოები სტატიისთვის „რადიკალები, სატანისტები და გლობალური ომის პარტია“: „რადიო თავისუფლება“, „Tbilisi Post“ და „საქართველოს ამბები“

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2023 მარტი-აპრილი, №1(3)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 2023

ახალი ივერია

მარტი 2023

8 მარტი. „დარბევამდე 2 საათით ადრე“
ბადრი ოყუჯავას ფოტო

ISSN 2720-8729
9 772720 872007